



სამეცნიერო-პედაგოგიური და სალიტერატურული



VIII ღიათობაზე ღია VIII



რედაქცია სთხოვს ხელის მომწერლებს და აკენტებს ქურნალის  
ხვედრი. ფულის დაუკოვნებლივ გამოგზავნას

- შინაარსი: 1) პრაფ. დ. ბურჟერტენი, სასკოლო ასაკის ბავშვის ჰიგიენა — ლ.  
• ბოცვაძე. 2) ბენება და სამკურნალო მეცნიერება (წერილი მექანიკი) — ილ. ალხაზიშვილი. 3) სახალხო განათლების მთავარებინი — იასთხ (კანასე დასსსრული) — მეგობარი. 4) ბ-ნ არჯევანიძის სკოლა წადგერის ტექში — მ. კაკაბაძე. 5) ცოტა რამ შრომის სკოლის ისტორიადან — მიწისშვილი. 6) საღი გული (ლირიკა პ. მაყაშვილის) — ვახტანგ კოტეტიშვილი. 7) ერთი ბლაგიატის შესახებ — ჭალარა. 8) მეგობარს — გელა. 9) სიუკარულის წევე — კაკანა-ფშაველი. 10) უნებლიერი ფიქრები — დ. თურდოსპირელი. 11) დე, იუს დამე — ილ. გოგია. 12) ის წავიდა! — ლადო გეგმეკორი. 13) შემუსიკე... — ლ. ძიძიგური. 14) უთქნა! — ს. ტაიფუნი. 15) დამით... — მ. კრელაშვილი. 16) შემთდგრომის ფიქრი... შემთდგრომის ცრემლი — გ. ლეონიძე. 17) შინაური მიმთხოვა. 18) ორიოდე სიტუა „დედა-ენის“ I და II ნაწ. საწავლების შესახებ — კოტე. 19) ნე ჩამოყრჩებით სხვის — ლადო ბზვანელი. 20) ალექსი ბესარიონის ძეს ჭიჭინაძეს გამოთხვევებისა — მღვ. გ. ხაუმია. 21) ახალი კანონი კერძო სასწავლებელებისა. 22) უცხელეთი — ტი. 23) პასუხად ბ-ნ „ერთ მშობელთაგანს“ — მასწ. მიხ. სიხარულიძე. 24) ბიბლიოგრაფია.

დამატება: ქ. შ. წ.-პ. გამ. საზოგადოების სკოლებასა და ბიბლიოთეკების მეთადეურის, ბურგულაძის მთხელებაზი წ.-პ. საზ. სკოლების შესახებ. ხენის განუთვილებელის 1913 წლის ანგარიში.

## ШКОЛА И ЖИЗНЬ

ЕДИНСТВЕННАЯ ЕЖЕНЕДЕЛЬНАЯ ОБЩЕСТВЕННО-ПЕДАГОГИЧЕСКАЯ  
ГАЗЕТА СЪ ЕЖЕМЪСЯЧНЫМИ ПРИЛОЖЕНИЯМИ.

Подъ общей редакціей Г. А. ФАЛЬБОРКА.

4-й г.  
изданія

Открыта подписка на второе полугодіе  
1194 года

4-й г.  
изданія

Въ числѣ бесплатныхъ приложенийъ въ второе полугодіе (всего около 40 печ. листовъ) подписаны получать „Сборникъ по физическому воспитанію“ и только что вышедшую въ Швейцаріи дополненныи изданіемъ книгу бывшаго вѣнскаго, а нынѣ мюнхенскаго профессора по педагогикѣ

### Фридриха В. Фюрстера ШКОЛА и ХАРАКТЕРЪ

(Нравственно-педагогическая проблема школьнай жизни). — Книга затрагиваетъ самыи основные вопросы, напр.: о школьнай лжи, товариществѣ, самоубийствѣ, дисциплинальномъ повиновеніи и т. д.

Желающие подпісаться за весь годъ могутъ получить вышедшиe 26 №№ газеты и приложения за первое полугодіе:

Образовательная и воспитательная задачи современныхъ музеевъ. Сб. припѣкъ статей под. ред. Л. Г. Оршанского. (78 стр.).

Гербертъ Спенсеръ Статьи о воспитаніи (176 стр.)

Эд. Эртли.. Народная школа и трудовое начальство (81 стр.)

Фридрихъ Шольцъ. Недостатки характера въ дѣтскомъ возрастѣ (168 стр.)

Подписьная книга (съ прилож.) . . . . . на годъ на 6 м. на 3 м.  
Съ доставкой и пересылкой . . . . . 6 р. 3 р. 2 р.

Новый адресъ Редакціи и Конторы: Лиговская ул., д. 87.

# ვანესალეგა

(წელიწადი მექანიზმი)

VIII

ოქტომბერი

1914 წ.

შურნალი წლიურად ღირს 4 მან.  
ნახევარი წლით . . . 3 მან.  
სახალხო სკოლების მასწავლებლებს  
შურნალი დაეთმობათ წლიურად  
3 მან.

ცალკე ნომ-  
რის ფასი  
—  
40 კაპ.

ხელის მოწერა მიიღება ფილის შერა-  
კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში და  
„ნაკადულის“ რედაციაში. წერილები და  
ურნალის ფული უნდა გამოიგზავნოს ამ ად-  
რესით: თიფლის, დვორისკა გრუზინსკა  
გიმნაზია. **ლ. გ. ბოცვაძე.**

პროფ. ლ. ბურჯერშტეინი

## სასკოლო ასაკის ბავშვის ჰიგიენა

სკოლაში მიბარების დღიდანვე ბავშვისთვის ახალი ცხოვრება იწყება; ამ დროს მშობლებიც მოვალენი არიან თვალ-  
ყური ეჭიროსთ, რომ ამ შეცვლილს პირობებში ბავშვი სრულიად ნორმალურად  
განვითარდეს.

დილით ადრე სკოლაში წამსვლელი ბავშვები საკმარისად გამოძინებული უნდა იყვნენ, ამასთან 7—9 წლის ბავშვებმა დღე და ღამეში 11 საათი უნდა იძინონ, 9—10 წლისამ 10—11 საათამდინ, 11—12 წლისამ—10 საათი, 13 წლისამ  $9\frac{1}{2}$  სა-  
ათი, 14—15 წლ.—9 საათი, შემდეგ-კი საშუალო რიცხვით  $8\frac{1}{2}$  საათი. ამის მიხედვით ბავშვებიც თავის დროზე უნდა წვებოდნენ ხოლმე დასაძინებლად.

დაწოლის წინ ბავშვს უველავერი უნდა მოაშორონ, რაც-კი ღრმა ძილს შეუშლის და გამოაფხიზოებს, დაძინების დროს საკითხავად არაფერი უნდა მისცენ, გაკვეთილების მომზადებაც ვახშმის შემდეგ და ბევრი წყალის სმა ძილის წინ არ შეიძლება. საღამოობითაც საჭიროა ხელპირის, კისრის დაბანვა და კბილების გახეხვა. თვალყური უნდა ეჭიროს, ვიღრე დაწვებოდეს, ბავშვი შარდზე გავიდეს, უფრო მოზრდილ ყმაწვეილებსაც ვახშამზე ბევრი ჭამა უნდა აუკრძალონ.

ბავშვის საწოლი ოთახი, შეძლებისა და გვარად ფართო, მყუდრო უნდა იყოს. ბავშვი მაგარ ლეიბზე უნდა დააწვინონ, მუთაქა არც მაღალი უნდა იყოს და არც

ლძიერ რბილი; საბნად უნდა ხმარობდენ არა მძიმეს, არამედ სუბუქსა და რბილ მასალის. რაც შეეხება საბნის სისქეს და ოთახის ტემპერატურას ( $17^{\circ}$  ცელს. ან მეტი) ეს იმაზეა დამოკიდებული ბავშვი როგორია — საღი და მოზღიული, თუ სუსტი და პატარა. ჩვენ არ უურჩევთ სუსტი, გამხდარი და სისხლნაკლები ბავშვები ცივს ოთახში დააძინონ, ან ზამთარში თბილად არ ჩაცვან, რადგანაც ასეთის ბავშვები სათვის ტანის სითბოს დაკარგვა მავნებელია.

საბანი, მუთაქა, ზეწარი ყოველ დილობით (ზამთარშიაც-კი) კარგად უნდა გაბერტყონ, გაანიავონ და თუ შეიძლება მზეზედაც გაიტანონ. გერმანიის ბევრს ქალაქში სანაქებო ჩვეულებაა — ყოველ დილაბით კარგად გაანიავონ და გაბერტყონ ლოგინი ღია ფანჯრებში.

მოწაფეებმა ისე უნდა გამოიძინონ, რომ დილ-დილობით თავის დროზედ თვითონ იღვიძებდენ და სხვის მიერ გაღვიძება საჭირო არ იყოს. ვიდრე მოწაფე სკოლაში წავიდოდეს, საქმაო დრო უნდა ჰქონდეს პირის დასაბანად, ჩასაცმელად, საუზმისათვის და შემდეგ ნელის ნაბიჯით გასწიოს სკოლისაკენ. ნასწავლონ ნივთები — წიგნები და რვეულები უკეთესია საღამოთივე გამზადებული ჰქონდეს და არც უნდა მიეცეს ნება ბავშვს წაილოს სკოლაში ის, რაც საჭირო არ არის.

დილ-დილობით ურჩევენ, რაც შეიძლება კარგად ასაუზმონ ბავშვები: შეიძლება აჭამონ პური ხორცით ან კვერცხით, რევ, ან თხელი ჩაი რძით, აგრეთვე რძიანი ყავა ან კაკაო. საუზმის შემდეგაც პირი უნდა ცივი წყლით გამოირცხონ.

თუ ბავშვს დილ-დილობით მაღა არ აქვს, თან უნდა გაატანონ სუფთა ქაღალდში გახვეული საუზმე და არა სატკბარუ-

ნებელი რამე. ურჩევენ საუზმის წალებას კარგად მოკალულს ჭურჭელში და თან ატარონ საკუთარი ჭიქა, რომლიდანაც სხვებს არ უნდა დაალევინონ.

მოწაფეები თავის დროზედ უნდა მიღიოდნენ სკოლაში და თავის დროზედვე უნდა ბრუნდებოდნენ შინ. სკოლიდან დაბრუნებისათანავე უსათუოდ ხელები უნდა დაიბანონ. ხელს ბევრი რამ მიეცრება (მაგ. პურის შეხების დროს), რაც შეიძლება მოხვდეს პირის ნერწყვიან კანს, გაჟუვეს საჭმლის საყლაბავ მილს და ამ სახით ბავშვის. სხეულში მოჰყვეს საშიშ სნეულების ნასახები. საღილ შემდეგ ერთი საათის განმავლობაში მაინც არ უნდა იმეცადინონ, არც უნდა იკითხონ რამე, რაც მათ იზიდავს. რადგანაც ბავშვის სხეული ითხოვს იმ ნივთიერებათა შეესებას, რასაც სხეული ხარჯავს და აგრეთვე მეტსაც, ამიტომ მეტად საჭიროა, რომ ბავშვი რიგიანად, საქმარისად იკვებებოდეს და სტომაქიც ნორმალურად მუშაობდეს. არა დროს ბავშვს არ უნდა აჭამონ ისეთი საჭმელები, რომელიც მათ არ მოსწონთ. ბავშვებს ყოველთვის განსაზღვრულ დროზე უნდა აჭმევლენ და ყურადღებას უნდა აქცევდნენ, რომ ბავშვები დაუღეჭავად სიჩქარით არ უნდა ყლაპავედნენ ცხელ საჭმელებს, არამედ ნელ-ნელა და კარგად დაღეჭონ საჭმელი. თუ ბავშვს მაღა არ აქვს, ან სკოლაში წასვლა, ან თამაშობა არ უნდა, ამას ყურადღება უნდა მიექცეს, უნდა ეცადნენ და ამის მიზეზი გამოიძიონ; ზოგჯერ საჭირო იქნება ექიმსაც მიჭმართონ ხოლმე.

საჭმელი სხა და სხვანაირი უნდა იყოს; არ შეიძლება ბავშვს საჭმელად მისცენ რამე მხურვალე და ძნელად მოსანელებელი, არ უნდა აჭამონ ახლად გამომცხვარი მეცვე შავი პური, ძველი ყველი, მუ-

ხუდოს, ლობიოს, ოსპის მწიფე მთელ-მთელი მარცვლები; მათი მიცემა პიურეს სახით შეიძლება; ბავშვისთვის უფრო სა-სარგებლოვანი ისეთი საჭმელი, რომელიც ცილის შეიცავს: ხორცი, კვერცხი, რძე, კარგად გამომცხვარი ბულკი. რძე ან გა-დაღულებული უნდა მისცენ ან მაწვნად შედედებული. პურთან შეიძლება მისცენ კარაქი, ბატის ან ლორის ქონი, უკეთე-სია თუ შინ გამზადებულია. ძლიერ მავ-ნებელი არის აღმძვრელი სასმელი ყავა, ან ჩია და შაგარი სასმლები. თამბა-ქოს წევა მოწაფეების მიერ სამწუხარო მოვლენაა.

საჭმელი რომ კარგად იქმნეს მონელე-ბული, ამისთვის კარგი კბილებია საჭირო. საჭმლის მონელება შეადგენს საჭმლის მომნელებელ არგანოების სამუშაოს, რომლის დროსაც არავითარი სხვა მუშაო-ბა არც კუნთებისა და არც ტვინისა არ შეიძლება. რასაკვირველია საჭმლის მონე-ლების დროს მოსვენებით ყოფნა მით უფრო საჭიროა, თუ ბევრი და მძიმე საჭ-მელი უჭამიათ. მაგრამ მოზარდ ბავშვებს-კი ბევრი და კარგი ჭამაც სჭირიათ.

შემდეგ მშობლებმა ყურადღება უნდა მიაქციონ მოწაფის მიერ საშინაო სამუ-შაოს შესრულებას, თვალყური ეჭიროს ბავშვის მოძრაობაზე, მის სხეულზე და იმაზედაც, რომ დარჩეს იმდენი დრო, როცა ბავშვს შეუძლიან ის გააკეთოს, რაც სურს. ეს უკანასკნელი მეტად საჭი-როა პიროვნების განვითარებისათვის.

მეტის-მეტი უგუნურებაა ძალა დაატა-ნონ ბავშვს ძნელი სამუშაოთი. ხშირად მოხდება ხოლმე საშუალო სკოლის მცი-რე ნიჭის ბავშვებს ძალას ატანენ, რაც უნდა იყოს, უნდა ისწავლონ, ასე რომ ბავშვები სხედან, ზეპირობენ გაკვეთილებს და ძილის დროსაც-კი გაკვეთილების სწავ-

ლას უნდებიან. რასაკვირველია, ეს მეტად სამძიმოა ბავშვისთვის. ეს ტანჯვა მით უფრო ორკეცდება, რომ სამუშაოს შეუს-რულებლობისა გამო ხშირად სკოლებში სასჯელსაც მიშმართავენ ხოლმე, თუმცა ბავშვმა რაც-კი შეიძლო, გააკეთა კიდეც. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ბავშვის დას-ჯას სკოლაში სრულიად აღვილი არ უნ-და ჰქონდეს. თუ დაბალი სკოლის მოწა-ფეს არ შეუძლიან სწავლა, იგი ექიმთან უნდა მიიყვანონ და არა დასაჯონ. რაც შეეხება ნაავადმყოფარ ბავშვებს, არ შე-იძლება მათ მოვთხოვოთ უთურდ დაეწი-ონ თავიანთ ამხანაგებს და კლასს; მეტის-მეტი ძალდატანება მეტადინეობაში ბო-ლოს ცუდათ მოქმედებს ბავშვზე და უკე-თესია ამ შემთხვევაში მოწაფე დარჩეს იმავე კლასში, ვიდრე ძალას ატანდენ მუშაობაში.

ყველამ იცის, რომ ზოგიერთი სნეუ-ლებით (სიყვითლის სენი, ხშირი თავის ტკივილი და სხ.) უფრო აღვილად ხდე-ბიან ავად ჭალები, რომლებიც ცხოვრე-ბას ურიგოდ ატარებენ, რომ გარდამავალ ასაკში ბავშვებმა ბევრი დაბრკოლებანი, როგორც ფიზიკური, ისე ფსიქიურიც უნ-და დასძლიონ, და რომ ბოლოს ნორმა-ლური განვითარების ხელის შეშლას ცუ-დი შედეგები მოპყვება შემდეგ ცხოვრე-ბაში; დიდი ვნება მოაქვს ახალგაზდობი-სათვის დიდი ხნობით ჯდომას სამუშაო-ზე, რომელსაც აღზრდისა და ნივთიერის მხრით საეჭვო ლირებულება აქვს, აგრეთ-ვე გაძლიერებულ მეტადინეობასაც მუსი-კის შესწავლაში. ყოველი საგანი სერიო-ზულად უნდა იქმნას შესწავლილი და მუსიკის შესწავლაც სერიოზულ შრომას ითხოვს.

სწავლის დროს განსაკუთრებული ყუ-რადღება უნდა მიექცეს ბავშვის სხეულის

მდებარეობას, რაღანაც ერთი რომ სულიერად მუშაობა თვისთვისად დაკავშირებულია სუნთქვის ინტენსიურ მოქმედების შემცირებასთან და მეორედ, სხვა და სხვა მრავალ მიზეზის გამო ეს ნაკლულევანება უფრო და უფრო იმატებს უხეიროდ ჯდომისა გამო. კითხვისა და აგრეთვე ქალების ხელსაჭმის დროსაც, თუ-კი შეიძლება, საჭიროა ზურგი სკამის საზურგეს მიაყრდნონ და სხეულს მისცენ საუკეთესო მდებარეობა.

წერის დროს მეტად ძნელია ავიცილოთ ზურგის მოუხრელობა და თვალის მიახლოება რვეულთან 30 სანტიმეტრის ნაკლებ მანძილზე; ა) საჭირო სიმაღლის საჯდომი (საფეხური); ბ) ტანის მიახლოება სტოლთან (მაგარი, უდრევკი ბალიში სკამის საზურგეზე); გ) საჭირო მანძილის დამყარება თვალისა და მაგიდას შეუ (მაგ. დიდი წიგნი საჯდომზე)—ყველა ეს შეიძლება შინაურის საშუალებით მოეწყოს, მაგრამ თუ მშობლებს შეძლება აქვთ, უმჯობესია შეუკეთონ ან იყიდონ მზამზარეული მოწაფის შესაფერი პარტა. მაგრამ არაოდეს არ უნდა დავიყიშვოთ, რომ წესიერი ჯდომა წერის დროს კუნთების ძალადატანგულს მუშაობას ითხოვს, რასაც ბავშვი დიდგანს ვერ უძლებს, ამიტომ მოწაფებს უნდა ჰქონდეთ, ცოტად თუ ბევრად, მოხერხებული საჯდომი და წერის დროს თვალყური უნდა ეჭიროსთ, რომ ასაკისა და ძალის მიხედვით მოწაფები დროგამოშვებით თავს ანებებდენ წერას, იცვლიდენ მდგომარეობას, ან ამოძრავდენ ცოტად მაინც.

სინათლის წყარო (ლამპა, ფანჯარა) ყოველთვის მარცხნით უნდა ჰქონდეს მწერალს; ნახევრად სიბნელეში არც წერა შეიძლება, არც კითხვა, რადგანაც ეს ძლიერ ავნებს თვალებს.

დაახლოებით ყოველ თვეს მშობლები უნდა სინჯავდნენ თავიანთ შვილებს (განსაკუთრებით ეს ქალებისთვისაა საჭირო); უნდა გაატიტვლონ და შეხედონ უკანიადან ხომ არ გამრუდებიათ ხერხემლის ძვალი, ერთს ხაზზეა თუ არა მხრები, გვერდი ხომ არ ვაღაზეხექილა, ხომ არ გამოწეულან ნეკნები ცალ მხრით მეტად; ნეკნების მდგომარეობის გასასაზღვრავად ბავშვი ტანში უნდა მოიხაროს და გახედონ წინიდან.

სხეულის განვითარებისათვის საჭიროა აგრეთვე კუნთების, მუსკულების შესაფერი ვარჯიშობა და კანის მოვლა. მუსკულების განვითარებას ბავშვებში ხელს უწყობს თამაშობა და სირბილი; ისეთი ვარჯიშობა, რომელიც მუსკულებს ძალას ატანს, აკრძალული უნდა იქმნეს იმ დრომდის, ვიდრე მოწაფეს სხეული საკმარისად არ გაუმაგრდება; ველოსიპედით სიარულის ნება 14 წლამდის არ უნდა მიეცეს. კუნთების ანუ მუსკულების ყოველგვარ ვარჯიშობაზე და აგრეთვე სეირნობაზედაც თვალყური უნდა ეჭიროსთ, რომ მოწაფე არ მოიქანცოს. ბავშვებს ძლიერ უყვართ წრიაპებით ყინულზე დიდხანს სრიალი, დიდხანს ცივს წყალში ჯდომა (უფრო მოზრდილებს). ბანაობის ნება შეიძლება მიეცეს მოწაფეს მაშინ, თუ წყლის სითბო 20° ძირს არ არის. არაოდეს ნება არ უნდა მიეცეს იმდენ ხანს იჯდეს ცივს წყალში, სანამ სიცივისაგან ტუჩები არ გაულურჯდება და კბილები კაწკაწს არ დაუწყებს. მოწაფებს, თუ არ უნდათ ცივ წყალში ბანაობა, ძალა არ უნდა დაატანონ; შეიძლება თან და თან მიაჩვიონ ისინი ცივ წყალს; მაგ. სახლში ცივ წყალში დაზელით. განსაკუთრებით სისხლაკლი და სუსტი მოწაფები 5 წუთზე მეტი არ უნდა დარჩნენ

ცივ წყალში. ვიდრე ბავშვს ბანაობას, ან ცურაობის შესწავლას დააწყებინებდნენ, საჭიროა ექიმს გაასინჯვინონ. თუ ბავშვს სურდო სჭირს ან ახველებს, იმისი არათუ საბანაოდ გაშვება არ შეიძლება, არამედ გარედ გაშვებაც, პირიქით შინ უნდა იჯდეს, რადგანაც ეს „გაცივებით ავაღვახლომა“ შეიძლება სხვა გადამდებ სნეულების ნიადაგად გახდეს.

კანი რომ წესიერად მუშაობდეს, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს სხეულის სიმთელისათვის, მეტად სასარგებლოა თბილი აბაზანები, ამასთან ეს აბაზანი ბავშვმა, როცა სიცივეა, ორ კვირაში ერთხელ მაინც უნდა მიიღოს, მხოლოდ არა მაშინვე, როცა საღილს მორჩიბა. ბანაობის დროს ურჩევენ ყურები ბამბით დაიკონ.

მეტად საჭიროა თვალყური ადევნონ წესიერ სუნთქვას; ამისთვის მეტი უნდა იარონ სუფთა ჰაერზე და ოთახიც კარგად უნდა გაანიავონ. მოწაფები, რომლებიც სუფთა ჰაერზე ცოტას მოძრაობენ, ყოველ დღე ტანში გასწორებული რამდენჯერმე ღრმად უნდა სუნთქვდნენ, ამასთან თუ გარედ არ ცივა, ფანჯრები ღია უნდა იყოს; სუნთქვა ცხვირით უნდა. თუ ბავშვს ცხვირით სუნთქვა უძნელდება, სპეციალ ექიმს უნდა მიჰმართონ.

სხეულის წესიერად განვითარებაში ტანისამოსსაც მნიშვნელობა აქვს. მოწაფები არაფერს ისეთს არ უნდა ატარებდენ, რაც მათს მოძრაობას აყიშროებს; ასეთია ვიწრო საყელოები და ქამარი, კორსეტები, მრგვალი არტახები, ვიწრო წალები. ტალახში ღასვრილი წალები და საზოგადოთ სველი ფეხსაცმელი მაშინვე უნდა გაიხადონ და მშრალი წინდები ჩაიკიან. ძლიერი ფიზიკური მოძრაობის დროს ჰიგიენის მხრით მატყლის ქვემო საცვლები სჯობიან ტილოისას; ქუდს სარჩულად

მატყლის ქსოვილი უნდა ჰქონდეს და არა ტყავი. განსაკუთრებით სუსტი აგებულობის ბავშვებს არ უნდა აცმევდნენ, ისე, რომ ადვილად გაცივდეს, პირიქით იმათ უფრო თბილად უნდა აცმევდნენ, მაგრამ არც ისე სქლად, რომ ბავშვი გაოფლიანდეს.

რადგანაც მოწაფეებს, უფრო დაბალ კლასებისას, მეტი მიდრეკილება აქვსთ გადამდები სენისადმი, ამიტომ ნება არ უნდა მიეცეს სნეული ამხანაგის ნახვისა, ვიდრე ავადმყოფობა გამორჩეული არ იქნება, საჭიროა აგრეთვე აკრძალვა არ შეხვდნენ იმათ, რომელნიც გადამდებ სნეულიანი ავადმყოფის ბინაზე ცხოვრობენ. ყურადღება უნდა მიეცეს, რომ ბავშვებს ფრჩხილები სუფთა ჰქონდესთ, თითოთ ცხვირი არ იჩიქნეონ, არ შეეხონ ხელებით ძალს, კატას, ფრინველებს.

ცნობილია უკვე, რომ მაძლარ ბავშვს მალე მშეიღობიანი ძილი არ შეუძლია; რამდენადც ბავშვი მოზრდილია, იმდენად სიმაძლე უფრო ძლიერ უშლის ძილს. სასურველია, რომ ვახშმობის შემდეგ მოწაფეები არავითარს გაკვეთილს არ უნდა ამზადებდენ და საზოგადოთ არც უნდა აკეთებდენ ისეთს რასმე, რაც ნერვებს აღუძრავს. მეტის-მეტი უგუნურებაა შობლების მხრით, საბავშვო წაყანა ისეთს გასართობდებზე, რომელიც გვიან თავდება, როგორც თეატრი. ბავშვების ბალი, რეტროანები და სხ. უგუნურებაა აგრეთვე გვიან ჭმევა, ძილის წინ. ყოველს კერძო შემთხვევაში გამოცდილებით ადვილად შეიძლება დამყარდეს რამდენი საჭმელი შეიძლება მიეცეს ბავშვს და რა დროს, რომ არ დაუშალონ ნორმალური მოსევნება, ძილი; ვახშმობისას მოწაფეებს მძიმე საჭმელი არ უნდა მიეცესთ, უკეთესია მისცენ ნახევრად წვრიანი საჭმელი, მაგ.

შენელებული რძიანი საჭმელები, რასა-კვირველია, იმ პირობით თუ მათ მოწა-ფები სიამოვნებითა სჭამენ.

უფრო მეტი ყურადღება ბავშვისთვის მაშინ არის საჭირო, როცა გარდამავალი ასაკი დაიწყება მომწიფებისაკენ, რომელიც ვაჟებს საზოგადოთ ცამეტი წლიდან ეტ-ყობათ და ქალებს კიდევ ადრე—თორმე-ტი წლიდან. ამ დროს თორმეტი წლის ქალი რაღაც ორი-სამი წლის განმავლო-ბაში უკვე დამზნილ დედაკაცად ხდება და საჭიროა, რომ ამ დროს განმავლობა-ში ქალი მეტს მოძრაობდეს სუფთა ჰაერზე და დიდის ხნობით წელში მოხრი-ლი არ უჯდეს სამუშაოს. როგორც ქა-ლებს, ისე ვაჟებსაც, საღამოობით სუბუქი საჭმელი უნდა მისკენ, აუკრძალონ მხურ-ვალე საჭმელები და მაგარი სასმელები. რაც შეეხება ვაჟებს, იმათვის საჭიროა სხეულის თანდათან გამაგრება ცივი წყა-ლით, ხშირი მოძრაობა სუფთა ჰაერზე, წოლა მაგარ ლეიბზე, ამასთან ხელი სა-ბანზე უნდა ეწყოთ, ზურგით არ უნდა იწვნენ და არ უნდა იკითხონ აღმძვრელი შინაარსის წიგნები, განსაკუთრებით რო-მანები. შეძლებისადაგვარად უნდა მოა-შორონ ყველაფერი, რაც-კი იმოქმედებს ყმაწვილების გრძნობიერებაზე. დაწოლის წინ სასარგებლოა გირებით ან ჯოხით ხელების ვარჯიშობა. ყურადღება უნდა მიექცეს წესიერად საჭმლის მონელებას, ყმაწვილის საქციელს და დროს გატარე-ბას მეცადინეობის შემდეგ; აგრეთვე უნ-და აეკრძალოს ჯიბეებში ხელების ჩაწყო-

ბაც. ზაფხულის არდადეგებისა და საზო-გადოთ თავისუფლების დროს ბავშვი სწავლისაგანაც თავისუფალი უნდა იყოს. თუ ბავშვები ქალაქებს გარეთ გაისეირებენ, თვალყური უნდა ეჭიროსთ არ მოი-ქანცნენ და საღამოობითაც გვიან შინ არ დაბრუნდნენ.

შესანიშნავმა და აწ უდროოდ გარდა-დაცვალებულმა პროფესორმა პატალოგი-ური ანატომიისამ კეიმ(სტოკჰოლმი), მრა-ვალ მხრივ განვითარებულმა და ჭიკვიანმა კაცმა გამოაქვეყნა ერთად-ერთი ნამუშე-ვარი, რომელშიაც მას, სხვათა შორის, მოპყავს დროს განაწილება და სარგებლო-ბა სასკოლო ასაკის ყმაწვილებისა და ჭა-ბუკთათვის. ეს ნაშრომი დაფუძნებულია მისი შვილებისაღმი დაკვირვებაზედ. იქი-დან არის ამოდებული ჩვენი ცხრილიც, რომელშიაც მოქცეულია ჰიგიენის მხრით მინიშალი მოთხოვნილება ე. ი. რაც სა-მუშაო დროს ორთა შეა რიცხვით უმე-ტესად შესაძლებელია ბავშვებისათვის; ამ ცხრილში მოთავსებული რიცხვები ისედაც გაბევრებულია, რადგანაც კეი უკიდურე-სობამდის მიდიოდა, რადგანაც ანგარიშს უწევდა მაშინ შვეციაში არსებულ სასკო-ლო პირობებს.

მოწაფეებს უნდა დაურიგონ ადვილ-გასაგებად დაწერილი წიგნაკები, რომე-ლიც უნდა შეიცავდეს უმთავრესს ჰიგიე-ნურ წესებს.

თუ როგორ უნდა ატარებდენ ბავშვე-ბი სამუშაო დღეს 6—17 წლამდის, ამას გვიჩვენებს შემდეგი ცხრილი:

- 1) ქ. ო. სამ ღლები თოხ-თხი სათი და სამ ღლები ხუთ-ხუთი.
  - 2) ქ. შლებლე ღლე 10 წუთი, ან 2 ღლები 30 წუთი.
  - 3) ამავი ღა ქუპლები წლებში 30 წუთი ქაჟცელ ღლე.
  - 4) ქ. ო. 20 წუთი ქაჟცელ ღლე.
  - 5) ქ. ო. ამ ღა შეცემი წლებში 30 წუთი ქაჟცელ ღლე.
  - 6) ამა ღა შეცემი წლებში საშენი საშემას კრთ სათი ანდოგებულისა შენისა საშემას კრთ სათი საშემას ნოტაციას.

# ბუნება და სამკურნალო მეცნიერება

(წერილი შექმნა)

უკვდავი მეცნიერი ლუი პასტერი და თვალთ უხლილავი არსებანი

## I

### როგორ გაჩნდა ქვეყნად სიცოცხლე?..

მას აქეთ რაც ადამიანი შესდგა კულტურის კიბის პირველ საფეხურზე, განუშორებულივ სდევნიდა ერთი საკითხიც: „როგორ გაჩნდა ქვეყნად სიცოცხლე?“

მართლაც და ხო იყო ისეთი დრო და ხასა, როდესაც ჩვენი პლანეტა, თონესავით გავარევული დედამიწა, შიშველ-ტიტველი დასრიალებდა, თავს ევლებოდა მზეს უსაზღვრო რიცცები. ჭრა და მაში სულ პირველად როგორ გაჩნდა ქვეყნად სიცოცხლე?..

ამ ეს საკითხი არ ასუენებდა გლობურ ადამიანს და უგელა საუკუნეებათა მეცნიერებს... ადამიანის ჰყაუ-გონებას ერთს დონეზე გახერდეს, გაიინოს, გაითანგოს. მთსე წინასწარმეტველის მიერ 3500 წლის წინად წარმოთქმული ლეგენდით იკვებოს, ქვენის შექმნის გარდმოცემა კვლავ დეჭის, სცოხნის.

ადამიანის ცნობის მოუკარება და აზრთა ბრძოლა მარად და მარად მიიღოდების, მისწავლის ჭეშმარიტებისაგნ; ეძიებს მას უჩინარძლას, დიდ საიდუმლოს და ახალს და ახალის გზით და საშუალებით იკვლევს მის დიდებულ გადაუგად კანონებს... „ცდა ბედის მონახევა“, ამბობს ქართული სიბორნე. მიაღწევს წადილს და მაზანს თუ არ მიაღწევს, ეგ სულ სხვა საკითხია — ნაშევრილად კი გონიერი არსების სიცოცხლე და სიხარული სწორედ რომ შატითსან ბრძოლაში, ჭეშმარიტების ძიე-

ბაში გამოიხატება — სიცოცხლის მიზანს, მის ინტერესს, იდეას სწორედ რო ეს კვლებადიება შეადგინს. ბუნების საიდუმლოთა თვითგვეულ დარგის აღმოჩენა მთელს სიცოცხლედ დარს.

დადა ადამიანი მართლაც და ძროხა კი არ არის მარტოდენ ჭამა-მაზე, საცოხნელზე ჭყიქრბდეს და ხთლო როცა ჭასაკს მიადანებს, ახერდება, ახლა კიდევ იმის ზრუნვაშიდა იუს — როგორ უგეთ გაამიავლოს თავის შეგავსი თაობა...  
—

უუქელე, დროის და შეა საუკუნეებშიაც თვითხორცულებისა მეცნიერების ჩვეულებრივი მოვლენად მიაჩნდათ. არისტოტელი, ეს უუდიდებულები ფილოსოფი შემოქმედი ბუნების მეტველებისა, ასე ჭრიებიდა, რომ უფერი იყენებდეს სმელი სხეული ნოტიის შეისვამს თუ არა — ერთ რამ ცხოველს გაჩენს ხთლმეო. აგრეთვე როცა ნოტიი ან სტელი რამ სხეული გაშენება, წამსვე სიცოცხლე აღმოცენდებათ. პლინიუსი, ეს გამოჩენილი მეცნიერი, ბუნების მეტველი და ენციკლოპედიისტი იმ აზრისა იყო, რომ როცა დილის ნამი კომბოსტოს ფითოლზე შეშრება და შესქელდება, წამსვე გაჩნდება კომბოსტოს მატლი, სტეპულე ჭა (ჭუპრი). ხთლო ჩრჩილი მტვრისაგან ჩნდებათ; ბავაურ და თაგვი ასე ძლიერ იმიტომ მრავლდება, რომ თვით ჩასახით ჩნდებათ. ამ გვარი შემცდარი აზრი დიდხანის მეფისდა მაშინდელ მეცნიერებაში...  
შხოლოდ შეჩვიდშეტე საუკუნეში მეცნიერება

ჰარვეი (Harvey \*) რომელმაც აღმოჩნდა სისხლის ბუნება და საფუძველი დაუდა ჩვენი ღრმის ფიზიოლოგიას, ამან ჰარვეიმ შირველმა დაკანონის ეს მცნება და დებულება ცნობილ ფარმაციით: „Omne animal ex ovo“ ე. ი. უგველი ცხოველი გვერცხიდან იძალებათ...

დღეს უგველა ჩვენგანმა ვიცით, რომ არ თუ ფრინველები უგველი ცხოველი და თვით აღმიანიც გვერცხიდან იძალება და არც თუ ის დაა ჩვენთვის საიდუმლო, რომ ცხოველთა სსექულში ვიღრებდის ცოცხალია სისხლის ბრუნვა (მიმობრუნვა) მარადის სწარმომას.

მაგრამ ჰარვეის მისი ღროვის მეცნიერები მთელი ათი წელიწადი მასხარად იგდებდნენ — სიცოლად არ ჰყოფნიდათ რაღაც სისხლის ბრუნვა და გვერცხიდან აღამანის გაჩენა...

ჰარვეის თანამედროვე მეცნიერები თავისას გაიძახდნენ: „უგველივე სიცოცხლე თვით ჩასხვით წრმინდება და დღესაც ასე სწარმომასთ. —, უ თუ ჩვენ თვალწინ აშკარად არ სდება პრ ცესი თვით ჩასხვისა, როდესაც ხროფში ატლი ჩნდებათ!?.

მაშინ მეცნიერმა რედიმ ბევრ ნაირ საბუთებით დაამტკიცა მოწინააღმდეგება ცრუწარმოდენია. — ხორცის მატლების მოვლენა ხომ სულ ადვილი ასახსნელი იყო: — შეასჭირო ხორცი ზეწარში ისე, რომ ბუზებმა ხორცი ვეღარ ჩასხილონ ე. ი. შიგ გვერცხი ვეღარ ჩადონ, ხორცი რასაკვირველია ახში მაინც დალებება, მაგრამ შიგ მატლი კი აღარ გაჩნდებათ, ვინაიდგან ხორცში გაჩენილი მატლი, ეგ ბუზის გვერცხიდან გამოჩეკილი ბლარტებია და სხვა კი არაფერი. ამ გვარად რედიმ სამარადისოდ დარღვია, დაასაშარა „თვით ჩასხვის“ ჰიპოტეზა.

—

\*) ინგლისელი განთქმული მკურნალი დამარსებელი ფიზიოლოგისა — დაიბადა 1 აპრილს 1578 წ.

განვითარდა შიკროსკოპი, აღმოჩნდა სრულებით შემთხვევით მთელი მსოფლიო თვალთ უხილავ არგანიზმოთა და კვლავ აღსდგა, აღთქმინდა თვითჩასახეის ჰიპოტეზა.

„თვითჩასახეის“ მქადაგებელი და მომხრენი ასე საზრავეენ: „ზოგიერთა არგანიზული სითხი, როგორც მაგალითად ხილცის ბულითი (ნახარში წვენი), რძე, და აგრეთვე მთხვერშელი ხილის ანუ ბოლცნეულობის წვენი ისე ვერ შეგვინახა, რომ ან არ დამტავდეს, ან არ აიჭრას. ისე თვალით არ ეტერა რა და შიკროსკოპის ქვეშ კი რო გასინჯავ წაშვე პირს კატა გეცემა — აუარებელი ცოცხალი ასებანი შიგ ფუთფუთობენ... ჰოდა მაში რითა აისწენება ეს მოვლენა თუ არ თვით ჩასახვითად...

დიდად განსწავლული მეცნიერი ბიუფფონი დიდი მიმდევარი და მქადაგებელი იღლანა დიელ განთქმულ მეცნიერის ნიდგემის იდეებისა, 1745 წელს შეეცალა თვალსაჩინო საბუთებით დაემტკიცებინა, რომ სივრცილი არ ასებობსთ... როდესაც არგანიზმი (ცოცხალი სხეული) ვეღება და იშლება (იხწენება), მართალია თავის ინდივიდუალურ სახეს, ასებობას ჰყარგავს, მაგრამ სხეულის ნივთიერებათა ნაწილები კვლავ ერთდებინ და ჰქონიან ახალ სიცოცხლეს — წარმოსდგებიან მიკროორგანიზმები თვალთ უხილავი ცოცხალი ასებანით. —

ნიდგენიმი კათოლიკე აბბატი იუ. ამის თეორიის წინააღმდეგ გამოვიდა არა ნაკლებ განთქმული მეცნიერი სპალლანცანი, აგრეთვე აბბატი ტომით იტალიელი. ამან განიმეორა იგივე ცდა რაიც ნიდგენიმშა მთახდინა და ბოლოს იმ დასკვნას დაადგა, რომ მცენარეულობის და ხილის ნახარში წერებში, და სხვა რეგანიულ სითხეებში, მაგალითად რედიში ჰაცვიდან ჩაცვიდა ხოლმე შიკროთორგანიზმოთა (თვალთუხილავ ასებათ) აუარებელი თესლი და სენტებულ სითხეებში ჰიპოტეზებს

შესაფერ ჰირთბების, აქ მრავლდებიან და ვის თანდებიანი. ჭრა და ამა ისე ძლიერ ააღვეულო იგი სითხენი, რომ ჭარიდან ჩაცვინული თესლები სრულებით მთისარშოს, მაშინ მერწმუნეთ ადარავითარი სიცოცხლე აღარ აღორძინდება და სხვა... .

ამზედ ნიდგემში დიდის თავდაჭრით დარბაისლური შასუსი გასცა თავის მიჰპირდანირეს აბარს სპალანცანის: „მაშისადამე უნდა ვიგულისხმოთ—თუ მე საკმაოდ ვერ გავაცხელე, თქვენ კი ბატონ, იმდენად ძლიერ აგილულებიათ იგი სითხე, რომ თვით ჩისახვის ასაღორძინებელი ნიაღავი სრულებით მთკისპიათო. კადეც ებ ღულილა მიზეული რომ ადარავითარი ცოცხალი არსება არ გაჩნდა თქვენს სითხეშით და სხვ... .

ამ გვარად საკითხი მაინც გამოუჩივეველი დარჩა, მაგრამ ამ შეცნიერთა თეორეტიულ კამათობამ კი ცხოვრებაში დად მნიშვნელოვანი სარგებლობა მოიტანა. იმ დროს როდესაც ეს მოგამათენი შეცნიერების მაღალ ფარდებში განცენებულ კითხვებს არ კვევდნენ, ვინა მე ჯამშირიასებ პრაქტიკული ჭერის პატრიოტი ფრანგმა აპერტა შესანიშნავად ისარგებლა აბდართა კამათით და სპალანციის შეტოვით შეუდგა კონსერვების მომზადებას, როთაც დიდი ძალი სიმღიდოები შეიძინა, მიღითნების პატრიოტი გახდა.

აპერტა ათი ათასობით დაამზადა თუნექის კოლოფები ჩააწერ შიგ ახლად მთხარშეული სრულეულობა, თევზეულობა, სილი და მწვანილი; კოლოფების თუნექისე გადახურა გადააკრა და შეტე დია პირებზე კალა წაუსვა დააგავშირა ისე მშედრობა, რომ სანოვაგით საფსე კოლოფები ჭარი გერსაიდნ შესულიყო. მერე ამ გვარად დამზადებული სავსე კოლოფები ჩააწერ საარაუე ჭებში და ისე ძლიერ აღუდა რომ კოლოფები სანოვაგი გელავ მთისარშა.— დღეს უგელა ჩენგანი ვიცნობთ კონსერვებს— სარდინის თევზი (სარდინე) მაინც ხო გვი-

ჭამია ასე მომზადებული. ამ ბოლო წლებში ჩვენშიაც გაგრცელდა ატმის კონსერვების მომზადება— უფეხული წლივ ასი ათასობით კოლოფებით მისდის ამერიკის კავკასიაში მომზადებული ხილის კონსერვები: ატმისა და სხვა ხილეულობისა.

დააღ აპერტისთვის სულაც არ იყო საჭირო შეცნიერულად აესხა რად ინახება კონსერვებით რამდენიმე წლიდით სრულებით გასუსრწნელად\*). აპერტს მსოფლიდ უკულები უსართდა. მისი ფირმა დღესაც არსებობს პარისში და მარტი ეკრისაც კი არ სფეროდება, აშერივის მიურუბულ აღგილებშიაც კი გამართა ქასხები, რაღაც იქ შედარებით საკლავის იაფებაა და ახლა უკელა სასელშეითოს შეტაღრე საშედრო უწევებას აპერტისთვის აძლევს უფეხულ გვარ კონსერვებს: ხორცი, თევზი, ხილი, მწვანილი და სხვ... .

ეს ამბავი იშვიათი შემთხვევა არ არ მეცნიერების ისტორიაში. შეცნიერი გატაცებული იბრძების რათა ბუნების წიაღში ჩაიხედოს; იგი ლამთბის ბუნების გულთმისანი გახდეს, ბუნების საიდუმლოებანი გამოამჟღვნოს, — მეცნიერების კუთვნილებად გახადოს, დააღ სწორედ იმ დროს, როდესაც ბუნების მესაიდუმლე თავდაფიტებამდე გართულია და სართვეს ბუნების გადაუგალ უცხო კანონებით, ამ დროს გინმე პრაქტიკული ჭერის პატრიოტი სარგებლობის განცენებულ მეცნიერის გელევა-ძიებით, ნაშრობი-ნაღვაწით და სხვის უნარს ცხოვრებას ში გამოიერებს ხოლმე სალხთა და პირად თავის კეთილ-დაულების აღსაუგავებლად... .

დააღ, ბატონებთ, სწორედ ასე გაძლიერდა თანამედროვე კულტურა: რეინის გზა, როთქლ-

\*) განთქმულმა ქიმიკოსმა გე-ლიუსაკმა ანალიზით გამოიკვლია აპერტის კონსერვებთა კოლოფებში მომწყვლეული პაერი (გაზი) და მართლაც ვერ აღმოაჩინა შიგ უანგბადი (მუანგბადი) ე. ი. ის გაზი, რომელიც ანთებს ცეცხლს და აწარმოებს სუნთქვას.

შავალი ხომალდები, ელექტრონის ძაღა და სინათლე; ტელეგრაფი და მრავალი სხვა დარგი კულტურისა ვიდრე ზესკნელს ჭარში ფრენა და ქვესკნელს ზღვის გულში ხელის პორინი.

შაგალითად დიდებულ ფიზიკის ფარადეის ომი არ ამოქანინა ინდუქციის ნაკადული, მაშინ ხო აღარც გვექნებოდა დღეს ელექტრონი და მისი ძაღა-ძალიერება, ომეულიც დღეს ათას გვარად ემსახურება მთლად კაციბრიბას—ქვეუანა ცას ეწია და საკეთილ-დღეოთ შეცვალა ადამიანთა ცხოვრების ვითა-რება.

—

განვლილ საუკუნეს (XIX) პირველ ნახევარში „თვეით ჩასახვის“ ჰიპტოზამ მართლაც და ბევრი მომხრე მოიჩვა მეცნიერთა შერის—თითქმის რომ თეორიად გადაქციეს ეს რაღაც თით ჩასახვა. მომხრეთა შერის ვერდევთ სახელებს: ბიოფონი, ნილჰეიმ (1745 წ.) პუშე და სხ. შტინადმდებელი იუვნენ: რედი, სპალნცანი შულთცე და სხვ. ამავე საკოთხის გმირკვევაზე მუშაბდნენ: ჰე-ლიოუსაკი ქანთქმული ქიმიკისი, შრედერი (1859 წ.), დუში, აგრეთვე ტინდალი განთქმული ინგლისელი ფიზიკისი და სხვ.

შაგრაშ უკულაზე გამწვავებული მომხრე თვით ჩასახვისა იყო პუშე. ერთის სიტუებით ბოლოს და ბოლოს იქამდე გაიტაცა ნატურალისტები, რომ 1858 წელს ცნობილმა ბუნების მეცნიერებულმა ზემოდ დასახელებულმა პუშემ წარადგინა პარისის სამეცნიერო აკადემიაში თავისი შრომა და კვლევა-ძიება, სადაც, შითომდა უოვლად დაურღვევებული საბუთებით ამტკიცებდა, რომ „ქვეუად სიცოცხლე, იმავ პირველადვე თვით ჩასახვით გაჩნდა და ახლაც ასევე ჩნდებაო“...

ასტუდა უკრნალ-გაზეთებში დიდი განგაში.

შეცნიერი შეშე შედგარის იერიშით ეკვეთა თავის თავის თავის ტერნენტების. კამთა და აზრთა ბრძოლა უმწირვალეს გამწვავდა. ბოლოს პარიზის სამეცნიერო აკადემიაში ივისრა დიდი თასსნობა—1860 წელს ჯალდოთ დანიშნა დიდი პრემია ამ თემაზე, რომ ერთხელ და სამუდამოდ გამორკეულიყო „თვით ჩასახვის“ საკითხი. პირთამაც ის იყო, რომ საკითხის საბოლოოდ გამოსარგვევად მისი დედა აზრი არ უნდა იყოს თეორიებით დატვირთული, დამტკიცილული და ბუნდოგანი, არმედ საგანი საღათ ახსინლი, ცხადი და აშკარა.

არავინ უწევის, იქნება რო აკადემიის პრემია დღესაც მიუსაჯებელი დარჩენილიყო, მაგრამ გაცოცხლილის საბედნიეროდ და შეცნიერების სასახელოდ, საფრანგეთს ჰქონდა ამ დღს უბევ სახელ განთქმული შეცნიერი, გენისი მამულის შეილი ლუ პასტერი, რომელსაც სიცილადაც არ ჰყოფნიდა რაღაც ბაგშური აზრი „თვითჩასხვა“.

## II

ლუი პასტერი და მისი მოღვაწეობა.

უუღილებულესი მეცნიერი მეცნიერებული საუკუნისა, გენისი ბუნების მეცნიერებული ლუი პასტერი (Louis Pasteur) დაიბადა საფრანგეთში ქალაქ ლოლში 27 დეკემბერს 1822 წელს—მამა მისი სამსახურიდან გამოსახული სალდათი იყო, რომელსაც ცხოვრების საღსრულდ დაბადის რაღაც პატარა ქარხანა ჰქონდა გამართული.

პატარა ლუ სწავლის და ჯერ არბუა \*) კოლეჯში და მას შემდეგ ბეზანსონში. აქ რო ბაკალავრის (მეცნიერის) სარისხით კურსი დაასრულა, მერე 1843 წ. ახალგაზდა ლუ მიიღეს Ecole Normale-ში, სადაც გატაცებით სწავლის და კიმიას.—

\*) ეს ორივე ქალაქი დოლი (Dôle) და არბუა (Arbois) საფრანგეთშია იურის დეპარტამენტში.

1848 წ. ლუი პასტერმა დაამთავრა თავისი პირველი მეცნიერული შრომა შესახებ ღვინის მჟავისა \*) ამ შრომაში დიდი ცვლილება მოახდინა ქიმიაში — სრულებით ასაფი პრინციპები გააშექა. იმავ წელს ლუი პასტერი მიიწვიეს ფიზიკის პროფესიონალ ქ. ლიუინ-ში... სამი თვეის შემდეგ ქიმიის პროფესიონალ დანიშნეს სტრასბურგში. —

1854 წ. შეგებ ცნობილი მეცნიერი პასტერი მიიწვიეს ქ. ლილში ბენგაძის-მეტეველების ფაკულტეტის დეკანად. სამი წლის შემდეგ (1857 წ.) პასტერი დამრჩნდა პარიზში, სადაც ხელმძღვანელობდა სამეცნიერო მუშაობას Ecole Normale-ში. აქ, ამ უმაღლეს სასწავლებელში, პირველად დადს უხერსულობას განიცდით განთქმული მეცნიერი პასტერი. მაგალითად, არ ჭირდნა უმთავრესი რაოც სამეცნიერო შრომას სტირია. არ ჭირდნა საკუთარი კათედრა და შეტანებული დაბარატორია ნაუკონფიდენციალური სამეცნიერო შრომისთვის. პასტერმა ვერ შესძლო მოზღვავებულ მეცნიერულ აზრთა ტალავების შეგუბება, შეჩერება. გატაცებულმა მეცნიერმა აიღო და ისედაც მცირეთავის ბიუჯეტი პასტერმა დაბარატორიას

\*) ღვინის მჟავა ეწოდება იმ მარილს ბაზარში რო პყიდიან და „ლიმონის მარილს“ (Лимонная кислота-ს) რო შეცდომით უძახიან. ცველანი იკრიბოთ, შაბიგით თეთრი კვინწებია. — ღვინის მჟავა მზადდება ქიმიურად ღვინის მარილიდან, ამ ღვინის მარილსაც ბევრი იკრიბოთ — ქვევრის ან. ბოჩკის კედლებზე დაილექავს და შეახმება ხოლმე მოწითალო ქერლებია მაგარი. ღვინის ზოგან ყრიმთართას (Caemartartari srud.) ეძახიან. აი ამ ღვინის მარილიდან წარმოსდგება (აკეთებენ ქიმიურად) ღვინის მჟავა (Acid. tartaricum) ანუ ღვინმარილმჟავა (ქართულ. ქიმია). ვიმეორებოთ, რომ ხალხი და მოვაჭრენი შეცდომით ეძახიან (ამ პრეპარატს ლიმონის მარილს, რადგან ნამდვილი ლიმონის წვერიდან ამზადებენ ლიმონის მჟავა-ს (Acid. citricum) ანუ ლიმონის მარილს.

მთელი მომავალი შრომაში — სადღაც ქნდარაზე ამ სასწავლებლის სახლის „კრიშაში“ თავის ხარჯით გამართა შესაფერი დაბარატორია.

1857 წ. პასტერმა გამოაქვეყნა თავისი შესანიშვნა გამოგვლევაზი. აშენა და დაუკავშირდება საბუთებით პასტერმა პირველმა დაამტკიცა, რომ შაქრის სპირტით დუღილი გამოწვევებით ხდებოდა თვალთ-უჩინარ არსებათა სიცოცხლის პროცესით. ეს თვალუსილება ცოცხალი არსებანი (დროულის სკოები) აღთობინდებიან, სცოცხლის და გითარდებიან, მრავლდებიან იმ სითხეში, რომელის დუღილიც თვით გამოიწვიეს. მაგალითად უურძნის წვენის (ტებილს რო ვერა-სით) შაქარი მთლად არ გადაიქცევა ხდება სპირტად და ნახშირმჟავა გაზათ (მაჭარი); არამედ ტებილის უწყებული ნაწილი ისარჯება (მაჭარი) თვით ბაქტერიების სიცოცხლეზე, მათი ბამების (უჯრედების) აშენებაზე. ხდება შედეგადაც თან კეთდება გლიცირინი და ქარვის მჟავა.

ეს საკვირველი აღმოჩენა დიდად ეწინააღმდეგებოდა მაშინდელი მეცნიერების, (ლიბიანის სკოლა) თეორიას. მაშინ მეფიდა ის აზრი, რომ მაჭარის დუღილი ქიმიკ-მექანიკური აქტია და სხვა კი არაფერით. ამათმა პროცესტებმა ვერ შეაჩერეს გენიფის მკველევარი. პასტერმა კედლებ აღმოჩინა, რომ რძის დუღილის გამოსაწევებადც (მაწონი) საჭირონი არაა ერთ გვარი ფერმენტები (საღვივარი) რომელიც დაიწებენ ხდება რძეში აღთობინებას, გამრავლებას, ფუფუნებას, მაგალითად ამ მზა დედათი (საღვივარით) შეიძლება სხვა ახალი რძეც შეაღედოთ (მაწონი) და სხვ... .

ამ აღმოჩენას მთელი კიდევ სხვა სასწავლი. თუკმე ერბის მაღუდებელ ვიბრიონების (vibrion butyriques) მხოლოდ უჭაროდ მეტადანთ სიცოცხლეს აღთობინება, გამრავლება. ამ შე

სანიშვნაშია აღმოჩენაშ საფუძველი დაუდო ახალ შემცირებას მიკრობიოლოგიაში. ბაქტერიები გაჲუვეს თრ ჯურად (ტიპი): 1) ჰაერობები უწოდეს იმათ, რომელიც ჰაერს საჭირობენ თავიანთ სიცოცხლის პროცესისათვის.—და 2) ანჰაერობები, რომელთაც მხოლოდ უჰაეროთ შეუძლიანთ აღთქმინება, სიცოცხლე და გამრავლება. ბოლოს პასტერმა იქამდე შეისწავლა მიკრობიკანიზმითა ცხოვრება, რომ უველი ბაქტერიას თავის შესაფერი საზრდო-საკვებავი გამოჲნახა—. ხელვუნირად შეუქმნა ბაქტერიებს მათი საუვარელი საცხოვრებელი შირქბები. უველი ჯურა ბაქტერიას ცალკ-ცალკე კულტურად ინახავდა—თავის წება-სურვილზე ჭევებავდა ზრდიდა, ამაველებდა, იყვნებოდა მათს ხასიათს უნარს და სხვ. ასე გასინჯეთ სხვა და სხვა გვარის ბაქტერიებს ერთმანეთთან აჭიდავებდა ხლოშე კიდეც.

—

ა. სწორედ ამ დროს, როდესაც დუი პასტერი უკეთ დაშასხურებული და უველი განათლებულ ქავეუნებში სახელგანთქმული აგრძორიტეტი იყო, დანდონის სამცირეო სამეცნიერო საზოგადოებაშ ჯერ 1856 წელშივე მიუ-

საჭა თქონს მედალი ლუი პასტერს სამცირეო-რო შრომა-მოღვაწეობის გამო.—

დაად სწორედ ამ დროს 1860 წ. საფრანგეთის სამცირეო რო აკადემიაშ გამოთაცხადა ის თემა და თანაც დიდი ჯილდო—შრემია დაუნიშნა იმას, ვინც კი ცხადდივ და სადა, უვალასათვის ადგილ გასაგებ საბუთებით გამოთარ-გმევდა შართლად არსებობს თუ არა ბუნებაში „თვითჩასახვა“? \*) შართლაც და სტერილუ ერთხელ და სამუდამოდ ჰქონდა საფრანგელი დასდებოდა ამ საინტერესო საკითხს: „როგორ გაჩნდა ქვეყნად სიცოცხლე იმავ თავითვე პირველადგვე?“...

პასტერიც გაბედულად შეუდგა ამ საკითხის გამოყენებას.

#### ილ. ალხაზიშვილი.

(შემდგენ იქნება)

\*) ვისაც გსურსთ გაიცნოთ მეცნიერთა დღევანდელი შეხედულობა და აზრი ამ საინტერესო საკითხზე, გირჩევთ წაიკითხოთ პროფესორის კოსტიჩევის ახლად გამოცემული ბროშურა: „О появленіе жизни на земле“. А. С. Панафидикой 1913 г. С.-Петербургъ (Петроградъ), Итальянская ул. 29.—ღირს 25 კ.

## სახალხო განათლების მოღვაწენი

### იასონ კაპანაძე

(დასასრული)

ი. კაპანაძემ დაარსა უკელაზე ადრე სოფ. ბოსლევში საუთიერთო ამხანაგობა (წვრილი კრედიტისა), რომელიც 1912 წლის გასულს მანვე შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობად აქცია. მისის მეოხებით დაარსდა მისდამი რწმუნებულ ორკლასიან სასწავლებელთან წიგნსაცავი, რომლის-

თვისაც რუსული წიგნები, მშვენივრად ყდაში დაკაზმულები, უმეტეს ორი ფუთისა, მოსკოვის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისაგან მიიღო უფასოდ. ქართული წიგნების მოსაპოებლად კი დაავალდებულა თითოეული წევრი საურაიერთო ამხანაგობისა, რომ თითოეულ

მათგან საამხანაგო კასიდგან გატანილ მანეთზე კაპიკი ბიბლიოთეკის სასარგებლოდ დაეტოვებია, რადგან ი. კაპანაძე ამხანაგობიდგან თავის მძიმე შრომისათვის გასამრჯელოს არ ღებულობდა — ეს ფული დღეს ექვს თუმნამდის ადის და მალე გაეგზავნება ქ. შ. წ.-კ. გამ. საზოგადოებას ქართული წიგნებისათვის.

დღეს სოფელი ბოსლევი, რომელიც ამ შვიდი-რვა წლის წინად იმდენად დაკვეთებული იყო სწავლა-განათლებით, რომ ამ ვეებერთელა სოფელს (800 კომლუჟე მეტი მარტო გლეხობაა თავაღაზნაურების გარდა) თავის სოფ. კანცელარიისათვის მწერალი და მღვდელი გარეშე სოფლებში უნდა ეძებნა მუხლ-მოდრეკით (ექვსი მღვდელია, ექვსივე გარეშე სოფლებიდგან ჰყავთ მოწვეული), წარმატების, წინმსვლელობის გზაზე სდგას და ვერცერთი სოფელი ვერ სჯობნის მას. და ეს კი სულ აქ დაარსებული სკოლის წყალობაა, რომლის დამაარსებელსაც გლეხობა სასიკვდილოდ არა ზოგავდი ამ ცამეტთოთხმეტი წლის წინად ზოგიერთა მღვდლების შთაგონებით.

თვით ი. კაპანაძე, ცოლშვილით დატვირთული, ყოველთვის დიდ სიღარიბეს იტანდა და იტანს დღესაც, თუმცა კი იგი დღე და ლამ მოსვენებას არ აძლევდა თავს: დილის რვა საათიდგან ნაშუადღევის ორ საათამდი სკოლაში მაცადინობდა გლეხების ბავშვებთან, მერმეთ ნახევარს, ან სულ დიდი, ერთ საათს მარტო საღილასა და მოსვენებას ანდომებდა, და სამი საათიდგან ისევ ღარიბ აზნაურის შეილებთან მაცადინობდა კერძოდ, რადგან გლეხები მათ თავის სკოლაში არ ღებულობდენ. ეს ბავშვები აძლევდენ ი. კაპანაძეს თვეში ერთი მანეთიდგან სამ მანეთამდე, მაგრამ ეს მცირე საშრომელიც

დიდ შემწეობას აძლევდა მას, რადგან თავის პატარა ჯამავირს იგი ხშირად მას მასახლისის წყალობით ნახევარ წლობითაც ვერ ღებულობდა. ასე საღამოს ექვს-შვიდ საათამდე, და ზაფხულობით მეტსაც კერძო ბავშვებთან იქანცებოდა, შემდეგ, ვახშმის მაგიერ ჩაის დალევდა პურით, თუ ეწეროდა, თორემ და ისე ნახევრობით მშეერი მოწაფების რვეულებს ასწორებდა, ან ახალ გაკვეთილებს ამზადებდა ბავშვებისათვის შემდეგი დღისათვის. რვეულების გასწორებას მორჩებოდა თუ არა, უურნალ-გაზეთების კითხვას შეუდგებოდა და ან კორჩესპონდეციების წერას ჰყიდებდა ხელს ადგილობრივ გაზეთებისათვის და მკითხველ საზოგადოებას აწვდიდა პრესის საშუალებით ღირს შესანიშნავ ამბებს სოფლის ცხოვრებიდგან.

ხშირად უფრთხობდა იგი ძილს სოფლის მოხელეებს და მაზრის უფროსებსაცკი, როცა ხელავდა მათგან სოფლის გლეხების შევიწროებას, რის გამოთ მასაც ხშირად დიდი უსიამონება ხედებოდა ხოლმე იმათგან. ორჯერ-სამჯერ მაზრის უფროსებმა კიდეც უჩივლეს მას დირექტორთან და თხოულობდენ კაპანაძის თავიდგან მოშორებას, მაგრამ ამ მხრივ დირექტორი ბ. ლევიცკი დიდათ საქები იყო: სოფლის მასწავლებელს იგი ტყუილ-უბრალოდ არასოდეს არ დასჯიდა. ერთხელ სენაკის მაზრის უფროსი, ბებურიშვილი, ჩამოვიდა სოფ. საჭილაოში, სადაც კაპანაძე მსახურებდა, იმის გამოსაძიებლად, თუ ვინ უგზავნიდა იქიდგან მის ძილის დამფრთხობ კორჩესპონდეციებს რუსულ გაზეთებს, და როცა გაიგო ამას იქაური მასწავლებელი კაპანაძე სჩაღიოდა, მაშინვე ჩაიჭრა ქუთაისში და დირექტორთან ამოპყო თავი საჩივლელად... დირექტორი ძლიერ გაუჯავრდა ი. კაპანაძეს, რომელ

საც სხვათა შორის ამ სიტყვებით მიჰმართა დ. სამტრედიაში, სადაც იგი ჰყავდა მას დაბარებული მაზრის უფროსის საჩივრის გამო ... „Несчастного сельского учителя последней стороны давить, и как вы сможете вооружить против себя юнаго начальника, въ которомъ мы чутъли не каждый день нуждаемся?!

ი. კაპანაძეს ღირებულება აუკრძალა წერა და უჩჩია, თუ დრო ექნებოდა თავის ნაწერები იმ ორგანოსათვის გაეგზავნა, რომელსაც კავკასიის ოლქის მზრუნველი ჰბეჭდავდა. კაპანაძემ აღუთქვა დირექტორს, რომ ის ამ ორგანოსაც გაუგზავნიდა წერილებს. თუმცა ეს ასეც იყო, მაგრამ მას მაინც არ მოუთმინა გულმა და მერმეთ შორაპნის მაზრის მოხელეებს გავლო თავის ბასრი კბილი, რისთვისაც ახლა შორაპნის მაზრის უფროსმა უჩივლა იმავე ღირებულებითან, რომელიც ნახა ზესტაფონში იმ დროს, როცა ის სარევიზიოდ იყო ბ. ო. იოსელიანთან მის ორ კლასიან სასწავლებელში. აქ მაზრის უფროსს თან ახდენ სტრაუნიკები და ბოქაული პოლიციისა ა. წერეთელი, რომელიც ეხლა მომრიგებელ შუამავლად არის. ბ. იოსელიანში დაინახა თუ არა სკოლის ეზოში მაზრის უფროსი ბ. ჯაყელი სტრაუნიკებით და ბოქაულით განციფრდა და გაკვირვებით უთხრა ღირებულების — ეს პოლიცია ან მე მიკერს და ან თქვენაო.

მაზრის უფროსი შემოვიდა თუ არა სასწავლებელში, მაშინვე საიდუმლოდ ინახულა ღირებულები და თითქმის ერთი საათი გასტანა მისმა საჩივარმა ი. კაპანაძეზე. მერმეთ, როცა წასულიყვნენ, ღირებულების თ. იოსელიანი შეეხმო თახში და დაღვრებით ეთქვა: „ეს რა ამბავია, რომ კაპანაძე ამ პოლიციელებს არ ასვენებსო: ამას წინად სენაკის მაზრის უფროსმა ბე-

ბურიშვილმა უჩივლა და ახლა ესეც უჩივის“, და სთხოვა იოსელიანს, რომ პასუხი მოეთხოვა კაპანაძისათვის, მაგრამ იოსელიანს ამაზე უარი ეთქვა. შემდეგ ღირებულება თვითონ მოსთხოვა პასუხი კაპანაძეს. კაპანაძემ პირადათ ინახულა ღირებულები. გამოუტყდა მას კორესპონდეციის დაწერას, უთხრა რომ იგი უკელაფერს სიმართლესა სწერდა და დამტკიცებაც შეუძლია მისი, რაც დაუწერია და სწერს. მაგრამ ყველა ამას დრო, მოცულა და საშუალება უნდა და ესენი არც ერთი არა აქვს კაპანაძეს, რომ იგი სამამართლოში ეთრიოს პოლიციელების საჩივრის გამო და სთხოვა გულმოლებინეთ — არ გაემულავნებია მაზრის უფროსისათვის მისი ფსევდონიმი. ღირებულებიც დაეთანხმა, თუ კი რედაქტორი გაზეთისა არ გაამჟღავნებდა...

ერთი სიტყვით, ცოლშვილით დატვირთული ი. კაპანაძის უმეტეს 37 წლის სოფლის მასწავლებლობის სამსახური წარმოადგენს მოწამებრივ ტანჯვა-წამებას და გამუდმებულ, პატიოსან შრომას იმ ბნელ ძალებთან, რომლებიც ცხოვრების მშვენიერ სინამდვილეს ჩრდილავენ და უხუთავენ სულს.

ბ-ნი ი. კაპანაძის (თავბერა) წერილები, რომლებიც მოთავსებული იყო დრო-გაშვებით 1876 წლიდან დღემდის სხვა და სხვა ადგილობრივ გაზეთებში, უფრო დღიურ ვარამს ეხებოდა და ყოველთვის საჭირბორო საკითხს უყენებდა თვალწინ მკითხველებს. ბ-ნი კაპანაძე უფრო ხშირად რუსულად სწერდა, რომ სხვა და სხვა მოხელეების უკუღმართი საქციელი გაუმდავნებელი არ დარჩენილიყო და დიდ ბობოლებსაც ყურადღება მიექციათ.

აქვე მოვიყვანთ სათაურს ზოგიერთ უფრო საყურადღებო წერილებისას, რომელიც დაუსრამბავს სხვა და სხვა დროს.

1) სოფლის მასწავლებლის შენიშვნები რუსული ენის სწავლების შესახებ სოფლის სკოლებში „Обзоръ“ 1878 წ. № 80 \*).

2) ზომები გლეხთა ნაშრომის ექსპლოატაციის წინააღმდეგ, „Закаве. Обозрѣній“ 1887 წ. № 73.

3) სოფლის მასწავლებლის შენიშვნა ქართული ენის სწავლების შესახებ ჩვენს სკოლებში.

4) კავკასიელი გლეხის ქალები.

5) ხმა სოფლის მასწავლებლის ქუთაისის გუბერნიიდან.

6) ერთი გამოცემის შესახებ.

7) ხალხის განათლება.

8) საზოგადო ბიბლიოთეკები, როგორც საშუალება ხალხის თვითგანვითარებისა.

9) წერა-კითხვის გავლენა მუშათა შრომის ნაყოფიერებაზე.

10) წვრილი კრედიტი სოფლად.

11) დავა ერთი წყლულია გლეხთა შორაპნის მაზრაში.

12) სოფლის მოხელეები.

13) სოფლის ინტელიგენცია.

14) სოფელი და ფოსტა.

15) ს. საჭიროა და რკინის გზა.

16) საშინაო აფთიაქები სოფლის სკოლებთან.

17) საექიმო და საპიგიერო კურსები სოფლის მასწავლებლთათვის.

18) ჭიათურის რკინის გზის შტო.

19) ყვირილის ხეობა.

20) სოფლის ცხოვრება.

\*) ამ წერილში სამართლიანი პასუხი გამოიწვია 1878 წლის „დროების“ მე-№ 66 ფურცლებზე ჩვენი ძვირფასი აღ. ჭიათურაშისაგან, რომელიც დღეს ტფილისის ქართულ გიმნაზიის დამეჭტორად იქმნა მიწვეული და მაშინ კი ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლის ინსპექტორი იყო.

21) ჩვენი სტატიისტიკა.

22) წურბელა ჩარჩები ქუთაისის გუბერნიაში.

23) საექიმო დახმარება სოფელში.

24) სოფლის მწერლები.

25) იურიდიული დახმარება სოფლისათვის.

26) სოფლის მოხელეთა არჩევნები.

27) გამიჯვნის დაგვიანების მიზეზები.

28) სამეურნეო ცოდნა და სოფლის სკოლები.

29) მიწის საკითხი. უმიწობა. მოუსავლობა სხვ.

გარდა ამ გვარ საგაზეთო წერილებისა და კორესპონდეციებისა ი. კაპანაძეს აქვს დაბეჭდილი მოზრდილი სტატია სოფ. საჭილაოზე, სადაც ის მასწავლებლობდა

22 წელ. ეს სტატია აქვს მას დაბეჭდილი „კრებული მასალათა აღსაწერად ადგილთა და ტომთა კავკასიათა, გამოცემა

XXVII, კავკასიის სამოსწავლო უწყებისა-გან. 1901 წელში თვიურმა უურნალმა

„მოგზაურმა“ მოათავსა პირველს ნომერულივე თავისი ბიბლიოგრაფიული შენიშვნები.

მშვენიერ ღროს გამოუშვა ამხანაგების დახმარებით წიგნაკი „Годосъ сельскаго учителя съ запиской дѣятелей по народному образованію“. ამ წიგნაკში აღწერილია უკიდურესი მდგომარეობა სოფ. მასწავლებლებისა. ამ წიგნის რამდენიმე ცალი გაგზავნილი ჰქონდა. სახელმწიფო სათათბიროში დეპუტატ მილიუკოვს რამდენიმე ხონის ახლო-მახლო სოფ. მასწავლებლებისაგან.

1909 წელში ვრცელი მოხსენება გაუგზავნა ტფილისში სოფლის მეურნეთა კრებას, სადაც საუკეთესო საშუალებად სოფელში სამეურნეო ცოდნის გაფრცელებისათვის მას სოფლის სამინისტრო სკოლე-

ბი მიაჩნია. ამ შოხესენების ტეზისები და-  
ბეჭდილია წიგნში: „Труды первого кав-  
казского сельского хозяина въ 15—24 ноября 1909 г. въ Тифлисе“.

ამ ოცი წლის წინად თორმეტი წლის  
განმავლობაში მიწათა სამინისტროს ორ-  
განმში ჰეზავნიდა კორრესპონდეციებს  
ადგილობრივის ამიდებისა და მოსავლის  
შესახებ.—

მანვე 1909 წელში მოახდინა თავის  
მოწაფებიანად ექსკურსია კიათურისაკენ,  
რაზედაც საკუთარო ვრცელი სტატია გაუგ-  
ზავნა კავკასიის სამოსწავლო უწყებას. ეს  
სტატია დაბეჭდილი მოზრდილს წიგნში  
და შეიცავს უმეტეს 37 გვერდსა.

შედგენილი აქვს ქართულ ენაზე სოფ-  
ლის სკოლების პირველ განყოფილებისა-  
თვის კრებული არითმეტიკისა, რომლის  
გამოცემასაც პპირდება მ. გაჩეჩილაძე.

ი როგორ ახასიათებდა ი. კაპანაძეს,  
როცა ის ჯერ კიდევ ახალგაზდა მასწავ-  
ლებელი იყო, ერთი კორესპონდენტი, რო-  
მელიც მოგზაურობდა 1878 წელში იმე-  
რეთ-სამეგრელოში, და სკოლებსაც ათვა-  
ლიერებდა (ფელეტონი გაზ. „დროება“-ში  
14 მარიობისთვე № 121)... „აქ გულშე-  
მოყრილი (მაშინდელ აბაშის სამინისტრო  
სკოლაზე ლაპარაკობს), წამობდანდით ს.  
საჭილაოში; დაათვალიერეთ აქაური სკო-  
ლაც. გული გაგინათლდებათ, წინათვე  
გახარებთ. სასოფლო გზის მახლობლად  
მშვენიერი ვაკე, კაკლნარით და სხვა ხე-  
ებით დამშვენებულ აღგილზედ, ხის მშვე-  
ნიერი დიდ ბალკონიანი საუცხოვო სახ-  
ლები. სასკოლო ზალა ვრცელი და მშვე-  
ნიერად მორთული, მასწავლებლის ოთა-  
ხები უურნალ-გაზეთებით და სხვა და სხვა  
წიგნებით სავსე და სხ. თვითონ მასწავ-  
ლებელი მშვიდი და წყნარი ხასიათის ყმა-  
წვილი კაცი, რომელსაც საზოგადოება

ეპურობა ძმურათ, მეგობრულათ, თავა-  
ზიანათ; ჰეთხვენ რჩევას ყველაფერში და  
ერწმუნებიან, როგორც კეთილის მყოფს“...

აქ უნდა შევნიშნოთ კიდევ, რომ ბ-ნი  
კაპანაძე ყავლებან, სადაც-კი მასწავლებ-  
ლობდა თვისი წყნარი, მშვიდი ხასიათით  
და სწავლების მეთოდებით, მოწაფეებთან  
მოპყრობით, თვისი სამაგალითო საქციე-  
ლით ავტოცენტრით პაწია მოწაფეებში არა  
მარტო ცოდნას, სწავლას, არამედ ზრდი-  
და კიდეც მათში კეთილ მიღრეკილებათა,  
რაც სამწუხაროდ ყველა მასწავლებელს  
ვერ ეხერხება. როცა მოწაფეებს ურიგებ-  
და ნიშნებს მათი სწავლაში წარმატების  
შესახებ, ამ-ფურცლებზე კითხულობდით  
სხვა და სხვა აფორიზმებს სწავლის საჭი-  
როების შესახებ; მოკლე დარიგებას მშობ-  
ლებისადმი, თუ როგორ უნდა აღზარდონ  
ბავშვები და სხ. ერთი სიტყვით ეს უან-  
გარო მოღვაწე. სიტყვით და საქმით ყველ-  
გან სინათლეს ჰფენდა და დღესაც უკვე  
მოხუცებულს არ შეუწყვეტია მუშაობა  
პედაგოგიურს ასპარეზზედ.

მალიარიამ, დამპალმა ცივებ-ცხელებამ,  
ი. კაპანაძე და მისი ოჯახობა იძულებუ-  
ლი გახადა დაეტოვებია სოფ. საჭილაო.  
22 წლის სამსახურის შემდეგ იგი გადავი-  
და რაჭაში ნიკორწმინდის ორკლასიან  
სასწავლებელში, სადაც პავა ბევრად უკე-  
თესი იყო საჭილაოსაზე. ამ გარემოებამ  
მეტად დააღონა საჭილავლები.

ამ გადასვლის გამო ვინმე „სუჯუნე-  
ლი“ (ფსევდონიმია) 1897 წ. გაზ. „ცნო-  
ბის ფურცელში“, № 317, სხვათა შორის,  
ასე სწერდა: ... ეს გარემოება (გადასვლა  
საჭილაოდგან ი. კაპანაძისა) მეტად სამ-  
წუხაროდ შეექმნათ ყველა საჭილოველებს.  
სწორედ უნდა ვსოდა, იმისთანა მშრომე-  
ლი, შეგირდების მოყვარული, მშვიდი და

მუკაითი სწავლაში მეტად იშვიათია ჩვენ  
დროში. მასთან შეგირდათ ყოფილნი  
ზოგნი მღვდელნი არიან, ზოგნი სოფ.  
მასწავლებელნი, ზოგნი მედავითნენი და  
ზოგნი რკინის გზის სამსახურში კარგი  
ადგილი უჭირავთ. იასონ კაპანაძემ გახსნა  
ამ სოფელში სკოლაზე უფასო სამკით-  
ხველო და მით ბევრს მისცა ზეზეულად  
სწავლა-განათლება. და მართლადაც ძვი-  
რად გამიგონია, ამდენ ხანს ერთად-ერთ  
სოფელში ერთი და იგივე მასწავლებელი  
რომ ყოფილიყოს ასე პატიოსნად როგორც  
ზემოხსენებული ო. კაპანაძე“...

თითქმის ეს 38 წელიწადი გადის, რაც  
ი. კაპანაძე საზოგადოების სამსხვერპლო-  
ზე სწავლების თავის სიკუოცხლეს, სწირავს  
არა მარტო თავის თავის ბეღნიერებას,  
არამედ თავის ოჯახობის ბეღნიერებასაც

ბევრი დევნა, სიმწარე და უსიამოვნება  
გამოუცდია ი. კაპანაძეს ზოგიერთი სა-  
ხალხო სკოლების ინსპექტორებისაგანაც.  
იგი არა ერთხელ ყოფილა წარდგენილი  
დასათხოვად დირექტორთან.

მას ძლიერ ავიწროებდენ განსაკუთრებული განვითარებით ქართული ენის სწავლებისათვის სკოლაში. ამიტომ ერთხელ შან გავზავნა საჭიროადგან ორი გლეხი ქუთაისში სათა-გალ-აზნაურო სკოლის ინსპექტორთან აღ. ჭიჭინაძესთან, და სოხოვა მათი პირით — დაეწერა მათთვის თხოვნა, რომ ქართულ ენას საპატივო ადგილი ჰქონილა მათ სკოლაში, რადგან სკოლა სრული მათის ხარჯით იყო გახსნილი და ინახებოდა კი-დეც მათის ხარჯითვე. ბ. ჭიჭინაძემ დიდის სიამოვნებით აუსრულა მათ სურვილი: დაეწერა თხოვნა. ეს თხოვნა გლეხებმა დაუყოვნებლივ გაუგზავნეს მაშინ-დელს ოლქის მზრუნველს ბ. იანოვსკის, მაგრამ მან ეს თხოვნა მაუდ ქვეშ ამოსდო და არავითარი ყურადღება მიაქცია.

მხოლოდ ი. კაპანაძე ამის გამო კინაღაბ  
მთლად უადგილოთ არ დასტოვეს. ამის  
შემდევ გამოუგზავნეს კაპანაძეს, ბ. აშორ-  
ლის მიერ შედგენილი მეგრული ანბა-  
ნი, და დაავალეს—მეგრული ენის სწავ-  
ლება შემოელო ქართული ენის მაგიერ,  
რადგან ეს სკოლა (მარნის) იმყოფებოდა  
სენაკის მაზრაში. ეს ანბანი ი. კაპანაძემ  
უკუ აგდო შვატში და უყურადღებოთ  
დასტოვა. მოვიდა ინსპექტორი ბ. პერე-  
ვოზნიკოვი და ერთი ალიაქოთი აუყენა  
და კიდეც წარადგინა. იგი დასათხოვად  
დირექტორთან, რომელსაც თავის მოხსე-  
ნებაში ასე სწერდა: ... „**такъ какъ онъ,  
Капанадзе, въ своихъ дѣйствіяхъ идѣтъ,  
въ разрѣзъ съ распоряженіемъ попечи-  
теля округа, то прошу его удалить съ  
занимаемой имъ должности“** და სხვ. ამის  
შემდევ მოვიდა მასთან თავად დირექტო-  
რი ბ. ლევიცკი. ი. კაპანაძემ აუხსნა მას  
დალაგებით, რომ თუმცა სკოლა მართა-  
ლია სენაკის მაზრაშია, მაგრამ იქაური  
მცხოვრებლები იმერლებია და მეგრულის  
სრულებით არა გაეგებათ-რაო, დასამტკი-  
ცებლიდ ამისა მიუთითა მასთან ახლო  
მდგომ სკოლის მოსამსახურეზე, რომელიც  
ჩაის უსხამდა მას და რომელიც იქვე სკო-  
ლის ახლოს ცხოვრობდა, და უთხრა: ის  
ეს მოსამსახურე აქაურია და რამდენიმე  
წელიწადი ჩემთანაა სკოლაშით და რო-  
გორც ახლა, ასე ყოველთვის ქართულად  
მაქვს მასთან ლაპარაკი, რადგან მეგრული  
არც მან და არც მე ვიციოთ... მეორე  
დღეს ი. კაპანაძე გაჰყევა დირექტორს მე-  
ზობელ სკოლაში სოფ. ნაერაკოში, რო-  
მელიც დ. აბაშის გვერდითა სძეს. როცა  
კაპანაძე და დირექტორი გადაცილდებ  
ნაცხენიწყლევს, ი. კაპანაძე ეუბნება დი-  
რექტორს: „**ი ახლა გადავედით სამეგრე-  
ლოშით, მაგრამ ქართული მეგრელებს**

აქც კარგათ ესმისთო, რადგან მეგრული ენა გადასხვაფერებული ქარიული ენა არისო". ეს დრო იყო შემოდგომა, როცა გლეხობა, ქალი და კაცი, დიდი და პატარა, მოფენილი იყო უანებში სიმიდის სატეხათ. ი. კაპანაძე ქართულად უძახდა შორიდგან იმათ გამარჯვებას და ისინიც ქართულად ვე უპასუხებდენ, მხოლოდ ერთგან უპასუხებს მეგრულად: „ღორენთი გაგიმარჯოს პარტენი“ მაშინ ი. კაპანაძე აქცევს ამაზე უურადღებას დირექტორისას და ეუბნება მას, რომ თუმცა ის კაცი მეგრულად მიპასუხებსო, მაგრამ იგივე ქართული სიტყვებიაო. დირექტორი ეუბნება: „და, ესტ დრესტრიტენი ჩერიკოვის სამითებელი... საქმე ამით გათავდა. მეგრული ენის სწავლებაზე მერმეთ ძალა არვის დაუტანებია მისთვის, მაგრამ ცველასაგან ცნობილმა ბ. პერევოზნიკოვმა მეორე დღესვე გამოუარა კაპანაძეს საჯავახოდგან და დაუწყო ბავშვებს ისევ ცდა რუსულს ენაში. როცა გაიგო, რომ დირექტორი უურადღებოდ სტოვებდა მის მოხსენებას მეგრული ენის სწავლების შესახებ და მასწავლებლის დათხოვნის შესახებაც, ბრაზმორეულმა სხვათა შორის ეს ჩაუწერა სარევიზით წიგნში: ...„изъять немедленно изъ употребленія какуи то расписку Гогенбаумили“, და გაუდგა გზას. ნახვარი წლის შემდეგ პერევოზნიკოვმა კიდევ ინახულა სკოლა, რის შემდეგაც დირექტორი სწერდა ი. კაპანაძე: „въ виду того, что Вы, какъ доноситъ инспекторъ Перевозниковъ, болыше времени употребляете на преподаваніи грузинскаго языка, у Васъ въ школѣ русскій языкъ хромаетъ, что и ставится Вамъ мною на видъ и въ случаѣ повторенія реше, будете удалены отъ должности“. ი. კაპანაძის ილბალზე პერევოზნიკოვი თა-

ვათ იქმნა გადაყვანილი... დანიშნეს ინსპექტორად დმიტრიევი. მან მოახდინა რევიზია სკოლებისა და შემდეგ რევიზიისა თავი წაუყარა დ. აბაშაში ახლო-მახლო სოფლის მასწავლებლებს ბავშვების მიერ რუსულათ ნაწერი. რვეულებით. აქ პირველათ ი. კაპანაძეს მოსთხოვა მისი მოწაფეების რუსული რვეულები. დაუწყო ფურცელა. არ მოეწონა და ეკითხება: „Вы читали циркулярное распоряженіе г. Полечителя округа относительно введенія письма?“ ი. კაპანაძე უპასუხებს, არა ვიცი-რაო. ინსპექტორი მაინც ეუბნება: „არა, როგორც ძველმა პედაგოგმა კარგად უნდა იცოდე ეს ცირკულიარული განკარგულება მზრუნველისაო. ცირკულიარებს ხომ ღებულობო?“ ვლებულობო, ეუბნება კაპანაძე, მაგრამ ზოგიერთი ნომრები ფორმაში იკარგებაო და ეგებ იმ დაკარგულ ნომრებში იყო ეგ მზრუნველის განკარგულებაც. ი. კაპანაძეს ინსპექტორი ხმას აღარ სცემს. იწვევს ახლა აბაშის სკოლის გამგეს კ. სალაყაისა და აწერიებს ოქმს. ამ დროს ი. კაპანაძე ეუბნება ინსპექტორს: „Шეიძლება თქვენ იმ ცირკულიარზე მითითეთ, რომელიც მზრუნველმა ამას წინეთ გიმნაზიების და რეალურ სასწავლებლების შესახებ გამოცაო. მაშინ ჩავთავენ ჩვენც იმ პირობებში, რომელგანიც ეს სასწავლებლებით შეგისრულებთ წადილსაო“. ამ სიტყვებზე ინსპექტორმა უყვირა მას ისე, როგორც აფიცერი სალდათსა: „молчать и не разсуждать!“ დამსწრე მასწავლებლებმა გატრუნებს ხმა. მხოლოდ ერთმა სუჯუნის სკოლის გამგემ ბ. ვ. გავუამ გაბედა და უთხრა: ჩვენ უველას, თუ უარესი არა, ასეთი რვეულები გვაქვსო, რადგან თქვენი წინა მოადგილები ამ გვარად არ თხოუ-

ლობდენო, და სთხოვა—მისი მოთხოვნილების შესრულება შემდეგი დროისათვის გადაედო. ინსპექტორი დასთანხმდა, მაგრამ ხელშერილი ჩამოართვა მასწავლებლებს, რომ მოთხოვნილებას უსათუოდ აუსარულებდენ.

ინსპექტორის ყვირილმა: „**Молчать и не разсуждать!**“ ისე იმოქმედა ი. კაპანაძეზე, რომ ერთკვირაზე მეტი გუნებაზე არ მოსულა.

ეს კიდევ არაფერი. მოვიდა შინ და ინსპექტორს გაუგზავნა, როგორც დაბარებული ჰქონდა მისგან, ასლი მის მიერ სარევიზიზო დავთარში ჩაწერილ შენიშვნებისა. მეორე დღესვე უკან უბრუნებს ინსპექტორი ამ ასლს ი. კაპანაძეს შემდეგი ფიცხელის მოწერილობით: „**На какомъ основаніи Вы, Милостивый Государь, изволили допустить изменение въ моей ревизіонной записи? Стражайше предписы-ваю списать вновь и выслать немедленно... ам მიწერილობამაც კიდევ უარეს ცუდ გუნებაზე დააყენა ი. კაპანაძე, რომელმაც ხელ-ახლა ამთიწერა ეს პირი და ამგვარი მოხსენებით გაუგზავნა მას:** „**Въ силу Вашего „стражайшаго“ предписанія имѣю честь вновь выслать копію съ Вашей ревизіонной записи, вторая, на-дѣюсь, ни въ чёмъ не будетъ отличаться отъ первой копіи, потому что я, слу-жа дѣлу народнаго образования изъ любви и по принципу, никакъ не позволяю себѣ допустить такое машеничество, въ которомъ Вы меня обвиняете.**“

ამას ბევრი უსიამოვნება მოჰყვა: ბოლოს ი. კაპანაძემ ისესხა ფული, წაიღო სარევიზიზო წიგნი ქუთაისში და უჩვენა დირექტორს, რომელიც დარწმუნდა, რომ სრულებით არავითარი ცვლილება არ იყო მომხდარი წიგნიდგან ამთწერის დროს.

ვათავებ ამით ამ წერილის წერას, რაღან იგი მეტად გაგრძელდა და მასთან ძნელი და აუწერელია ყველა ის ვაება და სულის კვეთება, რაც კი ი. კაპანაძეს გადახდენია სოფლის მასწავლებლის ცივსა და ეკლიანს სარბიელზე. დანარჩენ უსიამოვნებებზე, რომლებიც კაპანაძეს გადახდენია ბოსლევის სკოლაში ზოგიერთა ინსპექტორების წყალობით სხვა საუკეთესო დროისთვის გადავდებთ. ამ გვარის მოპყრობით ბ. ინსპექტორები, რასაკვირველია, სწავლის საქმეს აფერხებენ, რაღან მასწავლებელს ხშირად ენერგიას ულახვენ და საქმისაღმი სიყვარულს უსუსტებენ. შესაძლოა ი. კაპანაძესაც ზურგი ექცია ამ მაღალ და წმიდა საქმისათვის, მაგრამ მან აღთქმა მისცა სასწავლებელში სწავლის დამთავრებისთანავე ცხონებულ დეკანოზ დ. ლამბაშიძეს, რომ იგი გადაუხდიდა თავის აღმზრდელს პატივისცემას მით, რომ შეძლებისდაგვარად, მთელ თავის სიკოცხლეს სწავლა-განათლების საქმეს შესწირავდა, რომლითაც იგი მეტ სარგებლობას მოუტანს ხალხს, და მართლაც არა ერთსა და ორს სოფლის გლეხს გაუხსნა მან სურვილი თავის შვილის აღზრდისა არამც თუ საშუალო სასწავლებლებში, მაღალ სასწავლებლებშიც-კი.

როცა გავითვალისწინებთ ი. კაპანაძის, როგორც სახალხო მასწავლებლის მოღაწეობას, უნებლიერ დაგვაფიქრებს ჩვენი ხალხის აწმუნ და მომავალი. რა იქნებოდა დღეს ჩვენი ხალხი და მისი მდგომარეობა, რომ კაპანაძისთანა ერთგული მოამაგე ჩვენს ხალხს გვერდში ბლოკად ჰყოლოდა. მაშინ ბოროტი ძალები ვერ იძარ-ჰაშებდნენ თავისუფლად და სახალხო განათლების საქმეც არ ასცდებოდა იმ სწორ

გზას, რომელზედაც კაპანაძე მიჰყვებოდა ამ 38 წლის განმავლობაში.

ვუსურვებთ ბ-ნ კაპანაძეს კიდევ დიდ-ხანს ჯანსაღად სიცოცხლეს და მხნეობას

იმ ეკლიანს გზაზედ, რომელსაც იგი გულ-მოდგინებით ჰყაფავს ბეღნიერის მომავლი-სათვის.

მეგობარი.

## ბ-ნ არჯევანიძის სკოლა წალენერის ტექმი

**ც**რიალ მნიშვნელოვან და დამახასია-თებელ ხანაში ცენტრობთ, — იგი თანა-მედროვე ადამიანს ისეთ მოთხოვნილებათ უყვნებს, რომელთა შესახებ წინად არა გაეგებოდათ რა: მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარმა და მეოცე საუკუნის და-საწყისმა ცხოვრებას სრულებით ახალი, წინად არ არსებული, ელემენტები შესძინა; ცხოვრების ტემპი მოულოდნელად მეტად აიწია; რკინის გზამ, ორთქლმავალ-მა, ელექტრონის ტრამვაიმ, ტელეგრაფმა და განსაკუთრებით ტელეფონმა ადგილის სივრცე შეამოკლა და დროისა და უამის მსვლელობა დააჩქარა. ამის გამო ცხოვ-რების შინაარსი ძალზე გაიზარდა, ე. ი. შემთხვევათა და განცდათა რაოდენობა განსაზღვრულ დროს განმავლობაში ახლა შეუდარებლად უფრო მეტია, ვიდრე წი-ნათ; რასაც უმაღლ რამდენიმე კვირა და თვეები სჭირდებოდა, დღეს ამისთვის სა-ათი, ანუ დღეა საკმარისი.

ცხოვრების ამგვარი ინტენსივობა თავის მხრით ჩვენი მოქმედების ტემპის გაცხო-ველებასა და დაჩქარებას მოითხოვს. მრა-ვალი მოვლენა და შემთხვევა ურთიერთს სცვლის და ჩვენგანაც სწრაფსა და აქტი-ურს რეაქციას მოითხოვს; ცხოვრების ნა-კადი თანდათან მარდათ მიექანება და სა-პასუხო რეაქციის ყოველს დაგვიანებას

ჩვენის მხრით აუნაზღაურებელი ზიანი შეუძლია მოგვაყენოს. თუ წინად თითოე-ული ნაბიჯის დინჯად და აუჩქარებლად გასინჯვა შეგვეძლო, სამაგიეროდ ახლან-დელი დრო ჩვენგან გაბედულსა და დაუ-ყონებლივ მოქმედებას მოითხოვს. თანა-მედროვე ადამიანს თავის კაბინეტიდან ტელეფონის საშუალებით შეუძლია დედა-მიწის ყოველ კუთხიდან საგულისხმიერო ამბები შეიტყოს; ყოველ მათგანის გავ-ლენა თავის საქმეებზე მან უნდა გამოირ-კვიოს, გაითვალისწინოს და აწონ-დაწი-ნოს. ამა თუ იმ შეტაკებას, ვთქვათ, მა-როკოში, რევოლუციის ჩინეთსა და სპარ-სეთში, ანუ რომელსამე ახალს აღმოჩენას შეუძლია სულ დალუპოს იგი, ანუ გაამ-დიდროს და ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი სისტრატით რა ზოშები მი-იღო, — მაგალითად, ურალზე, მოსკოვის ბირჟაზე, ბაქოში, ანუ ჭიათურაში. ტე-ლეფონი და ტელეგრაფი სულ რამდენსამე წამში, ანუ საათში ათასეული ვერსიის იქით გადასცემს ხოლმე მისს სურვილს, რაც სხვა ადამიანთა მეოხებით მაღალ საქ-მედ იქცევა და ხორცს შეისხამს.

ასეთი სწრაფი ნაბიჯით ცხოვრების წინმსვლელობას თითოეულმა პიროვნებამ, — სულ ერთია კოლექტიური იქნება იგი, თუ ცალი ერთეული, რაკი სურს საკუთა-

რი ინდივიდუალობა შეინარჩუნოს და ამ ქვეყნიურ მეჯლის არ მოსწყდეს, ალღო უნდა აულოს და დროის შესაფერად იმოქმედოს. ხალხის კეთილდღეობის და წარმატების უტყუარ წყაროთ, როგორც ვუწყით, სწავლა-განათლება იყვლევა. „ხალხი, რომელსაც საუკეთესო სკოლები აქვს, — ამბობს უიულ სიმონი, დღეს თუ ხალუსათუოდ შეიქნება მოწინავე ხალხად ქვეყანაზედ“. ამიტომაც ყველა კულტურულ ქვეყნებში ცხოვრების ეს მხარე საზოგადო მოღვაწეებს, სწავლულებს და მეცნიერებს მთავარ ყურადღების და კვლევა-ძიების საგნათ გაუხდიათ.

შეოცე საუკუნე, ბავშვთა საუკუნეთ ითვლება. დღეს არსებულ სკოლებისა და სწავლა-განათლების ყოველ-დღიურ გადაფასება სწარმოებს. სასტიკ ბრძოლას უკანადებენ ძველს უხეირო სწავლების წესებს და ნაცვლად ახალ-ახალ უფრო გონიერულ და შესაფერ სისტემას იმუშავებენ.

ამ უამაღ შავ-ბნელ საერთაშორისო მდგრადირობის გავლენით გერმანიას, რომლის უმთავრეს მიზეზად ის ითვლება, „ბარბაროსების“ და „ველურების“ ქვეყნათ ვნათლავთ. ხოლო ჩაც უნდა იყოს ეს მხარე მეცნიერების კერად ითვლება და ერთი უკულტურესი სახელმწიფოთაგანია. სწავლა-განათლების და აღზრდის საკითხებიც აქ ღრმათ განათლებულ მოღვაწეების და კეშმარიტ მეცნიერების ყურადღებას იპყრობს და თავისი საზრუნავ საქმეთ დაუსახავთ. გერმანიაში არსებობს რამდენიმე პედაგოგიური მიმართულება (მონისტიური, პერბარტისტიური, სოკიალური, ექსპერიმენტალური და სხვ.); რომელთა მამამთავრებათ გამოჩენილი მოაზროვნენი ითვლებიან. მათ შორის ხშირად ცხარე ბრძოლა სწარმოებს. ხოლო ამ პედაგო-

გიური ბრძოლის დროს მათ საერთო ლოზუნგებიც აქვთ. ყველანი ერთხმად თავისუფალ პიროვნების აღზრდას მოითხოვენ, სადაც ყოველ ინდივიდიუმს ფართო თავისუფალი ადგილი უნდა ჰქონდეს დათმობილი. უარყოფენ პედაგოგიურ შაბლონებს. არსებული სკოლები ხელოვნურ მანქანებათ მიაჩინათ და მოითხოვენ ბუნებას, თვით ცხოვრებას დაუბრუნდეთო. „მეტი მხიარულება სკოლაში, დავუახლოვდეთ კეთილშობილურ ხელოვნებათა წყაროებს!“ გაიძახიან ისინი.

ამრიგად ძველი შეხედულება თან და თან ადგილს ახალს უთმობს. ძირიანად იცვლება აზრი მოწაფესა და აღზრდის არსებასა და პირობებზე.

ამ მხრით, როგორცა ვსთქვით, დიდ დამოუკიდებლობას და თავისებურებას იჩენენ გერმანიაში. აქ და სხვა კულტურულ ქვეყნებშიც ბუნების მეტყველებას, გეოგრაფიას და საზოგადოთ ყველა იმ საგანს, რომელსაც ბუნებასთან კავშირი აქვს, ამ უკანასკნელის წიაღზე ასწავლიან. ხშირად მოელი კვირაობით და თვეობითაც ჩვეულებრივ სკოლების შენობის გარეთ, — ტყესა და მინდორში მაცალინბენ! გარდა ჭმისა აარსებენ Balde hseule-ს (სკოლა ტყეში) განსაკუთრებით სუსტ და ჩამორჩენილ ბავშვთათვის. პირველი ასეთი სკოლა გახსნილ იქნა შარლოტენბურგში. ამ უამათ გერმანიის ტყეებში არსებობს მთელი წევბა სახალხო და საშუალო სასწავლებელთა. ამგვარივე სკოლები არსებობს ინგლისში და ავსტრიაში. მსგავსი „სკოლა სანატიორიუმი“ დეფექტიან ბავშვებისათვის ექიმმა კოშჩენკომ მოსკოვშიც გახსნა. ხოლო გასულ ზაფხულს წალვერის ტყეში ზემო დასახელებული სასწავლებლების სისტემის სკოლა დაარსა ბ-ნშა არჯევანიძემ.

ეს სკოლა მდებარეობს სოფლელთა და მოაგარაკეთა მოშორებით ფიჭვნარით და-ფენილ მაღლობზე, საიდანაც წალვერი და მისი მიღამოები ხელისგულივითა სჩანს. ქვევით დაბლობში მეტადგადაშლილ ბუნების კალთაზე გაშენებულია სოფელი, რომელსაც ერთგულ დარაჯებათ გარს შემორტყმია მუდამ მწვანე კოკოჩანებით შემოსილ ნაძვ-ფიჭვნარით აქოჩილი მთა-გორები. ტყეს შიგა-და-შიგ ფოთლიანი ხეები აფერადებს და სილაზათესა ჰმატებს. მთებ შორის არსებული ნაპრალები და ხევები ზოგ მათგანს განმარტოვებულ-გან-დგომის შეხელულებას ანიჭებს და თავის მოყვანილობით ამა თუ იმ გეომეტრიულ ფიგურებს გვაგონებს. ერთის მხრით ქვევით დაქანებული მთები თითქო ლამობენ ვაკეს გაუსწორდენ, მეორე მხრით კი, მის გასწვრივ მთების მწვერვალებს ცის კიდურის მიღწევა განუზრახავს, საიდანაც მეულიდურად მოსჩანს შიშველი ეგრეთ წოდებული „გვირგვინის მთა“, რომელსაც ზაფხულის ლეგა ღრუბელი ხშირად გვირგვინის სახით თავს დაწვება ხოლმე. აქეთ ახლო ორ უზარმაზარ კლდეებს შორის ვიწრო ხევში მთის მდინარე მორბის, რომლის მაღალ ნაპირზე ჩავინი წარსულ დიდების უტყვი მოწამე ძველებური დიადი ციხის ნანგრევი არის. ამ „ზურმუხტ“ ბუნებას ზევითა ხურავს რაღაც თავისებური სილამაზით მომაჯადოვებელი „ფირუზზი ცა“.

სკოლა განსაკუთრებით სუსტ აგებულების და სწავლაში ჩამორჩენილ ბავშვთა-თვის არსებობს. ხოლო აქ ცხოვრება, ცხადია, ზედმეტი არავისთვის არ იქნება და ყველას არგებს. სკოლაში ოცამდე სხვა და სხვა ეროვნების ბავშვი ებარა, რომელთა შორის ქართველები ნახევარზედ მეტს შეადგენდენ. სკოლის დამარ-

სებელის მიერ შედგენილი ყოველდღიური წესრიგი და ცხოვრების პირობები დაახლოვებით ასეთი იყო: ბავშვები დილით აღრე დგებოდენ, ქვეშაგებს ასწორებდენ, ფეხსაცელებს იწმენდენ, შინაურს ფრინველებს აპურებდენ და ცხოველებს საკვებს აძლევდენ. შემდეგ საუზმედ პურს, კარაქს, კვერცხს და რძეს აძლევდენ. მაცადინობრივ ნუსხას ამინდის მიხედვით ყოველ დღე ახალს ადგენდენ. კარგ ამინდში საუზმის შემდეგ ბოსტანში მუშაობდენ. შემდეგ რამდენიმე ბავშვი საგვნებში მაცადინობდა, დანარჩენები თამაშობდნენ. დაახლოვებით 12 საათზე კვლავ საუზმობდნენ. მერე ძერწვაში ვარჯიშობდნენ და მოძრავ სათამაშოებს ასრულებს დენ; თფილ დღეებში მდინარე ში ბანაობდნენ. 4 საათზე სადილობდნენ. აძლევდენ  $\frac{1}{4}$  გირ. დაკეპილ ხორცსა,  $\frac{3}{4}$  გირ. კარტოფილსა და წვანილებსა. მეორე კერძი ხილის „სიროპისაგან“ შეძეგბოდა. ნასაღილებს ისვენებდენ. შემდეგ ხატავდენ, გიმნასტიკას თამაშობდენ. გიმნასტიკას თავისუფალი ხასიათი ჰქონდა საქანელა, მონტესორის კიბე, ოთხვერდიანი სხვა და სხვა სიმაღლისა და სიფართის ფიტრის ლიანდაგები. საღამოობით მსუბუქათ ვახშმობდენ და სიმღერა-თამაშით ერთობოდენ. პიანინს, მანდალინს, გიტარას უკრავდენ (ლმეტესად ბავშვები) და ადგილობრივ კუკვა-თამაშსა მართავდენ. საზრდოობა მონტესორის სისტემით სწარმოებდა: ხორცს ცოტას აძლევდენ.

პედაგოგისათვის აუცილებელად საჭიროა თავისი მოწაფის ჯანმრთელობისა და ფიზიკურ განვითარების პროცესის ცოდნა. მოზარდ ყმაწვილის ესა თუ ის ფიზიკური მდგომარეობა მთელ მის არსებაში შესაფერ ცვლილებას იწვევს. მაშასადამე გაძლიერებული გონებითი მაცადინობა იმ

დროს, როცა ბავშვის შინაგანმა მხარემ—სულმა ენერგიის ნაწილი სხეულს უნდა დაუთმოს, ზოგიერთ ორგანოს ნორმალურ განვითარებას შეაფერებს და სამწხარო შედეგებს გამოიწვევს. ამისათვის მოწინავე პედაგოგები დაუინებით მოითხოვენ სკოლებში შემოღებულ იქნას ეგრეთ წოდებული „მედიცინური ფურცლები“, სადაც სასკოლო ექიმს მოწაფების ჯანსაღობის შესახებ ცნობები უნდა შეჰქონდეს.

ბ ნ არჯევანიძესაც თავის სკოლაში შემოღებული ჰქონდა ამგვარი ფურცლები, რომელშიაც დროგამოშვებით გავშვების ფიზიკური მდგომარეობა აღინიშებოდა ხოლმე: წონა, სიმაღლე, გულმკერდის სიგანივრე, საზოგადო ჯანის სისალე და ამის მიხედვით აწარმოებდა მათი მოვლა-პატრონობას.

ასეთ თვალწარმტაც ბუნებაზე, სუფთა, სალი, ნაზი და ფიჭვნარის სურნელებით შეზავებულ ჰაერით სარგებლობა, ზემო დასახელებულ პირობის თანახმად ცხოვრება და აქ მაცადინობა, თქმა არ უნდა, სიცოცხლით იღავსებს ყველას — დიდსაც, და პატარასაც, ხალისით და აღვილად შეათვისებინებს მიწოდებულ კოდნას: ამ პირველ წელიწადს სკოლაში ყველაფერი ისე სამაგალითოთ არ იყო დაყენებული, როგორც ეს მის დამარსებელს განზრახული ჰქონდა. ეს არც საკვირველია: პირველი ნაბიჯი ყოველთვის ძნელია, ახალ საქმეს აუცილებლად დევექტები თან დაჰყვება და უსრულობა დაეტყობა ხოლმე. მაგრამ მხნე მაცადინობა და დაულალავი ურომა-გამოცდილებაში გამობრძნედილ ადამიანს შეაძლებინებს ყველა ნაკლულოვანებანი თანდათან დასძლიოს, გამოასწოროს და საქმე სასურველ სიმაღლემდე აიყვანოს. მუყაითობა და შრომის უნარი. ბ ნ არჯევანიძეს, ვფიქრობთ, არ უნდა

აკლდეს და იმედი უნდა ვიქონიოთ მომავალ წლებში დასახულ მიზანს თანდათანობით მიაღწევს და საქმეს უფრო გააფართოვებს.

მიუხედავათ იმისა, რომ სკოლა ახალია და, როგორც ისეთს დამაბრკოლებელი მიზეზები ხელს უშლიდა, მისი უტყუარი ნაყოფი მაინც თვალსაჩინოა, სუსტი, სისხლნაკლულნი, რახიტიანი (მკერდის ძვლების სისუსტე) ბავშვები საკმაოდ გამოკეთდენ და ბევრმა 6—8 გირვ. მოიმარტა წონაში. არჯევანიძეს სამაცადინოთ სხვა მასწავლებლებიც ეხმარებოდენ და ბავშვების ჯანის მეთვალყურეთ მედიკურ ფაკულტეტის სტუდენტი ჰყავდა მოწვეული. დროგამოშვებით სკოლას ექიმიც ინახულებდა ხოლმე.

დღევანდელ კაზარმულ სულით გაედენ-თილი სკოლა ცდილობს მრავალი სხვა და სხვა ცნობებით და ცოდნით აავსოს მოწიფის გონება, შეიჩიოს აზროვნებას და განუვითაროს იგი, ხოლო ამავე დროს მის სასიცოცხლო ენერგიის იმდენად ღალავს და ასუსტებს, რომ უკარგავს უნარს და მოხერხებას შექნილი ცოდნა და მსჯელობის ნიჭი საჭიროების დროს შესაფერად გამოიყენოს და მოიხმაროს. ამის წინააღმდეგ ამ უმაღ «შრომის სკოლებს» (ტყვიაშ თანამდებობა) აარსებრნ, სადაც ბავშვებს არა მარტო ზეპირიდ და წიგნით ამაცადინებენ, არამედ ყოველი შეთვისებული საგნის, ცნების, წარმოდგენილობის და სახის ცხადათ და რეალურად შექმნა-გაკეთებას აჩვევენ. ამ მიზნით ხატვენ, ძერწვევენ და სხვა და სხვა სამუშაოს ასრულებინებენ. მასალად ხესა, თიხასა, ქვასა, ლითონსა, ქალალდსა და სხვ. ხმარობენ. ამ საშუალებით ბავშვები თვითმოქმედებასაც ეჩვევიან და შემოქმედებითი ნიჭისაც ივითარებენ.

პედაგოგები ახლა სკოლიდან ცოდნის შეძენასა და გონიერივ წვრთვის გარდა მოითხოვენ მოზარდ ყმაწვილს მაგარი ხასიათი, ძლიერი ნების ყოფა და შრომის სიყვარული ჩაუნერგონ, სასურველი ინსტიქტები განუვითარონ და განუმტკიცონ, ცუდი ზნე და მიღრეკილებანი დაუხშონ და შეუზღუდონ, გარკვეული ზნეობრივი პრინციპები და რიგანი ჩვეულებანი შეათვისონ.

წალვერის სკოლაშიც თვითმოქმედებისა და შრომის შესაჩვევათ ბავშვები ლოგინს თვითონ ალაგებდენ, ოთახებს ასუფთავებდენ, ფეხსაცმელებს იწმენდენ, სახელრით წყალსა ზიდავდენ, სამზარეულოდან თავთავიანთი კერძი საჭმელი მოჰქონდათ და სათამაშოებს თავისით აკეთებდენ. მე თვით შემთხვევა მქონდა მენახა თუ რა ხალისით და ვატაცებით რამდენიმე ბავშვი თავისი ნებით „კროკეტისათვის“ ადგილს ამზადებდენ, —მიწას ზიდავდენ, ზედ ცყრიდნენ და ასწორებდენ. საერთო მუშაობისა და თამაშის დონს ურთიერთის პატივისცემას ეჩვეოდენ, თანხმობისა და ამხანაგობის გრძნობებს ივითარებდენ: ამა თუ იმ საჭიროების დროს ერთმანეთს შველოდენ, პირს აბანინებდენ და სხვა. ცხოველებსა და ფრინველებს სიყვარულით ეპყრობდენ: უვლიდენ, პატრონობდენ და ასაზრდოვებდენ.

პედაგოგების აზრით ბავშვი საზოგადოთ გიშვიდებულ მასალის შეთვისებაში აქტივობას უნდა იჩენდეს და დამოუკიდებელ მეთვალყურეთ და მკვლევარათ უნდა გამოდიოდეს. ამგვარივე აქტივობას უნდა იჩენდეს შეთვისებულ მასალის საზრიანათ გადამუშავებაში, შენიშნულ ფაქტების და მოვლენების ახსნა-განმარტებაშიაც. ამ რიგად შასწავლებელი პირველ ადგილს მოწაფეს უნდა უთმობდეს და თვით თანა-

შემწისა და ხელმძღვანელის როლით კმაყოფილდებოდეს. ამ დროს მასწავლებელს დაკვირვებისა და ფსიხოლოგიურ ექსპერიმენტების შემწეობით მშვენიერი საშუალება აქვს ბავშვი თავისი მრავალმხრივ გამოხატულებებში შეისწავლოს, მისი უარყოფითი და დადებით მხარეები, მიღრეკილებანი, თავისებურებანი, ინტერესები, მემკვიდრეობით მიღებული და გარემო საზოგადოებაში შეძენილი თვისებანი გაიგოს და ყველა ამის მიხედვით მიზანშეწონილად იმოქმედოს.

ასეთი პირობების შექმნა ყველაზედ უფრო ტყეში გამართულ საზაფხულო სკოლაში შეიძლება.

ამნაირი სკოლები სხვაზე შეტად ქალაქის ბავშვებს ესაჭიროებათ. ესენი ბუნების ცოდნაში სრულიად უვიცნი არიან და ამ ნაკლს ვერ შეივსებენ ვერც გაკვეთილებით და ვერც ექსკურსიებით. მათთვის მოხერხებულ დროთ ზაფხულის არადადეგები უნდა ჩაითვალოს. ამ დროს მშობლებს საშუალება ეძლევათ ბავშვები მოუსვენარ, ხმაურობით და მტერით საესექალაქს მოაშორონ და გარეთ ბუნების წიაღზე აცხოვრონ. ბუნება ბავშვებს თავისი მოხეიბვლელი სილამაზით, დიადი მოვლენებით, მრავალ ფეროვან დასრულებული ინტერესის აღმძვრელ შეკნარებით, ცხოველებით, ფრინველებით და მწერებით თავისკენ იზიდავს და მათ ხარბათ ეცნობიან.

ბევრს ზაფხულობით ბავშვის საღ ჰაერზე ყოფნა საჭიროდ მიაჩნია. ხოლო ამ დროს მათთან მაცალინობას და მათი ხელმძღვანელობა ზედმეტად და მავნებელადაც მიაჩნია. მათი ფიქრით ამ დროს ბავშვი თავისი სურვილისამებრ უნდა ისვენებდეს და სავსებით თავის ნებაზე იყოს მიშვებული: რაც უნდა ის ჩაიღინოს და დროც,

როგორც უნდა ისე გაატაროს. მაგრამ ეს შემცდარი შეხედულებაა! საზოგადოთ სას-წავლებელში და განსაკუთრებით ტყეში გამართულ სკოლაში ბავშვს მეცადინობა მძიმეთ და მოსაწყენათ კი არა, წინააღმდეგ სასიამოვნოთ უნდა მიაჩნდეს. გარდა ამისა ცუდათ ყოფნა, უსისტემო და განუმარტავათ დიდიალი შთაბეჭდილებათა მიღება და დროს უგნურად ტარება ქეშმარიტ დასვენებათ არ ჩაითვლება და, ცხადია, ჯეროვან გავლენასაც ვერ მოახდენს მოზარდ ყმაწვილის ბუნებაზე. პირიქით მაცადინობას გადაეჩვევა, სკოლაში შეძენილ შრომის უნარს დაკარგავს და სამაგიეროთ მავნე ჩვეულებებს და უზნეო მიღრეკილებათ შეიძენ. თუ არა ზაფხულში, მაშინ როდის უნდა შეაგროვოს მოწაფემ მცენარეების, მწერების, მინერალების და სხვათა კოლექციები და მათი ყოფაც ცხოვრებას ჩაუკვირდეს.

ამნაირად უნდა ვცდილობდეთ ბავშვი დროს ზაფხულშიაც წონივრულად ატარებდეს: თამაშობა, ფიზიკური მუშაობა, მეცადინობა, სეირნობა, ბანაობა და მზის აბაზანები ურთიერთს უნდა სცვლიდენ.

კლაპარედის აზრით ბავშვის აღზრდა ნაყოფიერი მხოლოდ მაშინ იქნება, როდესაც იგი შეგუებულია თვით ბავშვის ბუნებასთან და შეთანხმებულია მის სულიერ და გონიეროვ შენობასთან. ბავშვის ბუნება თამაშს მოითხოვს და ამ გზით ეცნობა იგი ქვეყანასა და გარემოს. მაცადინობაც და მუშაობაც ბავშვს თამაშობათ უნდა მიაჩნდეს. „ჩვენ ეხედავთ, ამბობს კლაპარედი, რომ ბავშვი ბუნებამ მისი განვითარებისათვის საჭირო მოთხოვნილებებით და შესაფერი სურვილებით აღჭურვა. ყველაფერი, რაც ამ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას და სურვილთა განხორციელებას უადვილებს, ბავშვისათვის

განსაკუთრებულ ინტერეს წარმოადგენს და მეტად იზიდავს. ბავშვის თამაში რაა, თუ არა ყველა იმის შესრულება და განხორციელება, რასაც მისთვის დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს.

მაშინადამე ქეშმარიტი პედაგოგი ბავშვებს ამა თუ იმ მოქმედებაში იმდენად უნდა ავარჯიშებდეს, რამდენადაც ეს უკანასკნელი ამის ბუნებრივ მოთხოვნილებასა გრძნობს. მაშინ მოქმედების მიზანი და მისი მიღწევის სურვილი ბავშვებს გაიტაცებს და თვით მოქმედება თამაშათ მოეჩვენება. ნამდვილი პედაგოგი აგრეთვე უნდა ახერხებდეს ყმაწვილს აღუძრას ასეთი კეთილშობილური და საჭირო მოქმედებათა მოთხოვნილება, რომელთადმი მიღრეკილებას არ იჩენს“.

ამ სახით ჯერ-ჯერობით ჩვენში მხოლოდ ტყეში გამართულ საზაფხულო სკოლებში შეიძლება მეცადინეობა და არ შევიძლია ამიტომ მხურვალე თანაგრძნობით არ შევეგებოთ ბ-ნ არჯევანიძის სკოლას. ხოლო სკოლა იგი ჩვენში პირველი ნაბიჯია, ახალი საქმეა და მისი ღირსება-ნაკლუნოვანებაზე ამ თავით გადაჭრით არაფერი ითქმის. სკოლის მიზანი, ღანიშნულება და პრინციპები, როგორც ვთქვით, მეტად სიმპატიური, ღიღმნიშვნელოვანი და სერიოზულია. ჩვენებური თვითმართველობანი და ყველა ჩვენი საზოგადოების მდგრადირეობით დაინტერესებული ადამიანი ვალდებულია ამ საქმეს ხელი მოუმართოს და ჯეროვანი ნაყოფი გამოაღებინოს.

ხოლო არ შემიძლია დასასრულ სკოლის ერთ ღიღმნიშვნელოვანი საზოგადოების სამარცხვინო ნაკლასაც შეაღენს. ამბობენ ყოველ ხალხს თვითმართველობის სკოლები აქვსო. სკოლა და მასწავლებელი არსებული ცხოვრების და მისი წესების სისხლი

სისხლთაგან და ხორცი ხორცთაგან არის. სკოლა საზოგადოებრივ ცხოვრების უბრალო განსახიერებაა. არჯევანიძის სკოლაც არ ღალატობს ამ მხრით ჩვენს საზოგადოებას და მისი „გემოვნებისათვის“ ანგარიში გაუწევია: სკოლაში უცხო სული ტრიალებს და უცხო ენაა გამეფებული.

აკი ჩვენი „მოწინავე“ საზოგადოებაც მშობელ ენას ისე ექცევა, როგორც უსულო და უგულო დელინაციილი თავის გერს. მათს ოჯახებში ბავშვი ენას უცხო სიტყვებით ამოიღამს ხოლმე. მათი წაბაძვით საშუალო და ღაბალი წრის მშობლებიც სიხარულით ცას ეწევიან, როდესაც მათი უსუსური ბალლები უცხო ენაზე ტიტინს დაიწყებენ და დედა ენაზე ლაპარაკს არიადებენ — რა არის აქცენტს გაიფუჭებენ!

„ზანგებზედ გონებით დაბალი ხალხი დედა-მიწის ზურგზედ ძნელად მოიძებნება, ბრძანებს განსვენებული გოგებაშვილი, მაგრამ ამათაც კი კარგად ესმით, რომ ბავშვმა ჯერ თავის ენა და წიგნი უნდა შეისწავლოს და მერე უცხო ენისა

და წიგნის შესწავლას შეუდგესო“. ხოლო ამ შემთხვევაში, ჩვენდა სამარცვინოდ, ჩვენთვის ზანგებსაც კი გაუსწრიათ: ჩვენში ბევრს სათუო კეშმარიტებათ მიაჩნია უცხო ენის წინაშე მშობლიურ ენის უპირატესობა სწავლების პირველ საფეხურებზედაც.

ბ-ნ არჯევანიძეს სკოლის პროგრამაში ქართული ენა სრულებით არ აქვს მოხსენებული. საზოგადო ლაპარაკი და ახსნა-განმარტება ბავშვებთან უმთავრესად უცხო ენაზედ სწარმოებს. მაგრამ ჩვენ იმედს არ ვკარგავთ, რომ სკოლის დამაარსებელი ამ ფრიად მნიშვნელოვან დეფექტს გამოასწორებს. იგი ეცდება ბავშვთა რიცხვის გამრავლებასთან ერთად თითოეულ ეროვნების ბავშვებს თავთავიანთ შესაფერი ხელმძღვანელი მიუჩინოს. სკოლას ყველამ ამ პირობით უნდა გაუწოდოს დახმარების ხელი, თორებ წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ჩვენი ეროვნების თვითმკვლელობის ერთ-ერთ იარაღათ გადაიქცევა.

მ. კაკაბაძე.

## ცოტა რამ შრომის სკოლის ისტორიიდან

**ც**ხოვრებაში არათერი მუდმივი არა — უვეჯაფერი იცფლება, ახალ ფორმას დებულობს, უმჯობესდება და პროგრესისაკენ მიისწავით. აწინდელი ცხოვრება ამ წინსვლის მრავალ მაგალითს გვაძლევს — ბუმბერაზის ნაბიჯით ვითარდება თანამედროვე ტეხნიკა, მეცნიერება — ადამიასი გაოცებაში მოჭევას დღევანდებს გამოკვლევა-გამოგრანებათ; რადიუმი, ანაბიოზი ეს უკანასკნელი სიტუაციის თანამედროვე მეცნიერებისა მთელი კაცობრითიბის უურადღებას იძურობს და საუცხოვო პერსისტივებს უხა-

ტენი მას მომავალში. და ისეთ ცოცხალისა მოძრავ საქმეში, რთგორიც არის ნორჩი თაობის სწავლა-აღზრდა ხომ შეუძლებელია, რომ თითქმის უოველ დღე ახალი აზრი, ახალი იდეა არ დაიძლოს?

და ეს ასეც ხდება — დღევანდები შედაგოვის ბურჯები, რთგორიც არიან მეიმანი, დაი, კერძენშტეინური, ზეიდელი და სხვა, პედაგოგიური აზრის წინსვლის თვალსაჩინო დამატება-მეტებელი არიან. სწავლა აღზრდის საქმეც ახალ ფორმას დებულობს, იქაც იხა-

ტება ახალი გზები, რომელიც სწავლა-აღზრდის საქმეს საუკეთესო მომსახურისაკენ მიუთითებენ.

ამ ბოლო დროს შედაგოდიურ ლიტერატურაში დაკინებით გაისმის ხმა აწინდელ სკოლა შრომის პრინციპებზე უნდა იქნეს „გებულობა“, ამბობენ სკოლის რეფორმატორები...

რასაკვირველია, უფერებ ახალ იდეას, უგეგმების მისაზრებას კრიტიკული თვალით უნდა შეეხდოთ, მაგრამ ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ ერთ წერტილზე შეჩერება სწავლა-აღზრდის საქმისა—მისი სიკვდილის მომასწავლებელია. ამისათვის საჭიროა, რომ ეს ახალი მეთოდები შემოდებულ იქმნის სკოლაში, მხოლოდ კრიტიკულად განხილვის შემძეგდა ისეთის თანდათანხმით, რომ ძეგლი სკოლა საფსუბით შეეგულს ახალ ცხოვრების ახალ მოთხოვნილებებს.

დღევანდელ სკოლაში სწავლა-აღზრდის საქმე გრ არის შესაფერ დონეზე დაუგრძებული—მას შეტან დახსროება სტირდება ცხოვრებასთან, შეტან პრაქტიკულის ცოდნის მირება მოთხოვდება თავის შეგრძებისთვის. დღევანდელი სკოლა ბავშვს აცნობს გარშემო მეორუ საკნებსა და მოვლენებს, მაგრამ უშავორეს შემთხვევებში, ბავშვი აქ მხოლოდ შაურენდელის როლს ასრულებს და აქტიურ მონაწილეობას ის აქ არ დებულობს—საჭირო კია, რომ ის არაშრ იუ გაუცნოს ცხოვრების შეთანხმან შეჩედვით, არამედ თვით მიიღოს შასში მონაწილეობა, რომ უოველი თრგანო, უფერები გრძნობა ამ მოქმედებაში მონაწილეობას დებულობდეს, რათა უფრო მეტერთად იქნეს ჩასხული მის გრძნებაში უოველი შთაბეჭდილება და უგელაფერზე სადან წარმოდგენა ექნეს. მას სცდილობას ახალი სკოლათ

თუ იღებულ სკოლათ აღვიარებთ ისეთ სკოლას, რომლის შემწეობითაც ადამიანი უფერები მხრივათ ვითარდება, დავინახავთ, რომ

ახალი სკოლა უფრო ახლოა ამ იდეალთან, ვიდრე ძველი.

შრომის სკოლაზე არც ისე დიდი ხანია რაც ასე გატაცებით და იმედინად ლაპარაკობენ, თუმცა სკოლის შრომის პრინციპებზე დაუგრძებული იდეა შეა საუკუნეებს ეკუთვნის.

შესანიშნავი რეფორმატორი მარტინ ლიურენ საჭიროთ სთვლიდა, რომ, გარდა წიგნის სწავლებისა, სკოლაში შემოდებულ იქმნას რამე სელფსნობაცო.

„არაა საჭირო დაფარსით იმისთვის სკოლები, სადაც ბავშვი თც წელს მარტილი დონატა სწავლისა და მაინც ვერჩვერი გაუგია, ჩემი აზრით ბავშვი წიგნს 1—2 საათის შეუტი არ უნდა უჯდეს დღეში, დანარჩენს დროს ის უნდა მუშაობდეს, ან რამე სელფას სწავლობდეს; სკოლაში უნდა აღზარდოს ბავშვი არა სკოლისთვის, არამედ ცხოვრებისათვისთ“. ამბობდა იგი.

ამის გომენსკიმ უფრო გარკვეულად გამოსთხვა დაიუტერის აზრი. თავის Didartica stagnata-ში მან პირველია, საჭარით ადგილი ხელით შრომის დაუთმი: ის საჭიროდ სთვლილ სკოლაში შრომის შემოდებას, მხოლოდ ამ შრომის გარკვეულ პროცესას არ იძლეოდა— ის პრინციპიალურად აღიარებდა შრომის საჭიროებას და რასაც იშრომებენ სკოლაში, სულ ერთათ.

მაგრამ კომისიერის დროს მისმა აზრებმა გრ მიიღეს პრაქტიკული განსორციელება.

შრომის სკოლის პრინციპი მხოლოდ 1700 წ. მახლობლად იურ გატაცებული სკოლაში აგვისტო ჰერმინ-ფრანკედან ქ. ჭალეში (შევიცარია) ის რეზიგიური მოსაზრებით ხელმძღვანელობდა, როცა მის შიერ დაარსებულ სამისწავლო სკოლისარიაში სხვა და სხვა სკოლაშე შემოდიდო.

დიდი თვალრეტიკისი ჟ-ჟ. რესტ, რომელმაც ასე ბევრი სთხვა სწავლა აღზრდის შესასებდა და ისე ცლია გააკეთა მის სასარგებლოთ,

ვრცელად ჩერდება აშ საგაზზე (შრომაზე სერალში) თავის „ემილში“. აშ წიგნში, თუმცა ბევრი პარადოქსალური აზრია, მაგრამ ბევრ ალაგას ღრმა აზრებიც არის გატარებული, რომლის უარეთმეტაც ძნელია.

„ერთ—ამბობს იგი—უნდა აზროვნებდეს, რაგორც ფილოსოფიასი და მასთანეე უნდა შეეძლოს უბრალო მუშასაყით შრომა; მხოლოდ მაშინ იქნება ის, რათაც უნდა იყვნეს— სამდგომ ვაჟებაცად, რომელსაც უფლები თავისი გრძნება ემორჩილებაა“. შემდეგ ის განაგრძოს — „ბავშვი ატარეთ ერთი სახელოსნოდან მეორეში, მხოლოდ უველა საქმე, რას გაკეთებისთვისაც აშ სახელოსნოში უურებაა, თვითონ უნდა გააქეთოს, და ქარსნის დატოვების შემდეგ, მან გარკვეული უნდა წარმოიდგინოს— რას აკეთებენ შიგ ან თვითონ რა გააქეთო“ ... ის ერთი საათის მუშაბით უფრო შეტეს შეისწავლის, გიდრე მთელი დღის ახსნა-განმარტებით.

როგორც ზემოთა ვსთქვით, ეს აზრები, მრავალ მიზეზების გამო, რესის ცხოვრებაში არ გაუტარება, მხოლოდ მას შემდეგ მიჭიერება მისმა მიმდევრებმა ხელი მისი იდეების პრატიკულად განხილული იქნებას. მათ შრომის შესანიშნავი არის პაზედოვი, ზალცმინდა და განსაკუთრებით— პესტალოცი.

ბაზედოვი ამბობდა, რომ რაც უნდა მაღალი სწავლისთვის ამზადებდე ბავშვსთ, მან მაინც უნდა იმუშავოს უფლებულებები რამდენიმე საათს, რაიმე ხელობის შესსწავლად, ხოლო მშეღლის, დურგლის, კალატოზისა და სხვა მოსწერის მართვა მაინც უნდა იცოდეს.

ზალცმანი ბაზედოვის მხერვალე მიმდევრი შეიქნა— „ჩემის ფიქრით, კარგ აღზრდასთან ბავშვს სერიოზული ფიზიკური შრომის ატანაც უნდა მოეთხოვებოდეს შემდეგშით“ — ამბობდა იგი. პესტალოცი კი, რომელმაც თავისი თავი თითქმის სწავლა-აღზრდის საქ-

შეს „ემილის წაკითხვის შემდეგ მთანდომა, დიდ აღმზრდელობითს მნიშვნელობას აძლევდა „ხელით შრომას სკოლაში; მის შექმნა და ასებულ „ნეიტროზში“ ის თვითონ ავარჯიშებდა ფიზიკურად ბავშვების. სკოლასა და სკოლის გარეთ თავისი დაკვირვებანი სწავლა-აღზრდის საქმეზე მან გაღმოგნება თავის „ლინგარდ და ჭერიულაში“.

პესტალოცის მოწავეთა შრომის უარესზე შესანიშნავი ფრილის ფრებელი იყო. მან უფრო გამოარტა პესტალოცის „ზრები და ბევრი და ბევრი იშრომა, რომ შრომისთვის სკოლაში რაიმე სისტემა მიეცა; მართლაც ამ მიზანს მან თითქმის მიაღწია— შექმნა სისტემატიური პროგრამა ბავშვთათვის სკოლის ჭასავამდე, სკოლაში მეოთხ ბავშვებისთვის შრომის სისტემატიურად დალაგება მან ვერ მასაწმო— ის გარდაიცვალა და შრომა დაუშთავრებელი დასტოცა. მის საბავშვო ბაღებს საფუძვლად — საქმისაგან შემცნებაზე გადასვლა უდევს. თავისუფალი მოქმედებათა და საკუთარ შემოქმედებისთვის გზის მიცემა — აი ხელმძღვანელი ძაფი უარეს მისი დაწესებულებისა.

ასე თან და თან ვითარდებოდა შრომის სკოლის პრინციპი, ასე გამოსთხვამდენ თავიანთ აზრს თითო როლა შინნი, და როცა ეს იდეა ცოტად თუ ბევრად გამორკეცებული შეიქმნა — ზოგიერთ ადგილებში მის პრაქტიკულად განხილულებას მიჰყევს ხელი და შემოიდეს ხელით შრომა სკოლებში.

უარესზე უწინ ხელით შრომა ფინანდირებამ შეიტანეს სასკოლო პროგრამაში (1886 წ.). უნო ცინკეუსის პროექტის მიხედვით. 70-იან წლებში სკომა გამოაცხადა კონგრესის სახალხო სკოლების ორგანიზაციის საუკეთესო დაუკავებაზე და ცინკეუსმა ამ კონკურსზე პირველი ჯილდო მიიღო, და ცოტა ხნის შემდეგ მისი პროექტი სახალხო სკოლების შესახებ დაგანხილებული იქნა— ე. ი. ის კანონიდან აღიარებს. აშ პროექტის მიხედვით ფი-

ზიკური შრომას სკოლებში არამც თუ სასურაველი, არამედ საფალებულოა სამშობლო ენასთან, ანგარიშთან, ისტორიასა და სხვა საგნებთან ერთად.

ხელით შრომას გვითავში ის 6—9 საათს უზმობის, მაგრამ ამ შრომას ცინწეულით უუკრებს არა როგორც სპეციალ საგანს, რომელის შესწავლის შემდეგ სკოლიდან კარგი ხელისანი გამოვა, არამედ როგორც საგანს, რომელის შესწავლა ერთხანისად საჭიროა მისთვისაც, ვისაც შროლიდ ფიზიკურად შრომა მოუხდება და მისთვისაც, გინც ფიზიკურს შრომას ცოტა დროს შთანთქმებს და მეტს—აზორენების. სწავლა მიმდინარეობს განსაკუთრებით შედგენილ პროგრამით, რომელშიაც შედიან სამუშვორები—სხვა და სხვა დარგიდან—ტელევა, კალათის წენა, ღურგლობა და სხვ., რა საკვირველია პირველად უფრო ადვილი სამეშაო ეძლევათ მოწაფეთ და შემდეგ ეს მუშაობა თანხდათან რთულდება.

ფინლანდიულების იდეათით სხვებიც ხელმძღვანელობდენ, მხოლოდ ამ ბოლო დროს ამერიკულების ექსპერიმენტაციურმა სკოლებმა წამოაუყენეს ახალი პრინციპი— რომ ხელით შრომა, რომელიც თანასღების უფრო საგანს, თავის თავად არ წნდა წარმოადგენდეს ცალკე საგანს, არამედ უნდა იუვეს მეთოდი, საშუალება ახალი სკოლისა. ცოტა ხნის შემდეგ შრომის სკოლის იდეა განვითარდა დანიაშიც ენერგიულ შედაგობის კლაუსონ კლასის მეცალინეობით. მისმა შრომაში დიდი გავლენა იქნა არამედ რუსეთშიაც კი (ბაჟტიის შხარე). ის წინეთ სამსედო სამსახურში იყო როტმისტრად პატარა ქალაქ ნოსტევედში. რადგანაც ამ ქალაქში ერთი პატარა სკოლის მეტი არ იყო, ის იმულებული გახდა თავისი შევილები თვითონვე აღეზარდა. ამ სწავლების დროს მას დაებადა აზრი—შეერთებინა სასკოლო საგნების სწავლება ხელით შრომისთან.

ამ გვარი სწავლის შესახიშვამა შედეგებშა მისი მეგობრების უერადლებაც მიიქცა და მათაც მიაბარეს კლაუსონის თავისი შეილები ადსაზრდელად. შემდეგ, 1864 წელს ის კონსტანტინებენში გადაიუკანეს, მაგრამ ის იქაც განსაკრძობდა თავის შრომას კერძო სკოლებში; მალე მისი მოსწავლეების რიცხვმა საკანონის დამატად მას—ან თავი დანება სამსედო სამსახურს და ხელი მიჰყო სწავლა-აღზრდის საქმეს. მისი შრომის ძირითადი დღბულება ის იყო, რომ გონიერობი და ფიზიკური განვითარება თანასწორად, პრალელულულად უნდა მიდიოდეს. კლაუსონ კლასის დეების, რომელმაც ბევრი მომხსრები მიიზიდა დანიაში, სამსრეთ შეცირაშიც კარგი ნიადაგი აღმოუჩნდა.

როგორც გერმანიაში, ისე შეცირაში ეს საკითხი იმავე კლაუსონის მიერ იქმნა ადძრული და განმარტებული. განსაკუთრებით გიმნაზიაში მისმა იღებმა ბევრი მომხსრე მოიპოვა, ეს იმითაც აისხნება, რომ ის ხშირად კითხულობდა სხვა და სხვა ქალაქებში ლექციების და რამდენჯერმე მისი ხელმძღვანელობით სამასწავლებლო კურსები იქმნა გახსნილი, სადაც სკოლაში შრომის შემთხვებაზე ჰქონდათ სჭაბასი.

რუსეთში კლაუსონის მოღვაწეობა იმაში გამოიხატა, რომ ის 1878—79 წლებში ხელმძღვანელობდა ბაჟტიის შხარეში სეჭით შრომის კურსების.

დანიას დიდი ღვაწლი დასდო ხელით შრომის სკოლაში შემთხვების პრინციპების გავრცელებაში აკსელ მისელსონმა და მისი იღები კლაუსონ კლასის იღებთან ერთად ისეთი არაგინალური და თავისებური არის, რომ მათ დაერქვათ „დანიური“ სისტემა ხელით შრომის სწავლებისა.

დანიური სისტემის გარდა გერმანიაში არსებობს კიდევ ეგრეთ წლებული „ლაისციგის“ სისტემა. ამ სისტემის ცენტრად დაისციგის

სამთსწავლო სემინარია (Leipzig, Scharnhorstrasse, 19) ეს სისტემა სხვებში მით განითხევა, რომ იქ სელით შრომა სკოლაში ეჭვებულებარება სამეცნიერო საგნების, როს გამც მთსწავლები უშემტეს ნაწილად სასკოლო ნივთებს ამზადებენ, ამ სემინარიაშ დიდი როლი ითამაშა არა მარტო გერმანიის სახალხო მასწავლებლების მომზადებაში, არამედ სხვაგანაც.

შეტად თავისებური სისტემა სკოლაში მუშაობისა აქვს შევეძებს, რომელიც ორთო სოლომონს ეგუთვინის და რომელიც ძლიერ გაუცელებულია შეეციანორგებისა და ფინანსინდიაში. ამ სისტემას დიდი გავლენა აქვს სელით შრომის სწავლებაზე და უსეთსა და გერმანიაში. ნესის (Hannover) სამთსწავლო სემინარია, რომელიც პრაქტიკულად ახორციელებს თეოტიკ სოლომონის აზრებს, დიდ როლს ასრულებს სელით შრომის გაუცელების საქმეში.

თეოტიკ სოლომონის სისტემის დინამიკა ერთი მხრით ის არის, რომ მისი პროგრამა დაწვრილებით არის შემუშავებული და შემუშავა გვნისაზღვრება მხრიდან სის მასალით, აგრძალებულია შედებვა და ყოველი გარეგნული შეჯერება რაიმე უერადებით გაეკეთებული საგნებისა. ნესის სემინარიაში ყოველ წლივ იმართება 40 დღიანი კურსები სახალხო მასწავლებელთათვის, რომელიც პრაქტიკულად ითვისებენ ამ სისტემას.

ამერიკაში კი უველა სისტემას ფართო ასპარეზი აქვს გაშლილი, მაგრამ მათ საკუთარი სისტემაც შეიმუშავებს; იქაური შედაგობები — ლარსონ, მურრეი, სეატონ, ბოტონინგა და სხვ. ბევრი იშრომებს ამ სისტემის შექმნაში, თუმცა ეს უკანასკნელი არც ისე როგორინა — მხრიდან ევროპის სისტემები დაახლოებულია ამერიკის ცხოვრებასთან. შესანიშნავი და შეტად საუკადებონი არიან ამერიკულ სკოლების გამოკვლევანი და დაკვირ-

ვებანი ამ დარგში. ისინი თავისებურად უუკებეს სელით შრომას სკოლაში. იქ სელით შრომას არა აქვთ დამომზადებილი არამც თუ ცალბე ადგილი სხვა სასკოლო საგნებოთან ერთად, რომელსაც ცალბე საათი აქვთ მიჩნეული, არამედ მიღებულია როგორც გადაცემის ერთი მეთოდთაგანი.

სკოლის ამიგვარი როგორიზაციას, ამბობს ამერიკელი შედაგობი ო-ში, საძირკვლად უდევს ის შართალი აზრი, რომ ბაჟეფის ას-კი განუშორებელია მის სეულიდან, ე. ი. ულველი ბაჟეფის იდეა აუცილებლად მოიწავე გამოსახულებას იდებს; არც ერთი იდეაც სრული არ არის, თუ რეალურად მოქმედებაში არ გამოიხატება.

ამ მოქალა მიმოხილვაში, რასაკვირველად, ვერ შევსძლებ შევეხო სკოლის შრომის პრინციპებზე აგების იდეას; მხოლოდ ამ ცოტალანაც, მგონი, სჩანს, რომ ეს აზრი ახალი არაა ის საშუალო სუკენების ეგუთვინის და მის შემდეგ სხვა და სხვა გარიციებით, უფრო გაფართოებულ-განახლებულმა მთაღწია ჩვენს დროშე და დღეს თითქმის ყოველი მოწინავე შედაგობი ადრანებს სელით შრომის პრინციპის აწინდელ სკოლაში გატარებას. ამისათვის შესაფერ ზომებსაც დებულობენ, მაგრამ დღევანდელ პირობებში თითქმის შეუძლებელია ამ აზრის პრაქტიკულად განხორციელება ჩვენს სკოლებში — საჭიროა გვევდეს ბევრი სპეციალისტი მასწავლებელი სხვა და სხვა სელიბის მცოდნე, საჭიროა ეხლანდელი სკოლების გადავეთება ფართო სახელონოებათ, რომელშიც 40—60 კაცი იმუშავებს, საჭიროა მრავალი იარაღი, მასალები და სხვა. ამგვარად საქმის დაუქნება ძლიერ მდიდარ სკოლებში თუ შეიძლება და ჩვენ სახალხო სკოლებს კი ჯერ დღი სხის ცდა სჭიროა. ამ გვარი სკოლები ჩვენ ჯერჯერობით იდეალად უნდა დავისახოთ; ამერიკაშიც კი, სადაც არ ზოგადი

როთ, რომ ამგვარი სკოლები, დოკოთა ვითა-  
რების გამო, ჩექნშიაც მთიღდგამენ ზექს და  
ასაჭ, სად ტალღას შეიტანებენ ჩექნი ხილხის  
სწავლა-ადგრძის საქმეში.

ମନ୍ତ୍ରିଙ୍କାରିଙ୍କାଳୀନ.

## საღი გული

(ଲୋକିକା ପ. ମଧ୍ୟାଶ୍ଵିଲିଙ୍ଗ)

„ପ୍ରତିବ୍ରଦ୍ଧିକାରୀ ହେଉଥିଲା, ଏହାରେ ମନ୍ଦିରରେ ଯାଏଇଲା,  
„ଶ୍ରୀକୃଷ୍ଣଙ୍କାରରେ ପାଇଲା ଏହାରେ ମନ୍ଦିରରେ ଯାଏଇଲା.

ეს არის მთავარი პუნქტი კ. მაყაშვილის ლის ლირიკისა. „ელვა სიცოცხლის“, „საგმირო ძახილი“, „სიცოცხლის სიმღერა“, „საღი გული“, და სხ... აი როგორია მეტ-წილად ლექსიკონი ჩვენი მწერლისა. და ეს მშრალი სიტყვები არ გეგონოთ. ესენი ყველანი თავის ადგილზე არიან ნახმარნი, რადგან მათი შემქმნელი „საღი გულია“. და საღს ხომ მხოლოდ სიცოცხლე აელვარებს, საღი ხომ მეფედ გრძნობს თავს, საღი ხომ მღერის. და აქ უმთავრესი მნიშვნელობა ენერგიას ეძლევა, იმ სასიცოცხლო ენერგიას, რომელმაც უნდა აამოძრავოს ადამიანი. თუ ადამიანში ცხოველი ენერგია უხვად არის დაგუბებული, ის ყველგან, ჭირშიაც და ლხინშიაც გაუტეხელია. ძლიერი პიროვნება წარბ-შეუხრელი უცქერის თვით სიკვდილსაც კი, და გრძნობა პირადი ლირსების კი იქამდის აქვს განვითარებული, რომ თვით სიკვდილსაც კი დასცინის. ძლიერი და საღი ადამიანი არათერს არ უშინდება, გულს არ იტეხს. იგი მეტ ნაწილად მღერის, და ამ სიმღერაშივე აქარვებს სიმძაფრეს ცხოვერებისას. მაგალითებისათვის არ არის საჭირო დიდი ექსკურსიები ან ევროპაში,

და ან სხვაგან საღმე. ამის საუკეთესო და  
მასთან უახლოვესი მაგალითი ჩვენი ხალ-  
ხია, მშრომელი ხალხი, დაბალი წოდება.  
ხომ ყველასათვის ცხადზე უცხადესია ყვე-  
ლა ის პირობები, რომლებშიაც მათ უხ-  
დებათ ცხოვრება. ხომ ყველას გათვალის-  
წინებული აქვს სახე ბატონყმური წარსუ-  
ლისა, ამ არა—ადამიანურ და ბინძურ  
ინსტიტუტისა. ხომ ვიცით, თუ როგორ  
ითელებოდა პირვენება ჩვენი გლეხისა.  
თუ როგორ ბევრჯელ იგი პირუტყვზე  
დაბლა ჩამოდიოდა ცხოველ მებატონის  
მიერ. მაგრამ როგორ გგონიათ, როგორ  
აიტანა ეს გლეხ-კაცუბამ, მშრომელმა მას-  
სამ, ყმათ-ლეგიონმა?—სიმღერით. იგი,  
მონობის უღელ-ქვეშ მაინც მღეროდა.  
იგი ბატონის მათრახს შეუპოვრად და  
ლიმილით უხვდებოდა. სიმბატრეს და სიმ-  
წვავეს თავის მდგომარეობისას, სიმღერა-  
ლექსის მწუხრ მელოდიაში აქარვებდა. ეს  
იმიტომ კი არა ხდებოდა ასე, რომ გლე-  
ხი მართლა პირუტყვი, ან ცხოველი იყო,  
არა. მათი შემოქმედება სულ წინააღმდეგს  
დაგიმტკიცებთ. მათი გენია პირველ სიტ-  
ყვაზევე შეგაჩერებთ. ეს მოხდა იმიტომ,  
რომ ჩვენი გლეხისა ძლიერი იყო, საღი,

ენერგიული. მასში სიცოცხლის ძალა სდულ-და და გადმოდიოდა, და ეს დუღილი, თვით მისი პიროვნების გათელვის მწარე აგონიაშიაც კი, სევდიანად ამღერებდა. და ეს მომენტი ლამაზად და მართლად დიდებულად აქვს ნათქვამი ი. ჭავჭავაძეს, „ოთარაანთ ქვრივში“, როდესაც არჩილი ეუბნებოდა კესოს: „ჩვენ რაცა ვართ, გაუკეთებულნი ვართ, ისინი კი შექმნილნი. ჩვენ დაბლანდულნი ვართ, ისი კი გვირისტით შეკერილნი, იმ გვირისტით, რომელიც მარტო ბუნებაშ იცის, და ბუნება ხომ იცი რა ოსტატია. ისინი ჩაკირულნი არიან, ჩვენ დონდლონი, დუნენი.

აბა იმათ სიმღერას უყურე: ერთი გძელი კვნესაა, და მაინც სიმღერას ეძახიან. ჩვენი სიმღერა კვნესა არ არის, და მაინც ლხენა ვერ დაგვირქმევია. და აქ დიდებული ავტორი სინამდვილეს ადასტურებს არჩილის პირით. შართალია არჩილის სიტყვები. ჩვენი გლეხი მღერის, და სიმღერასაც ეძახის, მიუხედავად იმისა, რომ იგი მხოლოდ და მხოლოდ გაბმული კვნესაა, მინორიული გამმა. აბა გავიხსენოთ ურმული. ეს ხომ სიმღერა არ არის, ე. ი. „ლხენა“, „გულის მღერა“. ეს თუ გნებავთ ქვითინია, კვნესა, მხოლოდ გაბმული; ეს დამწუხრებული გულის ძახილია, მწუხარე „ვით გლოვის ზარი“. დიახ, ნაღვლიანი და მწუხარეა იგი, ვით შავი სახე ჩვენი გლეხის მწარე ცხოვრებისა, მისსავით ბნელი, ბურუსიანი. მაგრამ ამასთანავე მძლეა და ძლიერი, ვით ბუნება ჩვენი გლეხის, ვით შინაარსი „ურმულის“ შემქმნელისა. და აქ ჩვენი გლეხი ამ გაბმულ კვნესას სიმღერას ეძახის. და განა მარტო „ურმული“?—ბევრი კიდევ სხვა, სადაც გლეხი მოსთქვამს თავის ბედს, და ყველა ამას კი ლექსითა და სიმღერით გამოსთქვამს.

მან ხომ ცრემლი და უიმედო გოდება არ იცის? მის გაღელილ გულ-მკერდს და მაგარ კანს, უხვად ჰქვდება ხალისიანი მზის სხივები, რომელიც სიღრმეშიც ატანენ, და მასაც ახალისებენ. ეს კი მიტომ, რომ ვიმეორებ, —იგი საღია, ცხოველი ენერგიით აღსავს, —ძლიერი. ჩვენს გარშემო? ჩვენს გარშემო სიცოცხლე ავალ-მყოფია. ჩვენი ცხოვრება დასწულებულია, და იგი გამოცდილ დოსტაქრებს საჭიროებს. ჩვენ ცხოვრებას წყლული აქვს, რომელსაც უსიცოცხლობა ეწოდება. ჩვენი ცხოვრება მიმტკარებულია, რადგან მას ჯეროვანი ენერგია აღარა აქვს, და რაც აქვს, მოღუნებული, სიცოცხლის ძალა შოკლებულია. ჩვენი ცხოვრების მიმდინარეობა ისე მოეწყო, რომ მას ენერგიის გამოლევა მოჰყევა. ამან კი სიცოცხლის ფერ-მკრთალობა, უფერულობა გამოიწვია. და უფერულობა სიცოცხლემ ხომ ყველაფერს უნდა დაასვას თავისი დაღი. მე აქ მხოლოდ ჩვენი მწერლობა მაქვს სახეში, და აბა გადავხედოთ, თუ იგი ასლი არ არის ჩვენი ცხოვრების, სახეზედ—მიწევნით გადაღებული. ჩვენ ჩვენი ავადმყოფური სული მწერლობაშიაც გადავიტანეთ, და თუ აქ, ყოველ-დღიურობაში ვსტირით და ვკვნესით, ჩვენ ცრემლთ ნაკადი მწერლობა-შიაც გადმოვადინეთ, და ჩვენი ახალი მწერლები დღესაც კი ერთ კილოზე უშნოდ იცრემლებიან. დიახ უშნოდ. იქნებ სთქვათ რომ ცხოვრება ატირებთო.—დაგეთანხმებით. მე უფრო შორსაც წავალ.. მაგრამ მერე რა? განა მხოლოდ ტირილი განგვიყრნავს წყლულს? განა ცრემლი მოგვბანს იარას? არა. მხოლოდ სიცოცხლე, მხოლოდ შეგნება მისი, და მისი განცდა. ჩვენ ჯერ სიცოცხლე ვერ განვიცდია, ვერ გვიგრძენია მისი სიძლიერე

ყოველ მხრივ, რადგან ჩვენ ვერ ვცხოვ-რობთ სავსე ცხოვრებით. ჩვენ ისე მოვგი-დუნდა და დაგვიჩლუნგდა გრძნობათა ორგანოები, რომ ცხოვრების სიმძაფრის, ან და ცხოვრების ხალისიანობის თითქმის განუცდლად, მხოლოდ მივგორავთ, საი-თაც მიმდინარეობა წაგვიღებს. ჩვენი ცხო-ვრება ისეთ ჩარჩოში მოექცა, რომ ჩვენ იშვიათად და დაგვინახავს მშობლიურ კა-ზე „ელვა სიცოცხლის“; ძლიან იშვიათად მოგვისმენია „სიცოცხლის სიმღერა“; იშ-ვიათად ამეტყველებულა „სალი გული“. კი, „გმირების ძახილი“ ბევრი გვსმენია, მაგრამ როგორ? აი აქ არის კვინც-ესენ-ცია. როგორ და ცრემლით, უიმდო გო-დებით. ერთი მხრივ რომ გვეძახდნენ, მე-ორე მხრივ გვიტეხდნენ იმედის ლეროს, და ხალისს გვიკარგავდნენ. „მაგრამ ცუდად ხომ არ ჩაივლის, ეს განწირული სულის კვეთებაო“, ან „ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზე მოგიწყენია, აწმყო თუ არა გწყა-ლობს, მომავალი შენიაო“—ან „არ მომ-კვდარა“, — „მოვა დრო და თავს აიშვე-სო“, ასეთი სალი სიტყვა იშვიათია ჩვენს მწერლობაში. „გარს ბურუსია... ვეღარ ესჭრეტ ნათელს“... „სიკვდილისაკენ ვი-შვერ ხელს“... „მოდი სიკვდილო“... „მხოლოდ ცრემლი“...—აი ეს—უხვია ჩვენს ახალ მწერლობაში. ერთი ორია სა-ლი, სიცოცხლით გამსჭვალული, და მათ შორის კი ყველაზე სალი,—კოტე მაყა-შვილია. კითხულობთ მის ლექსის, და გრძნობა ჩვენი ირწევა მისი სალი ლირი-კის აკვანში. ტკბილი მუსიკა მისი ლექ-სისა ლამაზ სიმუშობათ ევლება ჩვენ სმე-ნას, იწვევს სალს და სიცოცხლით სავსე ემოციებს, და გრძნობა ჩვენი განიკდის ტკბობას. გესმით მისი ლექსი, და აღმა-ფრენას ეძლევით, სასიცოცხლო ძალა გვ-ჰატებათ, ხალისი გიორკეულდებათ. და რად?

განა მაყაშვილი მხოლოდ სამხიარულო მოვლენებზე გველაპარაკება? განა იგი ჩვენ მწარე ცხოვრებას შორიდან უმზერს ლიმ მორეული? არა. იგი ძალიან ღრმად განიცდის სიმწარეს ჩვენი ცხოვრებისას, ბევრგან უკიდურესობამდისაც მიღის, და თვით ზეცასაც კი გმობას უგზავნის. მაშ რალაა მიზეზი, რომ ახალ მწერლების უმეტესობის კილო გულს გვიხურავს, ხა-ლისს გვიდუნებს, ან სულაც ვერ მოქმე-დობს, (რაც ხშირი მოვლენაა ჩვენ ახალ მწერლობაში) მისი ლექსი კი ზედმეტად გვახალისებს, თუმც ყველანი კი ერთგვარ საგნების გარშემო ტრიალებენ. მიზეზი კი სწორედ ის არის, რომ იგი ყველაზე სა-ლია, ყველაზე ხალისიანი. „ვერ დაგვაკნი-ნებს, ვერ შეგვაშინებს, მაშინ ჩვენ თი-თონ მძლავრი სატანაო“—ამას იძახის იგი ყველგან.—„ვაჟკაცს არ ჰშვენის დიაცის ცრემლიონ“, — უმღერს ყველას, და „ცო-ცხლებს ეძებს... ძლიერებს... ბრძოლის ძახილს ნატრობს“... იგი ყველგან. ამ ტონზე იგი თავს ევლება მთელ ცხოვრე-ბას, ჰკრებს ყველა იმას, რაც გამოუსადე-გარია მხატვრულ განმასახიერებელ, ან რეალისტურ შემოქმედებისთვის, სიმბო-ლოებს, ალეგორიებს, და სხ...

ერთი სიტყვით მთელ პოეტურ ბუტა-ფორიას კონადა ჰკრავს, თავის გრძნობაში ავლებს, და ლირიკისა სახით უდეგნს მაღ-ლიერ მკითხველს. გავყვეთ ეხლა ჩვენ მწერალს და გავითვალისწინოთ მთავარი მომენტები მისი ლირიკის. აქ უკეთესია ჯერ მოკლედ გავითვალისწინოთ ის, თუ რა არის ლირიკა საზოგადოდ, და შემდეგ კი გავშინჯოთ ლირიკა ჩვენი მწერლისა.

\* \* \*

ადამიანის შემოქმედებაში, ლირიკას უჭირავს ერთი მთავარი აღგილთაგანი.

იგია — ეკიტყვი საუკეთესო მხარე შემოქმედებისა. იგი ძვირფასია ჩევნთვის, რადგან იგია გამოხატულება, გამოსახვა, შემოქმედის სულიერ ღელვის, თრთოლვის, გრძნობის თამაშის და თვით აზრის მსვლელობისაც. იგი ფეხ და ფეხ მისდევს ადამიანს, ყოველგვარ მოვლენას ცხოვრებისას, ყოველგვარ სიმბოლოს ხელ-გაშლით ჰქვდება და შეაქვს თავის დიდ და ვრცელ რეპერტუარში. საკმარისია ცხოვრებაში თავი იჩინოს რაიმე მოვლენამ, რომ ლირიკამ ამაზე ჯეროვანი პასუხი გამოსცეს, ყოველ მოვლენას გამოეხმაუროს. და აქ იგი თითქმის განუყრელია რეალურ ხელოვნებასთან. რად ? რად და იმიტომ, რომ შიგ მოექცა ადამიანის ყოველ-დღიურობა, საზოგადოებრივი პოლიტიკა, რეალიგია, ფილოსოფია და სხ... მოვლენანი ადამიანის ცხოვრებისა. ხოლო მისი არასებობა რეალობით არ განისაზღვრება. იგი თავისში ზე-რეალობასაც ათავსებს, და ორივეს თავისში არიგებს. ხომ ადამიანის ცხოვრება მარტო სინამდვილით არ განისაზღვრება, ე. ი. მშრალი რეალობით, ხელ-შესახებ სამყაროთი. მას აქვს კიდევ მეორე მხარე, იმატერიალური, სადაც იგი ჰკრეფს ფერადებს, რომ ოცნება შეალამზოს და ცხოვრებას შემოახვიოს. იმ მხარეს შეუცნობელს უმზერს მგოსანი, და ნაგრძნობს კი ხელოვნების სახით გვიზიარებს. და აქ ლირიკისთვის რეალი და სიმბოლო აღარ არსებობენ როგორც ცალკე კატეგორიები. ორივე მისთვის ერთია, რადგან ორივეგან ეგულება მას წყარო თავისი შემოქმედებითი წყურვილის მოსაკლავად. ლირიკას მხოლოდ ის იტაცებს, რაც ადამიანის სულს ააღელვებს, აათამაშებს, შეარჩევს. ყველგან იგი ჰპოულობს ნოტებს, რომ მელოდია შექმნას. ყველგან

ჰპოულობს მუსიკალურ ფრაზას, რომ რითმი დასწრნას, და შეაზავნოს რა ერთად, შექმნას მუსიკა ლირიკისა. ხოლო მთელი სიმბლავრე და მთელი ლირიკება ლირიკისა მის გულ-წრფელობაშია. უგულ-წრფელობა ლირიკაში მავნე ელემენტს შეიტანს, დისსონანსის სახით ლირიკის მუსიკალობის რლვევას გამოიწვევს, და აქ ხომ თვით ლირიკაც ფერს დაპკარგავს, მოისპობა. საქმე ის არის, რომ მუსიკალობა არ უნდა იქმნეს დარღვეული, რადგან მხოლოდ მუსიკალური ფრაზა იწვევს იმ ფანტომებს, წარმოდგენის თამაშს, რომელიც ასე საჭიროა ლირიკისთვის, და რომელიც შეადგენს მის მიზანს. და აბა ებლა გადაეხედოთ ლირიკას კოტე მაყაშვილისას, და ვნახოთ, თუ რა ლირისებისაა მისი პოეტური სახე.

რომ უკვირდები კ. მაყაშვილის შემოქმედებას, ერთი რამ იპყრობს ჩემს ყურადღებას. სახელდობრ ის, რომ სევდიანი ძაფი მის ლირიკაში ძალიან წერილათ არის გავლებული, და მას თითქმის ჰყარავს ის ოპტომისტური საღი შუქი, რომელიც მის ლექსებს აელვარებს. სევდა, ეს რასაკვირველია აუცილებელია; რაღან ცხოვრების უიმისოდ წარმოდგენა შეუძლებელია, ბოროტებაც ძლიერია ამ ქვეყნად, მაგრამ „ეშმაკი არც ისე საშიშია, როგორც ეს გვგონია“, — აი ამას ამოკითხავთ კ. მაყაშვილის ლექსების სტრიქონებ შუა. ხოლო ეს ეშმაკი იმიტომ არ არის საშიში, რომ ადამიანი მისი აზრით მარტო ქმნილი კი არ არის, არა, იგი შემოქმედიცაა, აქტივობა. და თუ ცხოვრება მას თანამგზავრად ბოროტ სულს ააყოლებს, თუ ცხოვრება მას გზაზე ნარეკალს დაუფენს, თუ სევდის ღრუბელს ახვევს გარს, იგი იმიტომ არის ადამიანი, რომ სძლიოს ამ ბოროტ სულს, გაჰკაფოს

ის ნარ-ეკლის ჯაგები, რომელიც ცხოვ-რების ბილიკზე გამრავლებულან, სევდის ლრუბელი წვიმად გასკრას, და სიკოც-ხლისა და ხალისიანობის საშუალებით შეჰქმნას ცისარტყელა გამარჯვებისა. და იმედიცა აქვს. არამც თუ იმედი, იგი ღრმად დარწმუნებულიც არის ამში, და ამიტომაც იძახის ასე გადაწყვეტილად:

„შიშუებით, ძმებთ, აშინანს,  
ბრძოლაა გაცხარებული,  
„ერთი დაკვრაც და სულს დაჯევს  
ვეშაპი დაშარცხებულით.

\* \* \*

საგანი, რომელსაც დასტრიალებს პა-ტივცემული მწერალი, ან და უმთავრესი მომენტი მისი ლირიკისა,—ეს სამშობლოა. ამას უტრიიალებს მგოსანი ყოველ-მხრიდან, უწნავს რითმას, და მზის ხალი-სიან სხივებით ქსოვილ ლეჩაქს გარს ახ-ვევს. მაგრამ მთელი ტრაგედია იმაში მდგომარეობს, რომ ეს მისი ტრფიალის საგანი შავ ზეწარშია გახვეული. მისი მზე კარგა ხანია ჩასულია, ამოსვლას კი იგვია-ნებს, და დღესაც ბნელით არის გარემო-ცული. და ამ უმზეობას დაულპია კედ-ლები სამშობლოს საკურთხევლისა, შეურ-ყვია ტაძარი მისი. და მწერალიც ამას სჩივის:

„აგერ მოსჩანს აქედან  
მთლად დანგრეული,  
„ჩემი წმინდა ტაძარი  
შეგინებული,  
„მისი საკურთხეველი  
დაბნელებული.....

და აი ამ „მთლად დანგრეულს“, „შე-გინებულს“ და „დაბნელებულს“ სამშობ-ლოს დატრიალებს თავს, და უმღერს ბრძოლის იმედიან ჰანგებს. ამ „შეგინე-ბულ“ სამშობლოს ჰქმნის ლოზუნგად,

და მთელ თავის შემოქმედებაში მთავარ ლარად გაჰყავს. ამგვარმა მდგომარეობამ მშობელ მხარისამ, დაასევდინა მგოსანი, და იმანაც ღვთის სახლს მიმართა მყუდ-როების მოსაპოვებლად.

„შეგეღი ტაძარში... ნატეჭნია და დაღაგულის, უდეთის სახლი მიშიოჩჩენ სევდიან გულს? „საშშობლის დავეძებ, დავეძებ დავარგულის, უვეძებ მის სეულისა და იმის სულის!..

„ხუცესთა ბაგეზედ ღოცვები ღნებოდნენ... „ბრწენიავდნენ სანთლები შიგ... „მაგრამ ღოცვები სულს ვერა სწოდოდნენ... „ვერც ვჰავე საშშობლი იქ!..

გული მოუკლა ამ სანახაობამ ჩვენს მო-სანს, და გაშორდა იგი. მიმართა შემდეგ გონების ტაძარს, სადაც ჩვენს ყრმებს ზრდიან, წროვნიან... სადაც ხალხის იმე-დი, ქედ-მოხრილი ატუზულა, და უდარა-ჯებს... ელის შვილებს... მაგრამ... რა ნახა მგოსანმა? „სხვის სული მეფობდა შიგ“!..

„„და გული ნაწერნი მტკითდა, მეწეოდა:  
„დაშიგმეს საშშობლი იქ!..

დასევდიანებული და ბრაზ-მორეული მწერალი მიმართავს ქართველთ კერას, რომ იქნებ იქ მაინც ჰპოვოს მალამო, გულის რამ სალმობელი. იქნება იქ, ქარ-თველთ ოჯახში იყვეს დაცული წმიდათა-წმიდა მისი გულისა, იქნებ იქ ინახებოდეს სათუთად ის ქართული სული, ის ერის დიალი სიტყვა, რომელიც აუცილებელია ცხოვრების გარდასაქმნელად, ეროვნული სახის შესარჩენად. მაგრამ აქაც ვერ გა-დაურჩა მგოსანი შავ ბელის წერას. იქაც უფრო მწარე სურათი ეჩვენა, რაზედაც მოსთქვაშ იგი:

„ვაჟ ქართველის ოჯახსა, გად მის შერცხვენს,  
„სხვა გერმი ჩაუდგამ შიგ!..  
„სხვის ზნესა გმონგის... სხვის ოჯულის და ენას,  
„უარჲებეს საშშობლი იქ!..

წავიდა მგოსანი ქალაქ გარეთ, სოფულად, მიმართა ქართველთ ადგილებს, რომელთ ყოველნი ნაჟერი ქართველთ სისხლითაა გაპინერებული, რომელიც ივერთ სისხლითაა მორწყული, მაგრამ... აქაც ეს დაუდეგარი „მაგრამ“ არ შორდება მგოსანს.

„ქალაქი ჩეიკვებსა... მინდორი უგავებსა...“

„ჩვენ კი... კლდე... შიგა და შიგ!..“

„ას, სისხლის ცრემლები ერევა თვალებსა...“

„განდეგნეს სამშობლო იქ!..“

მგოსანმა ვერ ნახა სამშობლოს ნასახი ვერც სამლოცველოში, რადგან იქიდან განდევნილი იყო, ვერც გონების ტაძარში, რადგან იქაც დაგმობილი იყო, ვერც ქართველთ კერაში,—იქ თვით ქართველების მიერ აღმოჩნდა უარყოფილი, და ვერც მთაბარად... ერთი სიტყვით, ცველგან, სადაც კი მივიდა, ან უარყოფილია, ან დაგმობილი, ან განდევნილი. და მგოსანი აღშთოთებული იძახის:

„ჩემს სამშობლოშივე, სამშობლოს დაკარგულს,“

„დავეძებ ბედისგან კრულს!..“

„სამშობლოს ჩვენივე ხელით დამარხულს;“

„მის სხეულს და იმის სული!..“

ასე ლაბაზად, ასე მოხდენილაც იშვიათად გამოხატულა სევდა, სამშობლოს მდგომარეობით გამოწვეული. ფორმა და აზრი ისე არიან შესხეულებულნი, მუსიკალური რითმა ისე ოსტატურად სდევს ფრაზას და აძლიერებს მის აზრს, რომ მკითხველის გულში პერნის ლრმა სულიერ დრამას. დიახ! ეროვნული მოტივი მის ლირიკაში მძლეთა უღერს. პოეტი ისე გულ-წრფელად აგვიწერს ამ გრძნობას, რომ მისი გულწრფელობით მოსყიდული მკითხველი, მასთან ერთად განიცდის მის ძლიერებას. მგოსანი ხომ სულ სამშობლოზე და მის „ნანგრევებზე“ ფიქრობს. ხომ დღისით და ღამით, ცხადლივ და

ოცნებით სულ შას დასტრიალებს თავს, და ესაყვარლება... და აგერ დაინახა რომ ვიღაც

„სტირთდა, ცრემლი სდითდა,

„დაწებზე ჩამოსდითდა,

„ქართფა გულ-მეკრდზე, თეთრ-ბროლზე

„მარგალიტებად სცვითდა...“

მაგრამ ვინ უნდა ყოფილიყო იგი? რად თრთოდა, რისთვის სტირთდა, ან ვისთვის სდიოდა მდულარე ცრემლი? ვინ იყო იგი, ვინ?—ეს იყო მისი „ტანჯულ სამშობლოს მფარველი ანგელოზი“. იგი დაინახა მგოსანმა ამ ყოფაში და ნაღვლით აივსო. ხოლო სასო კი არ წარიკვეთა, არა. მან მაშინვე ცას ახედა, და სასტიკი შმით, „რისთვის“ და „რათაო“—დაეკითხა, სიჩუმის დარღვევა მოსთხოვა. თან დაემუქრა კიდეც, რომ

„თუ სიჩემეს ცა არ დარღვევს,“

„ქვეჯანა ესევის მას მწარე გმობასთ.“

ხოლო ოცნება კი, თავისი ანცი ფრთებით, მგოსანს წარსულისაკენ იტაცებს, წარსულის წალკოტისაკენ მიაფრენს და წარმტაც სურათთა გალერეის მოაჩვენებს. მგოსანიც მისდევს... სტებება ლამაზ სურათებით, უცხო წალკოტით, ...მაგრამ... დააპქერდა მგოსანი, დააკვირდა და იცნო... ეს იყო მისი სამშობლოს, მისი ერის „ოქროს ხანის სასაფლაო“, სასაფლაო უტყვი, უსიცოცხლო, ციფი... და გრძნობამ მგოსნისამ იწყო დუღილი. ალერსის სიტყვები მოზღვევდნენ მგოსნის არსებაში, და სატრაფოს საყვარელს, ოდესლაც ლალს და თავისუფალს, შემდეგი სიტყვებით მიმართა:

„გულის სწორთ

„ვარდ-კოკორთ,

„და პირველთ

„სიყვარულო,

„რად დაშეჭრარსა, —რად?..“

„დრო წეტარი  
„ვით წექტარი  
„ამჟ მტკბარი  
„ჩვენის ტრფუქბის  
„სად წავიდა, ...სად?...  
... „ხმა გაშეცი...  
„ას შომშეცი რა იშედით...“

მაგრამ, სწორედ ამ დროს „შეახო ფრთხილად ვიღამაც ხელი“... გამოერკვია მგოსანი და რა ნახა? — უკხო ვინმე ჭაბუკი დასდგომიდა თავს, და შემდეგ სიტყვებს ჩასახოდა:

„მეგობართ, აქ რას ზიხარ,  
მშენარ უვაჯილებს რას დასცექი?  
„სასაფლაოს ძვლების თრმოს  
რას დასტირი, რას დამდერი?“

„აღსდექ, მტკბერი შეგვერთა  
შომაწოდე მტკაცედ ხელი  
„მეგდრებისაგან რთ ირჩევა  
შოწუწეუნე საფლავთ მცველი?  
„გავეშურთ იქ, სადაცა  
სიცოცხლე სჩექეფს, დელავს და სდედსთ...“

...და აღსდგა მგოსანიც. ლრმად ჩასწევდა ეს სიტყვები, და როგორც იგი იძახის:  
„მე წავევი... გავეშურე... მეგობრებთ თქვენც  
შომუევითა“...

იგი მეგობრებსაც იწვევს ბრძოლის ველზედ, რომ შეერთებული ძალით გამოსჭიდონ თავიანთი ბედი, რომ სტიქიონს ქედი მოახრევინონ, ფარხმალი დაუმსხვრიონ, ქვეყანას მოხსნან მძიმე ტვირთი, დათესონ კაცთა გულში „,მხიარული და საღი სიცილი“, და ცრემლი შეუშრონ სასო მიხდილს. იგი მათ შემოქმედებითი მღვამბისთვისაც იწვევს, რომ ახალ საძირკველზე ააშენონ დიადი. ტაძარი ახალი ცხოვრებისა. ხომ ამისთვის მწერლის რწმენით დიდი ლოდინი არ დასჭირდებათ:

„ერთი დაკვრაც და სულს დალევს  
„გეშაპი დამარცხებულით.“

\* \* \*

მაგრამ კოტე მაყაშვილი მხოლოდ ერთი მოტივით არ საზრდოებს, მხოლოდ ერთი სიმი არ ჰყოფნის, რომ გრძნობა აამდეროს, და დასწრას მელოდია. იგი მუსიკას ეძებს, სიცოცხლის მუსიკას, და ამისთვის კი მრავალ-ფეროვანება არის საკირო. და ხომ იგიც უხვადა ჰკრეფს სხვა და სხვა ხმებს, მოტივებს და კონადა ჰკრავს. მარტო სამშობლოს გარშემო ტრიალი, მარტო ამ ვიწრო ფარგალში ყოფნა მას არ შეუძლიან. მისი გული ზვიადია, სურვილი დიდი და სივრცე განუზომელი. იგი ზოგად კითხვებსაც უტრიალებს, და ყოველ შოვლენაზე ხმას იღებს. იგი გულდასმით უკვირდება იმ ლაბირინტს, რომელსაც ცხოვრება ეწოდება, და რომელშიაც არის მოქცეული ადამიანი. ხედავს, თუ როგორ არის იქ გამეფეხული ძალადობა, დევნა პიროვნებისა, შებორკევა თავისუფლებისა. და აქ იგი ცხოვრებასთან შეურიგებელია. მან ქადის მოხრა არ იკის. მის საღ არსებაში მძლეთა სცემს ძარღვი პროტესტანტისა, სჩექეს სისხლი მეამბოხისა; მას სულაც არა სურს დაემორჩილოს ბრძა შემთხვევის ბრძა თამაშს. მას არ შეუძლიან გულ-გრილად უცემობის, როდესაც ცხოვრება თავისი სისხლიანი ხელებით სჯიჯგნის და ახშობს ადამიანში ყოველივე ლირებულების ნასახს. მას არ შეუძლიან გულ-გრილად გაუაროს ისეთ მოვლენებს და ფაქტებს, რომელნიც ამხედრებენ მის სულს, სასტრიც პროტესტის ხმას აღებინებენ, და იწვევენ ამ ბოროტების შესამუსრად. ცხოვრება მაში იმ ზომის პროტესტსაც კი იწვევს, რომ მგოსანში იბადება სურვილი ბრძოლისა, თვით ბუნების სტიქიონთანაც კი, რომ ამით ხელი შეუშალოს მის სიბრმავეს. მას სურს ხილვა სიმართლის გამარ-

ჯვებისა. სურს ძალადობის ბადე დახიოს, რომ აღამიანმა თავისუფალმა, გაინაგარდოს თავისუფლების ცის კამარაში. აღამიანი ხომ გაქვავებული კერპი არ არის, რომ იდგეს უძრავადა, გრძნობა-გაციებული. იგი ორც ზღაპრული დევ-გმირია, რომ მასზე რაიმემ არ იმოქმედოს, და მის შებლზე არც ერთი უკმაყოფილების ძაფი არ გაავლოს, არ აატკოს. ორა. იგი მგრძნობიარე არსებაა, რომელზედაც ყოველი ცვალებადობა შესაფერ კვალს სტოვებს, იგი მოაზრებაა, რომელიც ყველა მოვლენის სათავეს და მიზეზებს არკვევს. — იგი სინამდვილის ცოცხალი შვილია. და უკვირდება იგი ამ სინამდვილეს. სეუდავს, რომ აღამიანის პიროვნება მხოლოდ უბრალო იარაღად გადაუქცევიათ, მისი ელემენტარული უფლებები გაუთელიათ, ტალახით მოუსვრიათ აღამიანის წმიდათა-წმიდის საკურთხეველი, და პიროვნება—მიზანი, პიროვნება—ლირებულება, — მოუკლავთ. შეუქმნიათ მხოლოდ აღამიანი—მაჩანჩალა, მხოლოდ ადამიანი—საშუალება, იარაღი. ეს კი შეურაცხყოფაა აღამიანის პიროვნებისა საზოგადოდ. ეს მღალადებელი ბოროტებაა, აღამიანში მეამბოხის გამომწვევი; ეს ინკვიზიციაა, თავისუფალ პიროვნების მკვლელი—ჯალათი. და ჩვენმა მწერალმაც განიცადა სიწვავე ამ მომენტისა, და მასში მეამბოხემ გაიღვიძა. დაებადა სურვილი ადამიანის გათელილ უფლებათა აღდევნისა, უარ-ყოფილ და შელახულ ღირებულებათა კვლავ ღირებულებათ აღსარებისა, თავისუფალ ადამიანის ხილვისა. და ეს სურვილი მგონისა იმდენად ძლიერია, რომ ემპირიულობის საზღვრებსა ლახავს, და გადადის ოცნების მხარეს. მას ხომ ამ სურვილში ემპირია არ მიჰყვება. პირიქით, სინამდვილე ყველა ამ აზრს დაუმსხვრევს, და დას-

ცინებს კიდევც. და აკი მგოსანიც ოცნების ნავით მიცურავს ოცნების ზღვაში, და იქ სტკება აცნების სამეფოთი. იქ ეზიარება პარმონიას, იქ ხედავს აღამიანს თავისუფალს, მხოლოდ ერთის მორჩილს; ეს ერთი, თვითი აღამიანის „მე“-ა. და იქ იგი ინდივიდუალისტია. იგი აღამიანის პიროვნებას ისეთ დიდ ღირებულებათ აღიარებს, რომ შიგ ათავსებს „მთელ სამყაროს“, „მთელ სიმდიდრე-სიხარულს“, უკვდავების ცხოველ წყაროს“, „შემოქმედების აკანს“, „სადგომს ღმერთების“, და „ტახტს მშვენიერების“. იგი მიმართავს: „..., ადამიანთ!..“

„, მაშ დაუბრუნდი საჩქართდ შენ სულ, „და ჩაიხედე იმის სიღრმეშია, „, იქ ჭიშვილი და შენას, ჭიშვილი სიხარულს, „, მხოლოდ იქ არის შენი ნუგეშია!..“

ხოლო იქ, იგი ისე გულ-წრფელია, რომ ვფიქრობ, იქნებ ეს იყვეს, მიზეზი, რომელმაც სძლია პესიმიზმი პოეტია, და მაღლა ააწევინა ოპტიმისტური დროშა. ეს კი, ეს სალი ოპტიმიზმი მას ბროლის სულს უძლიერებს, და იგიც, ყველგან, მხოლოდ ბრძოლის ხედავს, მხოლოდ ბრძოლით სულდგმულობს. — ხან იგი იღუზიებსაც კი ჰქმის, ილიუზიებს გამარჯვებისას, და აქ იგი სკოცხლობს სრული სიკოცხლით, ბრძოლის სულით გათამამებული, სალი, ამაყი.

დიახ, ოპტიმისტური პირი უჩანს კ. მაყაშვილის შემოქმედებას, მაგრამ ეს სულაც არ გვისპობს საშუალებას, რომ იქ პესიმისტური ელემენტებიც გამოვნახოთ. კი, არიან და ბლომადაც, მაგრამ არის სევდაც და სევდაც. არის ერთი—დასაბამი სიკოცხლის, ხალისიანი სიყვარულის, არის მეორე—დასაბამი მოღუნების, უსიკოცხლობისა. ან და, განა წარმოსადგენი არის ადამიანი, სევდიანობის გარეშე მდგა-

რი? რასაკვირველია არა. გადახედეთ ცხოვრებას, თვალი ააყოლეთ ცხოვრების მთას, სადაც „ჯერაც ვერ ძლეული, დაჰქრის წყეული, სატანა წყვდიადით, გარშემოხვეული!“ შეხედეთ, მზე როგორ თანაბრად იფენს თავის სხივებს სამყაროს, მაგრამ უძღები ადამიანი, რომელიც ბრძაფორტუნას წყალობით მოქცეულა ცხოვრების სათავეში, ამ მცირეთ, ანუ დაბალთ, მზესაც კი ეცილება, ლამის მზეც თავის მონაბოლიად გამოაცხადოს, და თავის ძალით, ჩრდილს აუქნებს ქვეყანას, ჰერლავს, სთელავს რაც კი წინ პხვდება, ამრავლებს „კვნესას, ჩივილს, ყვირილს, ტირილს“. შემდეგ გადახედეთ ცხოვრების ველს. სასტიკი და ულმობელი ბედის წერა, აქაც სიბილწის მანტიით დაიარება, და სისხლს თხოულობს.

„მთა-გროვა შევდრებისა,  
„ხორცის და ძვლებისა,  
„სულს და გულს ჭიარავდა!  
„ჭაერსა სწორავდა!  
„და შევის აჩრდილით  
„ნათელ მზეს ჭიარავდა!

...და კონტრასტების არშია მიიკლაკნება მეოსნის წინ. ცალ-მხარეს ლხენა, შვება, განცხრომა, მერე მხარეს კი, მხარეს უმრავლესობისას—ტანჯვა-ვაება, სულის კვეთება, გულის წამება.

„მე კი აქ გხედავ რაც ქვეუნად სდება,  
„გხედავ ერთს დიდსა წამების ჯვარსა,  
„მესმის უბადრუებთ გვნენსა, გრდება,  
„გხედავ სისხლიან ცხარე ცრემლთ დევარსა.  
და აქ, პხედავს რა ამ სოციალურ ბოროტებას, სოციალური ცეცხლითვე იღგზნება, და უძლევი მეამბოხე გვევლინება. მწერალი ხომ ციდან არ არის ჩამოვარდნილი, ან რაღაც განგებით თავისუფლად მოვლენილი, ცხოვრების განზე გასული. არა. იგი ღვიძლი შვილია იმ სოციალუ

რი წრისა, რომელშიაც იგი სცხოვრობს. იგი, როგორც პიროვნება, ამ წრის წარმოშობგაა; იგი წრე აძლევს მას ფორმას, და თან მჭიდრო რგოლათ ეხვევა მის ინდივიდუალობას... და იგიც განიცდის ამ წრის ყოველ თრთოლვას. იგი გარკვეულად გრძნობს, რომ ადამიანი დღესაც ვერ შესწყობია ცხოვრებას, და ბრძოლაა გამართული. თაობა სცელის თაობას, ხოლო ნაბიჯი კი ძალიან პატარა იღგმება წინ. ხოლო ბოროტება კოსმიური, ბოროტება სოციალური, კვლავ მისდევენ მას ერთგულ თანამგზავრებსავით. აქ, ამ ბრძოლაშიც ხდება ღანაწილება, აქაც თავს იჩენს ბიოლოგია. როდესაც ორგანიზმი სუსტია, მოღუნებული, როდესაც პიროვნება ვერ განიცდის სიცოცხლეს მთელი თავისი მძლეობით, როდესაც ხალისიანი მზე ვერ სწვდება მათ გულს, და ვერ ათბობს შინაგან სიცივის მიერ დასაკრინობად განმზადებულ გულის ყვავილებს, იქ ადამიანი მებრძოლი სდგება, და ცხოვრებას ხელსა ჰკრავს. იგი აღარ იღებს მას. ხან ამასაც ვეღარ ახერხებს, სდგება, წინ ვეღარ მიდის, და შეშინებული კოსმიურ—სოციალურ ბოროტებით, ქედს იხრის, და უიმედობით გარე-მოცული სევდიანათ გასცეკრის მთებს იქით ჩამავალ მზეს. ჰელნია, ეს უკანასკნელი გამახალისებელიც კი სულსა ლევსო, და იმას კი ვეღარ განიცდის, რომ ეს მზე კვლავ ამოვა, კვლავ აათამაშებს თავის სხივებს ცის კალოზე. ესეთი ადამიანი მხოლოდ ხეებს ხედავს, და ხეებს უკან დიდ ტყეს კი ვეღარ სცვრეტენ.—აქ მათ დაჰყარეს იარალი, და უიმედობით გარე-მოცულებმა უარჲყვეს სიცოცხლე. სულ სხვაა ბიოლოგიურად საღი პიროვნება. იგი ცხოვრებას, პირ-იქით, თვით ალამზებს, და უარყოფის მაგივრად, იგი მას

იღებს, ურიგდება. ხოლო კი არ გეგოა ნოთ, რომ ყველაფერი მას ვარდის ფრად ეჩვენება, არა. იგი შეიძლება უფრო მძლედაც განიცდიდეს განუზომელ მწერას ადამიანისას, იგი შეიძლება უფრო მწვავედ გრძნობდეს სისასტიკეს სიკვდილისას, იგი იქნება დღე-მუდამ შესჩერებოდეს ამ სასტიკ პრობლემას, და ტრაგედია შოკული დიდ სევდიანობასაც განიცდიდეს. მაგრამ როდესაც პირველნი აქ წერტილსა სვამენ, გაყინულ წერტილს, უკანასკნელნი კიდევ იქით მიდიან, და კვლავ ხედავენ ნაზ სხივებს სიცოცხლის მზისას. კვლავ სასიცოცხლოდ სძგერს მათი გული. თუ გონებას ბევრჯელ იგინი სასოწარკვეთამდისაც მიჰყავთ, საღი, ბიოლოგიური ენერგია სულაც არ მისდევს მათ იმ კიდემდის, და გზას უხვევს. და როს გონება ფილოსოფიური განჭვრეტით იძახის: „სოფელი იმად არა ღირს, რომ იცოცხლოვო“, საღი გული მაშინვე წინ აღუდგება და უპასუხებს: „არა, მე მიტომ ვარ ქვეყნად მოსული, რომ მძლედ განვიკადო სიცოცხელე მზისა, გულს ჩავიქსოვო სინაზე მთვარისა, აღვიგზნე სიყვარულის ღვთიური ცეცხლით, და ვიცოცხლო სრული სიცოცხლით, არ გაუშვა არც ერთი მომენტიო“. ასეთ საღ პიროვნებებზე სულაც არ შეიძლება ითქვას, რომ ისინი ან სიმარტოვეს არ გრძნობდნენ, ან სევდიანობას, ან სხვა და სხ... არა. აქ იმის თქმა კი საჭიროა, რომ ეს საღი პიროვნება უფრო მძლეო, უფრო ინტენსიურად განიცდის ამას. მაგრამ აქ ინტენსიურია მისი იმედ-მისწრაფებანიც. ცხოვრების გზის ბოლოზე, ამ უკანასკნელთ წუქი ეჩვენებათ, შუქი იმედისა და გამარჯვებისა, და ეს იმედი უმსუბუქებს და ჰფარავს კიდეც იმ სევდიანობის კოლორიტს, რომელიც მათ არსებას გარს შემოჰქოდა.

და ჩვენი მწერალიც ამ უკანასკნელთ ჯგუფს ეკუთვნის. იგი, როგორც ზევით მოვიხსენიე, მძლედ განიცდის სოციალურ ბოროტებას, და ბრძოლის სულით იღგზნება. მას სურს „გადასება ღირებულებათა“, მას სურს ღანგრევა ძველი ტაძრისა, და განახლება-განმტკიცება ახლისა. იგი იბრძვის, და ბრძოლად გშიწვევს, რათა შევქმნათ ცხოვრების მრავალ-ფეროვანება, მრავალ-მხრივობა, ცხოვრება წინ-მსვლელობისა, თავისუფლებისა. „შრომის სუფევისა“ გულწრფელი დამცველი, მისი მედროშე, მიდის ძლევა-მოსილობით, და თან მრისხანე ხმით უყვირის მეორე მხარეს, რო მე არ მოგცემთ უფლებას, რომ ადამიანის პიროვნება ილახებოდეს, იჩაგრებოდეს. და იძახის:

„ვქუს რისხვითა, ვწვიზ ელგით  
გულამდევრეული,

„სიავსიცრუისაგან

ეჭა, ძლეული!!

„ქვე დამხობილ სიმართლეს

„უგელგან დევნილსა,

„შეგაშეელე შე სელი

„ფეხ-ქეშ თელილსა!..

რა უყოთ, რომ ამისთვის გაპეიცხეს, მართლის მთქმელს სიტყვა არ ათქმევინეს. ის მაინც იმედით გზნებული წინ მიდის, მიარღვევს ტალღას ცხოვრებისას, და შავ-ბნელ ძალებს კი, რომლებსაც სიმართლის შუქი თვალებს უთხრის, თვალებს სტკენს, უკივის:

„ჭა გაისარენით, შავ-ბნელნო სულნო

„დაცემულნო... თუმც ესლა გამარჯვებულნო!

„ცოდნა შებწევთ საწეად ბბბას დაბრიუვებისა,

„ცოდნა დიდი — ფაშა, თქვენ! — მრუდე გზებისა!

„მაგრამ თუმც სანგრძლივია

დამის წევდიადიდ,

„მას განაბნევს მალე მზის

სხივი დიადი

„ხან-შოკლეა თქმენიცა  
და ხერა და შეება,  
„და სწრაფი—წარმავალია  
ცრუ გამარჯვება!..

... „მოგედებათ თქმენც ბოლო  
სულნო შაგ-ნელნო,  
„შეზმუზება შეღებო  
ფარისეველნოვთ!

ასეთია საღი იმედი საღი მწერლისა. ხოლო თვით დევნილებს, დღევანდელ ცხოვრების ნაძირლებს—მომავლის კი— ქვაუკუთხედებს—ეუბნება, რომ „უბად-რუკთ სისხლი, ტანჯვა, წვალება, ქვეყნის გოდება, კვნესა, ვაება, ცრემლი მღულარე ბელშავ-ბელკრულთა, მაღალ კედლებსა და ეტანება“—ო. ეს იქნებიან კედლები მომავალ ახალ ცხოვრების წმინდა ტაძრისა, რომლის „ფართო, განიერ საკურთხეველში, ხალხო, გაქვს შესვლის უფლება სრულიო“<sup>1</sup>. ხოლო რომ ეს ტაძარი მაღა აშენდეს, რომ მაღა მოვიდეს სუფევა იმ წმიდა სამებისა, რომელსაც „,ძმიბა, ერთობა, თავისუფლება“ ეწოდება, საჭიროა გმირები, რომელთაც მიმართავს:

„კურთხეულ იქნა მისი სახლი,  
„გონც ბრძოლის გელზე ხალხისთვის კვდება,  
„შთამთმავალთა იგი ნორჩ გულში,  
„გაბრწეუინვებული შევდრეთით ადსდება,  
„იმის საფლავსა ჩევნი მადლობა  
„გუნდრუების კვამლად შემოვედებათ.

მაგრამ ამ ბრძოლისთვის ხალხია საჭირო. ის ხალხი კი, რომელიც ჩვენს პოეტს ახვევია გარშემო, იგი ჯერ არ არის დაწმენდილ-დახვეწილი. მას ბევრი ურევია ღვარძლი და იონჯა, და მწერალიც სცდილობს მის მოსპობა-განადგურებას. და აქ იგი სატირას მიმართავს, იმ სატირას, რომელიც პოეტის სულსა და გულს შეადგენს. აქ იგი ჩვენ ახალ მწერლობაში

შეუდარებელია. მისებრი სატირა ქართულ მწერლობაში იშვიათი მოვლენაა. თუ ილია ჭავჭავაძის სატირა არის მართლა ძლიერი და მკვეთრი, აგრე-რიგად არც მაყაშვილი მოისუსტებს. დიდი მასწავლებლის ღირსეულ მოწაფეს, ღირსეულად უჭირავს მასწავლებლის მიერ ნაანდერძევი სატირის კვერთხი, და თუ მაყაშვილის სატირა ჯერ კიდევ დაუწმენდელია, ილიას სატირისთან შედარებით, ეს ღროს დავა-ცადოთ. სატირული ძალა პოეტისა იმე-დინი თავდებია. კ. მაყაშვილს სულაც არ ენანება ფერადები, რომ სასაცილო კარიკატურა დახატოს, ხითხითით დასძრახოს, ან მოპკლას მიზანში ამოღებული. იგი, როგორც ღროს ანუ ეპოქის ფერ-მერი, პატიოსნად ემსახურება ეპოქას, და გესლიან სატირას ამუშავებს, ნიშნად უღრ-მესი პროტესტისა იმ სიმახინჯის წინააღმ-დეგ, რომელიც ჩვენ ცხოვრებას შემოს-წოლია უძღებ გველებაშივით. იგი არ ინდობს იმ მავნე ელემენტებს, რომელნიც ამღვრევენ ცხოვრებას, და ჰკლავს სატი-რით. ხომ მკითხველს თვალ-წინ უტრია-ლებს ყოველ წუთს, პატივცემულ მწერ-ლის თამამი და უშიშარი სატირა—, ეშ-კი საქართველოში<sup>2</sup>. (გრდემლი წ. I.) ეს სატირა ხომ ეპოპეია იმ ეპოქის, რო-მელსაც ეკუთვნის მწერალი; ხომ ამ სა-ტირაში გადაგვიშალა და დაგვანახვა სა-შინელება იმ წემაძრწუნებელი სურათისა, რომელსაც ჩვენ ცხოვრებას ვეძახით, და ვეძახით დღესაც. აგერ ჩვენი ნაცნობი ბრუგაძე, ეს მშიერი და ჯიბე-გახვრეტი-ლი მოხეტიალე, აგერ ტოლუმბაში, ყელ-ამოხრანწვით რომ გაჰკივის: „ღვინის მომ-გონს, მოხუცს ნოეს, წვერში ვენაცვა-ლეო“!—ან პანლურ-მაირი, და ძმანი მათნი; აგერ მამა სპირიდონე, ან კიდევ მამა იოანე, როგორ მათრახდებიან მწერ-

ლის მიერ; ან და აგერ ინტელიგენტი, პანამით, ჯოხით, ცხვირზე სათვალეებ წამოსკუპებული, რომლის ჭკუა-გონება ამ საგნებშია მოთავსებული, და ასე თავ-შესუმბუქებული, პრტყელ-პრტყელ ფრაზებს რომ არახუნებს. ან აგერ ლივლიველი, და საზოგადოდ ეს ცხოველი, რომელიც მიდიან ჩვენ წინ, და იწვევენ მწარე ლიმილს, ზიზლის ჩარჩოში მოთავსებულს. დიახ, მკითხველს ახსოვს იგინი, რომელთ მოგონებაც მწარე ფიქრებს გვიშლიან, და ჩვენც თითქოს ძალაუნებურად ვკითხულობთ: „ნუ თუ?“ — კი ბატონო! კი! არ გეუცხოვოს, და არ აჩქარდე. არ დასძრახო მწერალი სითამამისთვის, რომ იგი ადგილ ადგილ სატირასა სტოვებს, და ფარსსა და კარიკატურას გვაწვდის, ან და, ხანდახან თუ ჩვენი საზოგადოების გასამასპინძლებლად პასკვილსაც არ იშურებს. ეს სულაც ვერ ავნებს სიმრთელეს მისი სატირისას, და ვიტყვი. კიდევც, უფრო აზავებს, შთაბეჭდილებას აძლიერებს. აგერ ხომ ხედავთ „კვეყნის ბურჯას“ რომელიც დღე-მუდამ დარბის, არა აქვს მოკლა, რადგან ის „კომისიისის კაცია“. ხუმრიობა ხომ არ არის, „დღეში არის ორი კრება, წინედ დიახ ძეირი“. რას იზამთ? ჩვენმა ცხოვრებამ გამოიწვია ყოველივე ეს. ჩვენ წყლული გვაქვს, და იმ წყლულს მორჩენა უნდა. და „ბურჯიც“ ხომ უნდა ალაპარაკდეს. ლაპარაკია საჭირო. და ხომ არც იგვიანებს: — „ვლა-პარაკობთ, ვლაპარაკობთ, სულ, სულ ვლაპარაკობთო“! — „რექს“ — „რეჩი“ მოსდევს, „სიტყვას“ — „სიტყვა“, და ერთთავად გაისმის მჭექარე ქუხილი. ხოლო „ბურჯი“ ხომ აქაც პირველი კაცია. იგი მესაიდუმლეა ერის, და არც შეუძლიან სხვაფრად მოქცევა. მან დიდი ხანია თავისი მსუბუქი თავი მსხვერპლად მიიტა

ნა სამშობლოს საკურთხეველზე. („ლაპარაკით“ რააკვირველია!) და აგერ, უკვე მოსთქვამს:

„უბებიც კი მაქვს შესვეული, „დამიჩხუნგდა სმენა!.. „მაგრამ მაინც გეშურები... „შემწეთა მუავს ღმერთი, „მინდა ჩემი თყოფთ-მწუერი „ავათრინა ერთი! „აქნებ ამითი ეშვეჭას „რაშე ჩემს მამულსა, „კოხტა, ტურფა საჭართვეჭას, „ჩემს სულსა და გულსა.

ხოლო ღიმ-მორეული და ნაღვლით აღსავს ავტორი კი უცკერის ამ „ბურჯას“, და სტკივა გული. „...წავიდა... ამბობს აფტორი... მას სევდიანად „დავადევნე თვალი, „და წარმოგსთქი ნაღვლიანად, „გაა ჩეენი ბრალი!..

და მართლა რომ „ვაი ჩვენი ბრალი“, რომ ამ გვარი ტვინ-დამპალი „ბურჯები“ დღესაც მრავლად გვყანან, რომელიც ბევრსა ჰყვირიან, ბევრს განგაშობენ, და როდესაც ჰერნიათ — საქმეს ვაკეთებთო, ნამდვილად კი ახდენენ, და ჩვენ კი დაუსრულებლივ გვამეორებინებენ „ვაი ჩვენი ბრალიო“. აბა აგერ, ეხლა ამ ჩვენი „ბურჯის“ ამხანაგს შეხედეთ, რომელიც თავ-მომწონეთ მოდის, და მხიარული, მოიმდერის:

„ჰერი, ჰერი, ჰერი,  
„ვთამაშობ და ვმღერი,  
„ჰეპს ჩემსა მთა გთლიათს,  
„დავებადე მწერი!  
. . .  
„სამშობლოს გერავ წისლს თღონდ კი  
„ვიუ კამერლერი!  
„ჰერი, ჰერი, ჰერი,  
„ვძღები, ვთვრები, ვმღერი,

„შიშშიოლისგან ჩემს საშშიბლის  
„თუმც ეცვალა ფერი,  
„ჭერი, ჭერი, ჭერი,  
„გისტრი შე თუ ვმდერიო..“.

მღერი, მაგრამ ვაი მაგ სიმღერას უბედურო, — უპასუხებს გულ-ამღვრეული მკითხველი; მღერი, მაგრამ ვაი შენ, რომ მაგ სიმღერას, ტირილი უნდა გერჩიოს, რადგან ცრემლი შენი აღამიანობის ნასახის მაჩვენებელი იქნებოდაო, და პატივურმული მკითხველი, წაიკითხავს-რა ავტორის ბოლო სიტყვებს:

„ის კი ვიცი ცრემლად დავდნი,  
„ამის დამწერია,

დახურავს წიგნს, და მწარე ფიქრი შორს გაიტაცებს; ხოლო მწერლის მიზანი კი აქ უკვე მიხწეულია, რადგან მის შემოქმედებითი აზრს ჩვენც შევცვევართ აზროვნების სფეროში, და გვაფიქრებს, ან და ფიქრს

გვიახლებს. ხოლო ფიქრი ხომ პირველი ნაბიჯია ადამიანში აქტივობის გაღვიძებისა, რომელსაც უსათუოდ სხვა ნაბიჯებიც მოჰყვება, და მაშინ ხომ კაციაური სიცოცხლე უზრუნველყოფილია, რადგან „მოძრაობა და მხოლოდ მოძრაობაა სიცოცხლის მომცემი“. (ი. ჭავჭავაძე.) ასეთია სატირა კოტე მაყაშვილისა, (აქ მე ვერ შევცხე ვრცლად „ეშმაკი საქართველოში“-ს, რადგან წერის ხასიათი ნებას არ მაძლევს.) რომელიც დაკავირვება, ჩვენს დახურდავებულ-დაჩივებულ ცხოვრებას, და გვაძლევს სახეებს; ოხუნჯობით და სიცილით გამოსთვამს ტკივილს გულისას, ეს მართლაც „იყერთ სიცეფის მკაცრი მზრახველი“.

განტანგ კოტელიშვილი.

(დასასრული იქნება)

## ერთი პლაგიატის შესახებ

1894 წ. უკრ. „კვალში“ დაბეჭდა თარხანის მთხოვნება: „უახადი“. შემდეგ, 1896 წ., ეს მთხოვნება ცალკე წიგნად გამოვიდა ბათოში. აქ უსევდონიში თარხანი გამომჟღავნებულია და წიგნს აწერია თ. ხუსკივაძე.

სამწუხაროდ, მთხოვნება: „უახადი“ არა თრიგინალური ნაწარმოები, როგორც ავტორს სურს მისი გასაღება. ბ. ხუსკივაძეს მთუნდოშებია რეს მწერლის ი. ნ. პირმარევის რომანის: „ათამან-მსტილ“ გადმოკეთება და თრიგინალურ ნაწარმოებად გასაღება, მაგრამ შრომის ქვეშ მოჭედლია და სელში მხრიდან პლაგიატი შერჩენა.

შრომისარევის ხსენებული რომანი თან ნა-

წილისაგან შედგება და შეიცავს 212 გვერდს, ხოლო ხუსკივაძის „უახადი“ კი დაწერილია ერთ ნაწილად და შეიცავს 77 გვერდს.

საქმე ისაა, რომ ხუსკივაძეს შეუმოკლებია პირმარევის რომანი, ზოგი რამ გამოუტოვებია, მაგრამ რაც საჭირო დაუსახვს, — სელ პირმანდათ გადმოუდია. ამიტომაც არის, რომ ხუსკივაძის მთხოვნება ისე ჭიგავს შნოთი და სელოვნებით პირმარევის რომანის, როგორც გადასცემილი სე მრავალ-შტოვანსა და ამწვანებულს.

თ. ხუსკივაძე თუმცა უმნიშვნელო მწერალია, მაგრამ მისი პლაგიატი მაინც აღნიშვნის ღირსია, მით უმეტეს, რომ ხუსკივაძეს ანგა-

რომეს უწევს, როგორც ბეჭედირისტი, განსკვნებული პროფესიონალი ა. სახია შეიძლი, რომელსაც „განადის“ პლაგიატის ვერ შეუმჩნევია („Очерки по груп. слов. 535 გვ. Москва 1907 გ.“).

ჩვენს ლიტერატურაში, უფიქრობ, პლაგიატთა რიცხვი მცირე არ უნდა იყოს, მაგრამ ჩვენი დღევანდელი კრიტიკა ამას ვერ ამჩნევს, ან თუ ამჩნევს, ხშირად ხელს აფარებს.

თანამედროვე ჩვენი კრიტიკა, ჩვენდა სასირცხოთ, საზოგადოთ მოუმზადებლობის, უფიციალისა და ზერელობის აშშორებულ მორეგიმი ტრაპავს.

ჩვენი „კრიტიკოსების“ მოუმზადებლობას და უფიციალის ძალაუწებურად შეურიგდებოდა კაცი, რომ ამ საშიშ სენთან ერთად კიდევ უარესი და უსაშინებელი სენით არ იყვნებ ისრინი გნეუგნებლად შეპურბილნი. ამ უკანასკნელ სენს ეწოდება: უპრინციპობა, მიკერძება, ნაცნობ-მეგრობრობა და სხვა...

და სანამ ჩვენში ასეთი კრიტიკა ბატონბის, რითმის უბრალი მთითხვენებლიც კი იგენია-სებენ და მეპლაგიატებიც მწერალთა რაცხვში იქნებან...

თითო-ორთლა ასეთი შემთხვევითი აღმოჩენა, როგორც ხესკივაძის პლაგიატისა, რა თქმა უნდა, ჩვენს ლიტერატურას ვერ გასწიმენდს, ვერ გააფაქიზებს.

რომელიმე ლიტერატურული ნაწარმოების ნაკრძლვის ცხადსაუფლება საკმარისია, რომ პლაგიატისა და დედნის საზოგადო შინაარსი სრულიად ერთი და იგივე ან მსგავსი იყოს; ამასთან ერთად თუ პლაგიატში დედნიდან უცვლელად გადმოღებული ადგილებიც მოიპოვება, ეს სომ ზედმეტი უტესარი და უცილობელი საბუთია ქურდის თხლეზე დასაჭერად.

ახლა მიგადგეთ ასეთი ზომით ბ. ხესკივაძის „განადის“ და დავუშინდაპიროვ ერთმასნეთს დედნისა და პლაგიატის შინაარსი.

პონომარევის რომანი: მაზრის უფროსის

ტერ-აგრიპინოვს ჰერაც ქვრივი ქალი შეენიერი ტატიანა პალევისოცებისა. ტატიანა ხშირათ მარტოდ-მარტო სასეირნოდ დადიოდა ხლომე ცხენით ახლო-მახლო მიდამოებში. ერთ დღეს ასეთი გასეირნების ღრას ტატიანას გზაში მთასწორო საშინელმა ქარიშხალმა. მან მასლობელ ტექს მიაშერა თავის შესაფარებლად. ტექსი ტატიანა ჩამოხსრა ცხენიდან, დაიჭირა ის ადვირით ხელში და გახერდა ას წლოვან მუხის ქვეშ. გეცრათ ჩამოხსნელდა, ელფა გაიგლა და დრუბლებში, საშინლად დაიშესა და გავარდა მეზი, რომელიც დაეცა ტატიანას ცხენს და იქვე მოკლა. ხლოდ თვითონ ტატიანა კი გააბრუა და მიწაზე გაართონ. საბრალო ქალს აღმოხდა საზარელი გვნესა ..

ამ ადგილის ახლოს ამ ღრას კეგებერთება მუხას ქვეშ იჯდა შეიარაღებული ახალ გაზდა ქართველი—მისაკო მესხით, რომელსაც აგრეთვე თავი შეეფარებია ქარიშხლისა გან.

საშინელ წევდიადში, მეხის გაფარდნისთანავე მისაკოს მოესმის საზარელი გვნესა. ის ერთს შედრება, წამთავლებს თოთვს ხელს, ზეზე წამითება და უნდა გაემუროს იქითებენ, საიდანაც გვნესა მოქმედია, მაგრამ რადგან ძალზე ძნელოდა, ის იძულებული გახდა ხელის ცნობა ნელ-ნელა გაჭულოდა.

ერთ ადგილას მისაკო შეჩერდა, ამ ღრას უცრივ გაიგლა და განათა ტექს. ახალ-გაზდაშ შენიშნა, რომ მისეგან რამდენიმე ნაბიჯის მანძილზე გდია თეთრი ცხენი და მის შორის ახლოს მიწაზე განართხულია ქალი. მისაკო დაუკრძალივ ქალთან განხდება საშეელად. ის სხვა და სხვა საშეაუგებით ცდილობის ქალის მოსულიერებას და ბოლოს კიდეც აღწევს მიზანს.

ახალგაზდა, თცი წლის, უმაწვილს, რასაკვირველია, ახალგაზდავე ქალთან ახლოს უფლენა, მოსულიერების ღრას მისი ხელის

შეხება, ამასთან ამ ქალის მომჯადებელი იყო შესხიოს სიუგა-  
სილამაზე, რასაც ამჩნევდა ელფის სინათლეზე, ხიბლავდა და ტანში ჟრუანტელივით უვლიდა, მაგრამ მისაკო რაინდებულ თავს იყავებდა.

გრძელებული მომჯადებელი ტატიანა მესხიოს თავის სახლში, რომელიც ტეილან შორის არ იყო, მიმდევად დამის გასათვევად.

ტატიანა უმაწვილს გამოჰქოთხავს მის ვის ვის ათას და გაიგებს, რომ ის არის სახელ-გან-  
თქმული უახალი გიორგი მესხიოს შევილი.

ქალს ძლიერ მოსწონს მისი მხსნელი მისაკო, რომელიც შემსეული იყო გაუკაცური შეგრძებით.

გზაში ქალ-ვაჟი ისე მიუხვდებან ერთმანეთს გველის წარდილს, რომ მისაკო გაბედავს და კოცნის მოსტაცებს ტატიანას.

იმ დამეს დიდი პატივით ეპურობის მას-  
შინძლები, მისაკო და მისი მოხუცი დედა, ძვიროვას სტუმარს, რომლის ვინაობა მათვის ჯერ კიდევე უცნობია.

შეორე დღეს მისაკო ტატიანას გასტუმ-  
რებს ქალაქში თავისი ბედაურით.

დაკარგული ქალის სახლში მშეიდობით და-  
ბრუნება, ცხადია, დიდ სისარულს ანიჭებს და მაწერებულ დედ-მამას.

ტატიანა უმბობს მშობლებს თავის თავგა-  
დასავალს და სთხოვს მათ, რომ მისი მხსნე-  
ლი დააჯილდოთ.

ტერ-აგრიპინოვს უნდა ტატიანას მხსნელს  
თუმნი აჩუქოს, მაგრამ ქალი აუხსნის მამას,  
რომ მისი მხსნელი არის შეიდი განთქმული  
სათათოეთში გარდასვეწილი, უახალი გიორგი  
მესხიოს და სთხოვს სახლში დაბრუნების ნე-  
ბა დართოს ამ უკნასვნელის.

ტატიანას სახლში დაბრუნების შეორე დღეს  
მისაკო მესხიოს იძარებს მაზრის უფროსი.  
მისაკო მისავდება, რომ მას იძარებენ უცნობი  
ქალის გადარჩენის გამო და უშიშრად მიდის.  
გზაში მას მოულოდნელად შეხვდება ცხენით  
მომავალი მისი მომჯადებელი ტატიანა, რო-

მელიც უკვე შეებოჭვილი იყო შესხიოს სიუგა-  
რულით. შეუგარებული გადაუხვევენ გზიდან  
ტექში, სადაც ტატიანა გაუმჯდავნებს მისაკოს  
თავის ვინაობას, გააგებიებს იმასაც, რომ  
მამა მისი მისაკოს მამას, გიორგი მესხიოს,  
შინ დაბრუნების ნებას დართავს; აქვე გამო-  
უტევდება ტატიანა მისაკოს სიუგარულში და  
დაბრუნების შეორე დღისათვის შაემანს.

მისაკო ასეთი მოულოდნელი ბელინიებით  
თავბრუ-დახვეული მორდება ტატიანას და გას-  
ტევს სამაზრო ქალაქისაკენ.

მაზრის უფროსი ტერ-აგრიპინოვი და მი-  
სი ცოლი გორტენზია დიდ მადლობას უხდი-  
ან მისაკოს ტატიანას გადარჩენისათვის; ამას-  
თანავე ნიშნად მადლობას შაზრის უფროსი  
მისაკოს გარდახვეწილ მამას ნებას რთავს შინ  
დაბრუნდეს და იცხვეროს.

გიორგი მესხიო ადრე ბრუნდება სახლში  
და იწებს ჩვეულებრივ ცხოვრებას. მაგრამ მამა-  
შვილ მესხიოებს საბოლოოდ მაინც არ ინდის უკულმართი ბედი.

საქმე ისაა, რომ ტატიანას თხოულობს  
ცოლად მდიდარი ვაჭარი მოხუცი, ლიპინი  
და უშინ კანიტელინი, რომელიც ტერ-აგრი-  
პინოვებისათვის დიდად სასურველი სასიძაა,  
ხოლო ტატიანასათვის კი საზიზდარი არსე-  
ბა. ტატიანა, ახალგაზდა მესხიოს შიერ მო-  
ხიბლული, რა თქმა უნდა, უარ აშბობს კანი-  
ტელინის გაუთლაზე.

გავა დორ და დედა ტატიანასი გორტენ-  
ზია, რომელიც შეებოჭვილი იყო პირველი ნა-  
ხვის დღიდანვე მისაკოს სიუგარულით, მაგრამ  
უკნასებულისგან კი უარისფილი, დაითანხმებს  
თავის ქალს კანიტელინის გაუთლაზე. მაგრამ  
როცა გორტენზია გაიგებს ტატიანასა და მი-  
საკოს შორის დამოკიდებულებას, გადასწუვეტის  
ასეთი დაბრუთლების თავიდან აშორებას.

ეს ბორცომი დედასაცავი განიზრახავს გიორ-  
გი მესხიოს დაფუძნას, ხოლო მისაკოს ციხე-  
ში ჩაგდებას, რომ შემდეგ აქვან გაათავის-

სუფლას, ხელში ჩაიგდოს, საეგარენად გაიხადოს, მით თავისი ყინი მოიკლას და შეურაცხუფლივი თავმოუვარეობა დაიგმაუთვილოს.

ასეთი საზოზღვარი განზრახვის სისრულეში მოუვანას ის აკისრებს მაზრის სამშართველოს მდივნის პილსურისკის, რომელიც თავის მხრით დახმარებას თხოვს მესზიანების სოფლის მამასახლის.

მამასახლისი სიამოვნებით დებულობს პილსურისკის წინადაღებას მით უფრო, რომ ახლა მას შემთხვევა ეძლევა ერთ თავის მიზანს ადგილად მიაღწიოს, ერთი თავისი სურვილი დაიგმაუთვილოს.

რა იუც ეს მიზან-სურვილი?

აქ უნდა აღვინიშნოთ ის, რომ გიორგი მესხიობი უცხოეთიდან თან მოიყვანა მის მიერ ნაშვილები, მოკლული ამხანაგის ახალგაზდა აბთლი ქალი—ტურთა მართი, რომელის სილამაზით მოჯადობული იუც მამასახლისი, რომლის როგორმე ხელში ჩაგდება მის განუშორებელ საფიქრაზე შეადგენდა.

მამასახლისი, პილსურისკის დარიგებით, მოიყიდის ვილაც ნაირალებას და ავალებას მათ, რომ იმ სეირნობის დროს, რომელსაც ის გამართავს და რომელზედაც მოწვევული იქნებან მამა-შვილი მესზიანები, ჩხები აუტეჭო აშ უკანასკნელთ და მოჰკლან შვილი—მისაკ მესხიობ.

განზრახულთ სისრულეში მოჰკლეთ ნაკისრი საქმე, მაგრამ ჰქელავენ მამას და არა შვილს. მისაკ მესხიო, რა თქმა უნდა, შეს იძიებას და იქვე ჰქელავს მამის მეგლელს, როს გამო მამასახლისი მას იქერს და სამაზრო ციხეში ჰქიბვის.

მსუნავი მამასახლისი ახლა თავისუფლად ჰკრძნობს თავს, ის შეეცდება მართის ხელში ჩაგდებას და ნამუსის ახლას, მაგრამ მიზანს ვერ აღწევს.

მისაკ, დაჭერილან რო კვირის შემდეგ, ტატიანის დამარებით, ციხიდან გაიძრევა და

შეუერთდება ყაჩაღთა ბრძოლის, რომელიც იწევს მას თავის ბეჭადად.

ყაჩაღთა ბრძოლა თავზარის სცენის მთელს მაზრას.

მისაკ შეუდგება მორქებზე შურისძიებას: მამასახლისი ჯერ ტუგვად მიჰქეავს, რომიც შიგდებს და ბოლოს სიცოცხლესაც ასალმებს; პილსურისკის სცარცვავს, აღატავებს, ხოლო სიცოცხლეს კი არ უსპოვს.

**ხურკივაძის მოთხოვობა:** მაზრის უფროს ქარქევრა მშვიდი ჰუკენიერი—სალომე. სალომეს უეგარის ახლო-მიხლო მიღამოებში სეირნობა და მდინარეში ბანაობა. ერთ დღეს, სადამო-შირად, სასეარნოდ მიღის ის მარტო, მიადგება ადიდებულ მდინარის ნაპირს და გადაიხედავს შიგ. ჩქარი მდინარე მას თვალს არმევეს და სალომე შიგ ტეატრის მთალენს.

ამ დღის მდინარის ნაპირ-ნაპირ მოდის ახალგაზდა უმაწვილი—ილიკ გარდა ხევწილანე, რომელიც თვალს მოჰკრავს ამ უბედურ შემთხვევას. ის გაეკანება საშელად, გადაეშვება მდინარეში, მისცემს თავს მჩქეფარე ტალიდებს და ნაპირზე გამოიტანს ცოცხალმყდარს, გაგუდეულ სალომეს. აქ სხვა და სხვა საშელავებით ილიკს გონის მოჰკრავს ქალი, რომლის სიტურთვე სიბლავს და აჯაღობებს მას.

გონის-მოსულ სალომეს ილიკ მოჰკიდებს ხელს და სახლამდის მიაცილებს.

სალომე გზაში გამოჰკითხავს თავის მსნელს ვინაობას და გაიგებს, რომ ის არის სახელ-განთქმული ყაჩაღის თევდორე გარდა ხევწილანის შეიღილი.

ამ დღიდან ახალგაზდებს ერთმანეთის სიუგარული ჩაეჭრებათ გულში და კიდეც ახერხებებ ხშირად შესვედრას.

სალომე მოუკვება მშობლებს თავის თავგადასაგადას და სთხოვს მათ მისი მსნელის დაჯილდობებს.

მეთერ დღეს მაზრის უფროსი ძალებს იღიანოს და მადლობის უხდის სალომეს გა-

დაწერისათვის, ამასთანავე წებას რთავს, რომ  
მამა მისი თევდორე სახლში დაბრუნდეს და  
ფრთხილად იცხოვდოს.

თევდორე გარდახვეწილაძე აღრე ბრუნდება  
სახლში და იწყებს ჩვეულებრივ ცხოვრებას,  
მაგრამ მამა-შვილს გარდახვეწილაძეს საბაზ  
ლოდ მაინც არ ინდობს ულმობელი ბედი.

საქმე ისაა, რომ სალომეს ცოლად შერთვა  
უნდა მოხეცს მდიდარ გვარის — ლიპაძეს, რო-  
მელიც ქარქვეტაშვილებისათვის სასურველი  
სასიძოა. სალომეს, რომელიც უბებე შეპოვეი-  
ლია ილიკს სიექარულით, რა თქმა უნდა,  
ეზიზღება ასეთი საქმრო და უარსაც ამბობს  
მის გაუთლაზე.

შშობლები გაიგებენ სალომესა და ილიკს  
შროის დამოკიდებულებას, მისვდებან თავისი  
ქალის ჭიურობის მიზეზს და განიზრახვენ  
ილიკს თავიდან ჩამოშორებას, მის დაღუ-  
შას.

ასეთი საზიზღარი განზრახვის სისრულე  
ში მოყენას ისინი აკისრებენ გაქნილ ივანე  
ბოქაულს. ეს უკანასკნელი კი თავის შერით  
დახმარებას სოხოვს მიმასახლისს; მამისახლისი  
სიამოვნებით აღუთქვამს ბოქაულს დახმარებას  
მით უფრო რომ მას გაგიჟებით უუკას ილი-  
კს ახალგაზდა და — ტურფა დარიც, რომ-  
ლის ხელში ჩაგდებას, ხელს შეუწიობს გარ-  
დახვეწილაძების თავიდან მოშორება.

ივანე ბოქაულის დარიგებით მამისახლისი  
მახს უგებს მამა-შვილ გარდახვეწილაძებს.  
ის მოიგიდის ვიღაც ნაძირალებს და დაკის-  
რებს მათ, რომ „დედა-დედობისის“ დღესა-  
წაულის დღეს, სადაც გარდახვეწილაძებიც  
იქნებიან, მათ ჩხები აუტექნი მაშაშისს, თეგ-  
დორეს, რომელსაც მიეშეველება შვილი.

ამ ნიადაგზე განზრახველი იუო გარდახვე-  
წილაძების დაჭერა და ციხეში ჩაგდება, მაგ-  
რამ ნამდვილად კი საქმე სხვანაირად დატრი-  
ალდა. ჩხების დროს თევდორე გარდახვეწი-  
ლაძე მოჰკვდეს, ხოლო ილიკში შერი იძია

და იქვე მოჰკვდა მამის შევლელი, რისთვისაც  
ის დაიჭირა მამასახლისმა და სამაზრო ციხე-  
ში გაგზავნა.

ახლა მსენაც მამისახლის შემთხვევა ეძლე-  
ვა ადვილად მიაღწიოს თავის მიზანს — ხელში  
ჩაიგდოს ილიკს და დარიც. ერთ დღეს მას  
მართვაც სისრულეში მოჰკვდს თავისი მხეცუ-  
რი განზრახვა: ძალით ნაშეს ხდის საბრალო  
დარიცის და საშუალებით აუბეღურებს მას.

ილიკს ციხეში ჯდომის დროსვე სალომეს  
ძალად ჯვარს აწერინებს მშობლები ღიპაძეზე.

სალომე ახალ ცხოვრებას შერ ურიგდება  
და ბოლოს თავს იყლავს.

ციხეში კარგა ხნის ჯდომის შემდეგ, ერთ  
დღეს, როცა ილიკ სასამართლოში შიგავა-  
დათ დარაჯებს, ის გზაში გაექცევა. მათ.

ილიკში უპირველესად უოვლის ინახულა  
უკეთ აფაღებული, მომავალდა დედა, რომლის-  
განაც გაიგო დარიცს დაღუპვის ამბავი.

თავდაპირველად ილიკში მოჰკვდა მამისახ-  
ლის და შემდეგ შეურთდა უაჩადთა ბრძოს.

ილიკს, რასაკვირველია, ივანე ბოქაულის  
სისხლიც სწუროდა.

სწორედ მამისახლისის მოჰკვდის შეორე  
დღეს ივანე ბოქაული, რომელიც ილიკს  
დაუქებდა, წაწერდა უაჩადთა ბრძოს, სადაც შე-  
ტაკების დროს ის დაიგრა მხელოდ.

კარგა ხნის შემდეგ, შეორე შეტაკების  
დროს, ილიკ ხანჭლით ჰკლავს ბოქაულს და  
თვითონაც დაჭირილი ხელში უვარდება მტრებს.

როგორც მკითხველიც ხედავს, პონორმარე-  
გის რომანისა და ხუსკრიამის მთხოვთბის ში-  
ნაარსი, სულ ცოტა მეტაკლებობით, ერთი  
და იგივეა.

ცხადია, რომ ხესკივაძეს თავისი მთხოვთ-  
ბის შინაარსი მოჰკრავს პონორმარეგის რომა-  
ნიდან, მოქმედება პირების სახელი და გვარი  
შეუცველია, ცოტა რამ გამოუტოვებია, ცოტა  
რამ ჩაუმატებია და ასე თავისი „უაჩადი“ გა-  
მოჰკვდება.

მოვიყვანთ ზოგიერთ ადგილებს შესადარებლად პონომარევის რომანიდან  
და ხუსკივაძის მოთხრობიდან, საიდანაც მკითხველი პირწმინდა  
თარგმანს დაინახავს:

### პონომარევის რომანიდან \*).

„Незнакомка, открывь глаза, слабымъ голосомъ спросила:—гдѣ я?

— Но кто же вы?

— Михако Месхіо.

— Вы не родственникъ того Месхіо, который слыть грозой этой мѣстности?

— Я его сынъ.

— Сынъ! невольно вскрикнула она съ замѣтнымъ испугомъ.

— Я вижу, что вы чего то испугались?

— Да, но... отвѣтила она обоячательно разстерявшись—про него... такъ... много талковали (стр. 4—6).

— Благодарю ва съотъ души зато, что вы сдѣлали для моей дочери. (стр. 20).

„Да развѣ могу положиться на ея любовь? Вѣдь я ей не пара... Вѣдь она говорила, что ее хотятъ отдать замужъ за богача (стр. 24).

— Таня, дорогая, неужели ты любишь меня?

— Больше жизни, больше всего на свѣтѣ.

— Таня, дорогая, если ты меня такъ любишь, согласись быть мою женой.

— Михако, ты знаешь, что у меня есть отецъ и мать, которые не только не допустятъ этого брака, но и много надѣлаютъ тебѣ непріятности. Неужели ты воображаешь, что мой отецъ не вымѣстилъ бы на неповинныхъ старикахъ своей злобы?

\*) „Атаманъ-мститель“ С.-Петербургъ 1890.

### ხუსკივაძის მოთხრობიდან.\*)

„ქალმა შექედა, უმაწვილს... და წამოიკრინა: ეს რა დამეშართა?

— გინ ბრძანდებით, უმაწვილო?

— იღოვო... გარდაზეგწილაძე \*\*)

— აი ის თედო გარდაზეგწილაძე ხომ არა ფერია თქვენი?

— როგორ არა, იგი შაშა ჩემი.

ამ სიტუაციებზე, თითქოს ქალი შეკრთა და ერთ-ხანს აღარ უთქვაშს რა.

— მერე თქვენ იცნობთ იმას?

— მე? ჲმ... ვიცნობ, როგორ არა—გულა-ბათხობილად უთხრა ქალმა (გვ. 4—5).

— ჩემი ქალი გადაგირჩენა სიკედილი, რისთვისაც როგორც მე, ისე ჩემი ლჯასი დიდი მაღლაბელია შენი (19 გვ.)

, რანაირად ვენდო მას სიტუაცის? მართლა და რავა შემიეგარებს ის. ვინ მე და ვინ სალო-მეს სიუკარული. გუშინ მითხრა: გათხოვებას მიჰირობენ, მდიდარს კაცს მაძლევენო (გვ. 23).

— სალომე, ნუ თუ მართლა გიუკარეთ?

— ჩემი სიცოცხლე ჲნ ბეჭუთვის.

— ამა თუ ასეა, ბარემ გამაბედნიერე, ცო-ლად წამომეუგო.

— ჩეგნი ამბავი რომ ჩემა მშობლებმა ჲე-იტუს, ხომ დაიღუპები და მეტ დამღუპავ, მაშა ჩემი გულის ჯავას შენს მოხუცებულ მშობლებზე იურის.

\*) „ყაჩალი“, ბათომი, 1896 წ.

\*\*) ხუსკივაძის მოთხრობაში მომეტებთა სახე-ლი და გვარები შეცვლილია: პონომარევის მიხა-კო მესხიოს ულრის ილიკა გარდაზეგწილაძე, ტა-რიანას—სალომე, გიორგი მესხიოს—თედო გარ-დაზეგწილაძე, კანიტელიშ—ლიპაძე და სხვ.

— Будь только ты со мною и я съумѣю защищать себя. Если хочешь, мы уѣхшимъ съ Кавказа.

— Чтобы бѣжать, надо имѣть деньги, а откуда мы ихъ возьмемъ? Но въ чему бѣжать, когда мы съ тобою будемъ видѣться чуть-ли не ежедневно и до дна выпьемъ чашу любви?

— А вдругъ тебя выдадутъ замужъ?

— Противъ моей воли никто меня замужъ выдать не можетъ, а по своей охотѣ я ни за кого не пойду. Ну, будь повеселѣе... (стр. 24—25).

— Ахъ, мой ангель, это все пустяки въ сравненіи съ миллионами. Ты будешь главою семьи. Канителинъ не отличается особымъ умомъ, чтобы не сказать больше. Ты заберешь его въ руки и будешь вертить какъ марionеткой. Молодежъ будетъ у твоихъ ногъ и ты всегда будешь въ состояніи утѣшиться въ ихъ обществѣ. Да наконецъ, онъ тавъ толстъ, что ничего не будетъ удивительного, что ты скоро скроешься вдовою—милліонершею“ (стр. 55).

ამისთანა ადგილები წიგნუ მრავალია, გადაშეალეთ თუ გინდ პონო-  
მარევის რომანის 35 და 23 გვ. და ხუსკივაძის მოთხოვის 26—28,  
32—33 გვერდები და მრავალი სხვა. ცველას ამოწერას არ შეუდგებით.  
აქედანაც ცხადია მკითხველისთვის, თუ რამდენად ურიგინალია ბ-ნი  
ხუსკივაძის მოთხოვის.

ჭალარა.



— მაგის ნუ გეშინია, თღონდ შენ გადას-  
წევიტე, თუ ბიჭა გინმე ხმას გაგვიცემს.  
თღონდ შენ ისურვე, ჩემთ სიცოცხლევ, და  
სულ მჟამთრდეთ იმერეთს.

— რომ წავიდეთ, მერე სად უნდა წავიდეთ  
ან რა საშეაფებით ვიცხოვორთ? არა, იყიდო,  
ეს არ იქნება... მე უფერებოს დანიშნულ  
დროს გნახავ ხოლმე და გულის ფიქრებს  
ერთმანეთს გაუზიარებთ.

— ეს კი, მაგრამ რომ გაგათხოვთნ?

— ჩემი ნების წინააღმდეგ ვერავინ ვერ  
გამათხვების და მე კი არაფრის გზით გათ-  
ხვებას არ ვისურვებ. მაშ რადას დადონ-  
დი... (24—25 გვ.)

— შენი სიტევები, სულ მარტო უმნიშვნე-  
ლო ფრაზება, ჩემთ საჭომე. ღიბაძე ღიდი  
შეძლებული კაცია. მისი აღგილ-მამული და  
ფულად-ფული მილიონაშიდის ადის. შენ, რო-  
დესაც მისი ცოლი გახდები, შეგიძლია ქმარი  
შენს ნეაზე აცხოვორთ. რასც ეტევი, — შენი  
მონა იქნება. ის, როგორც ხნიერი, მოსვენე-  
ბას მიეცემა და შენი ქვეშევრდომნი იქნებას  
ტურფა, მთალესნე უმწვილები. ღიდი ხნის  
არც სიცოცხლე ექნება და თუ გარდაიცვალა,  
ხომ შენს ბედს ძაღლი არ დაჭეულს (33—34 გვ.).

# მეგობარს

რა გიამბო, მეგობარო, რა ვთქვა სიტყვა იმისთანა,  
გული ვარდით შეგიმკო და მადლიერ ვყო თვით ქვეყანა!..  
ამბობენ და მართალია,—შენ კაცი ხარ, კაცი სალი,  
თუ გინახავს, ჩემო კარგო, მქონებოდეს ოდეს ბალი!..  
დღეს ყვავილებს ვერ მოგიტებ, ვერ დაგიწნავ დღის თაიგულს,  
თვით შენ იცი, თუ რა ოფლი აფერადებს ჩვენს სიყვარულს!..  
და თუ ოდეს ყვავილს ჰპოვებ, ხელთ აიღებ დასაყნოსად,  
...ის ხო შრომის ფოთოლია, დაღლილ მკლავის შესამოსად!..  
კარგი არის, შვენებაა ყვავილთ კონა, სახე ლია,  
მაგრამ იგი ჩვენი ლტოლვის და მომავლის შედევგია!..

მაშ, რა გითხრა, მეგობარო, რა გიამბო იმისთანა,  
გული ვარდით შეგიმკო და მადლიერ ვყო თვით ქვეყანა?..  
და მე, შენ გთხოვ, მიპასუხო,—გზა გითინო ყვავილებით  
მაშინ, როცა გული კვნესის ავსებული ტკივილებით?  
დღეს სალხინოთ ვერ გეწვევი, ვერ დაგიწნავ დღის თაიგულს,  
ყვავილისთვის არ მცალია, როს კეცხლი წვავს ჩვენს სიყვარულს!..

\* \* \*

ჩემს ოთახში ბნელი მეფობს, შემოდგომის რიღე შავი,  
შემოდგომის ღრუბელი და ქარიშხალის სიტყვა მწვავი!..  
მე იქა ვარ, მე იქ ვდგევარ და გული კი მიხმობს, კრთება,  
საიმედო სხივი მიჰქრის, საიმედო სხივი ჰქრება!..  
ჰა, ხმა ჩემი, მეგობარო, ჰა, ისმინე სიტყვა წრფელი,  
მოდი ამ დროს, გულის სწორო, დახმარების მომეც ხელი!..  
მოდი ამ დროს და იხილავ—ჩემი სხივი იქ ჩამქრალი  
აინთება, ვით იქ მთვარე, ღრუბელთ შორის მიმავალი!..  
—ჰა, მოდიინ, ჰა, დანები!.. უნდათ დამჭრან, მომკლან ბნელში,  
დანებია მოღერილი, დანები აქვთ ყველას ხელში!..  
მოდის... მოდის... შორს! შორს, ბილწო!.. დანას მიღერს ჩემი მკვლელი!..  
ფიქრობს გულში დამცეს რკინა,—ჩემი სისხლის მარად-მსმელი!..  
ვერ დამიჭერ!..—მე ვიცოცხლებ,—შევუძახე!.. მაგრამ იგი  
მოდის ჩემსკენ და... შემიპყრო, შეასრულა თავის რიგი!..  
ხელებს მჭრიან და სიამით უცქერიან სისხლის დენას,  
მეგობარო, ენას მჭრიან!—ეძლევიან მით იქ ლხენას!..  
ჰა, ხმა ჩემი, მეგობარო, ჰა, ისმინე სიტყვა წრფელი,  
მოდი ამ დროს, გულის სწორო, დახმარების მომეც ხელი!..

მე მათ ვყევარ, და ხმა ჩემი, ხმა გაისმის, ხმა ის მწარე,  
 და რად არი, მეგობარო, მანდ შავ რიდეს მიეჭარე?..  
 მე მით დამჭრი, მე მით მომკლავ, დაგინახო ლდეს მხდალი,  
 მე არ მინდა ვისმეს უთხრა: არ არსებობს მეგობარი!..  
 მაშ, მოდი და გამაგონე, ნუ იტირებ, აღსდევ ძმაო,  
 შენთანა ვარ გულის სწორო, შენთანა ვარ სულის დგმაო!..  
 მაშინ სული, ჩემი სული, უხეშ ძალით დაკოდილი,  
 გამთელდება ვით დღის სარკე, ვით მზე ლხენით მოვლენილი!..  
 და თამამად გეტყვი მაშინ, სკოცხლობს, არის მეგობარი,  
 მესმის სხივთა სიმღერა და ფრთებს შლის ტურფა მომავალი!..

გელა.

ასტრახანი.

## სიყვარულის წყევა

**გ**ულის სატრფოვ, აღარ გეტრფი მძულხარ, აღარ გიუღერ სიმებს,  
 აღარ ვნატრობ სალოცავად ცრემლსა შენგნით დანაწევიმებს.  
 ვსწყევლი მდელოს, საღაც ცრემლით გადგიშალე ჩემი გრძნობა,  
 ვსწყევლი წამსა—როცა შენაც გამიმჟღავნე თანაგრძნობა.

უდაბნოში მწირად წავალ, გულს ჩავიკლავ სიყვარულსა,  
 გადაგიგლოვ... არ ვაკვნესებ გულსა შენთვის დადაგულსა;  
 არ ვიკვნესებ არა... არა სულის ლელვას უნდა ვსძლიო  
 და თვით ხსოვნაც შენი, გველო, ფიქრთა ქსელში გავაბნიო...

შენი ხვევნა... შენი კოცნა უნდა შევქმნა შავ სიზმარად,  
 არ ელირსო, შენთვისა კვლავ რომ ვაფრქვიო ცრემლი ლვარად...  
 წყეული ხარ... დღეიდგანა არა გვაქვს რა ჩვენ საერთო  
 მაგრამ... რომ გწევ ეხლა უფრო ძლიერ გეტრფი ჩემო ღმერთო!..

კიკნა-ფშაველი.

# უნებლიერი ფიქრები

(ძღვანდ შართ მ—ლს, ქსენია ჭ—ლს და ანეტა მ—ძეს)

## I „მშვენიერი ელენე“

ხა, ხა, ხა, ხა!.. რა სასაცილონი არიან ხელოვანები, რა სასაცილონი!..

ვინ იცის, რა არ შეჰქმნა. მათმა ოცნებამ ვენიერა მილოსისა, აფრიდიტა კნიდელი, მშვენიერი ელენე, ნესტარ-და-რეჯანი და თინათინი, ჯიოკონდა, მადონა სიქსტინისა და ერთხელაც არ დაფიქტებულან, რომ სილამაზე, რომელსაც ისინი ამშევრებენ — წარმავალია... მომავალი...

მე კი მხატვარი რომ ვყოფილიყვი — უეჭველად ამას მიგაქცევდი ყურადღებას.

ტილოს ერთს ნახევარზე დავხატავდი ცნობილი ტრადედის გმირს მშვენიერ ელენეს, ვისი გულისთვისაც მრავალი წლის განმავლობაში სამკვდრო-სასიცოცხლოდ ებრძოდნენ ერთ-ურთს და სისხლის ტბორებს აყენებდნენ ტრადელნი და აქველნი...

მეორე ნახევარზედაც იმავე „მშვენიერ ელენეს“ დავხატავდი, მაგრამ ძველებულად, ზლაპრულად ლამაზს კი არა, არამედ მოხუცობისაგან დასაპყრობულს, დაპატარავებულს, წელში რკალივით მოკაკულს... გარკვევით გამოვხატავდი მისს ტიტველა თავსა, ხა, ხა, ხა, ხა... ნაკვთიანად, წილადობილად გამოვხატავდი თმა გაცვივნილს მოტვლებილს თავს, რომელზედაც ერთ დროს გიშრის კულულები სურნელოვნობდნენ...

მაჟალოს ჩირივით გაყვითლებულს და

გამოფიტულ-დაჭმაჭნულს მისს ტუჩებიდან, რომელიც ერთხელ სიწითლით ბროჭეულის ყვავილს ემეტოქებოდა — გამოვაჩენდი უკანასკნელს მოფამფალე კბილებს, გაყვითლებულ-აყროლებულ კბილებს გამოვჩენდი და დავგატკბობლი მისის მზერით მათ, ვისაც ქვეყანა უკვდავ მშვენიერების სამეუფელ წარმოუდგენია...

რა სასაცილონი არიან ხელოვნები, ღმერთო ჩემო, რა სასაცილონი!..

აბა თუ ერთხელ მაინც არის მოუვიდათ აზრად, რომ მშვენიერება, რომლის გულისთვისაც იგინი ამართლებენ უხანო ქვეყნად ცხოვრებას — ისევე მარალიული და უკვდავია, როგორც აგერ ის ფოთოლო ქარს რომ გაუტაცნია სადმე აშმორებულს ჭაობში დასასამარებლად...

ერთხელაც არ დაფიქრებულან, რომ თვით სპარტანელთა მშვენიერი ასულიც კი, რომლის გულისთვის იმდენი საზარელი ამბები დატრიალდა ადამიანთა და ღმერთა შორის — დაბერდა, დაჩაჩანაკდა და ბოლოს ჭიალუათა ალაგად გადაიქცა...

## II სიკედილის ჩრდილი

გარიურავია, ვიშ, გაზაფხულის გარიურავი...

მზის პირველი სხივები ისე ეალერსებიან მტრედის ფერს ცას, როგორც ეალერსება ხოლმე ვარსკელავთა ხომლი ჩემს სატრფოს, როდესაც იგი გამოდის ბალში საოცნებოდ.

იადონი ისეთის მორქშით გაპყეფს, რომ  
მგონია ჩემს სატრაფოს გაუღვიძნია და სი-  
ცოცხლის საგალოპელს აკისკასებს მეთქი.

ნაკადის რაკ-რაკი ხომ ჩემი სატრაფოს  
სიცილია, მასავით გიღმაუი, მალხინებელი.

უყურებ თაიგულად გადაშლილს ბუნე-  
ბას და ვეძლევი სხივისანს ოცნებას...

ვლალობ...

ვმუსიკობ...

დილა თან და თან შუქოსნდება...

შარავანდდება...

ფრთისნებიც უფრო მგრძნებლად უს-  
ტვენენ...

აი ვარდებიც გადაიფურჩენენ.

წყაროც, ანკარა წყაროც ისეთის სიან-  
ცით ამორაკრაკდა, რომ ველარ მოვითში-  
ნე და ისე დავეწაფე, თითქოს დარწმუნე-  
ბული ვყოფილიყავი, რომ მისს ნაცვლად  
სატრაფოს ბაგენი შემეალერსებოდნენ....

ახ, ნეტავ ჩემს დღეში არ მომსმენოდა  
წყაროს რაკრაკი... ნეტავ აროდეს დავმ-  
ტებარიყავ მისის კისკასით...

მისს ნაპირებზე შევნიშნე ფოთლები...

განვლილი შემოდგომის მჰკნარი ფოთ-  
ლები...

შრომის სუნი უდიოდათ...

ჰლპებოლნენ...

იხრწნებოლნენ...

სად, სადღა იყო მათი მშვენება?

სად გაპერა მათი სიხასხასე?..

იგინი ხომ ერთხელ ამოდ ჰშრიალობ-  
დნენ...

იგინი ხომ ერთხელ ჩემი სატრაფოსავით  
ენაზებოლნენ ცქვიტი ნიავის შეფრთინვით  
ქროლას.

დღეს რამ ჩაქრო მათი სიცოცხლე?..

რად დახოცილან?..

ჰშრიალებს, კვლავ ჰშრიალებს ჩემი

სატრაფოს თმებისავით გრუზა, სურნელო-  
ვანი ტევრი...

ხმა-ტკბილობს ბულბული, როგორც  
ჩემი სატრაფო ცისკროვან სიზმრით გალა-  
ლებული.

უყურებ მათ და ვიმდულრები...

ვილველფები...

ალარ მახარებს მათი კლემა და სინატიფე.  
მე ვფიქრობ ახლა სიკვდილზე... მსა-  
ხვრალს სიკვდილზე...

ვიცი, რომ მალე ამ მოუუუნე ფოთ-  
ლებსაც წამოუქროლებს სიკვდილის ქა-  
რი...

ბულბულსაც შეუყინავს პირზე გალო-  
ბას...

და დადგება დრო... დადგება დრო და  
ჩემს სატრაფოსაც მოადგება სიკვდილის  
ჩრდილი... სიკვდილის ჩრდილი მოადგება  
და წარიოტებს ჩემს სატრაფოს, მიუხედა-  
ვად ჩემი ქვითინისა, ჩემი მუდარა-წყევისა  
და ალარაფერი დარჩება მისი... ალარაფე-  
რი...

... ახ, ნეტავ აროდეს მომსმენოდა  
წყაროს ჩახახი... ნეტავ ჩემს დღეში არ  
დავმტკბარიყავ ბუნების მზერით...

### III

ი ს ი ნ ი...

...და ჰშუზუნებს, ჰშუზუნებს ქარი,  
როგორც განწირულება დამარცხებულთა  
გვამებზე...

ფლასით შებურვილი ცაც სტირის და  
მოსთქვამს... მოსთქვამს და სჩივის...

რას, რას მოსთქვამს, რასა ჰვალალებს?..

ტევრის გაძრცვნას?

მდელოს მოშუშვას?

თუ ჩემს ტლუობას, ჩემს ეულობას?..

ზზ... სსს...

ახ, რა შემაკრთობია ეს ტიალი, რა შე-  
მაზარელი...

მციდა...

მაკანკალებს...

სარკმელს გაბოროტებით აწვება ქარი.

მინდა მივიდე, გაფიხედო გარედ, მაგ-  
რამ ვერ ვბედავ...

ვიცი, რომ იქ, სარკმლიდან ღამე, შე-  
მოდგომის ღამე შემოიყურება გამყინვა  
თვალებითა...

ვიცი, რომ იქ სარკმლის მინებზე წვი-  
მის წვეთები დასკურავენ გველის წიწი-  
ლებივით...

სსს... ზზზუუუ...

მეშინიან, ღმერთო, რა ძალიან მეში-  
ნიან...

ქარი არა წყნარდება... ქარი ათასი  
ხელით არახუნდებს ჩემს სარკმელს...

ახ, ნეტავი, როგორც თვალებსა ვხუჭავ,  
სმენაც აღმესპოს...

მთელი ტანით მაძაგმაგებს...

გული მიღონდება...

ვის დაუძახო, ვინ მოვიხმო?..

არვის ვახსოვარ...

არვინ მომხედავს...

სსს... ზზზ...

ააახ!..

სარკმელი გაღებას ჰლამის...

სარკმელს აწვებიან...

ვინ, ვინ არიან?..

— ნუ გაახელ თვალებს, ნუ მიიხედავ  
სარკმლისაკენ — მესმის იდუმალი ხმა.

თვალები კი დაჭუეტილი მაქვს, რო-  
გორც სამოთხის გარეთ მოტანტალე ცო-  
დვილის სულსა...

გრძრძხხხ... კრძრძ...

სარკმელი გაიღო...

მოდიან... მოდიან...

ნისლში არიან გახვეულნი...

აი, აი იფანტება ნისლი...

თან და თან ირკვევა მათი სახეები...

საშინელი თვალებით მიყურებენ...

ვგონებ რალაცას მისაყვედურებენ...

ვინ, ვინ არიან, ღმერთო, რა უნდათ  
ჩემგან, რას მამუნათებენ?..

მე ხარბად დავაკვირდი და...

მივხვდი... ვიცანი...

ისინი ჩემი ცხოვრების დღეები იყვნენ...  
ჩემი ერთნაირი, ბუნდი დღეები...

· · · · · · · ·

ღამე, ისევ ღამეა გრძელი... გაუთავე-  
ბელი...

წინწკლები წკაპა-წკუპით ეცე-  
მიან სარკმლის მინებს და მე მგონია ჭიე-  
ბი მიძვრებიან ტვინში... ძვლებში... სულ-  
ში...

მხვივანი ქარი მაუწყებს, რომ ქვეყნად  
უთვალივია ჩემისთანა, რომ აუარებელს  
აჩრდილის სახით ქვითინით ეხვევიან ფუ-  
ჭად განვლილი ცხოვრების დღენი... ისი-  
ნი კი ვერ ამჩნევენ, ვერ ჰგრძნობენ  
ამას...

მათ სძინავთ უდარდელად...

დ. თურდოსპირელი.



# დე, იყოს ლამე

ლე, იყოს ლამე; შავ ღრუბელთ შორის  
ცუდ-ცოდვილობდეს ვარსკვლავთა კრება,—  
დადგება დილა და ბნელ მიღამოს  
მზე ცხოველმყოფად მოევლინება!..  
დაე, ზღვაც სდუმდეს გულ-ჩათხრობილი,  
მხოლოდ ცით ჰკრეფდეს მნათობდა სხივებს,—  
დაჭქროლებს ქარი და ზღვა მღელვარი  
თვით აღმოაფრქვევს მარგალიტ მძივებს!..  
დე გარს ეხვიოს მთლათ დედამიწას  
ზამთრის სუდარა, —სიკვდილი, ვნება,—  
მოვა ზაფხული და მყვდარ ბუნებას  
კვლავ სასიცოცხლოდ გაელიმება!..

\* \* \*

დე, სული პფარვიდეს შავი ნაღველი,  
არა-რა იყოს არსება მისი;  
აღარ ესმოდეს ამ ქვეყნიური  
სულის კვეთება, გულის ხალისი!..  
დადგება წამი ზეშთაგონების  
დაჭქროლებს .გრძნებით ნიავი მთისა  
და აუღერდება ჰიმნი სულისა  
ტკბილად, ვით ქნარი ეოლოსისა.  
და იმ ჰანგებში ჩააქსოვს გული  
ნაზ-ტკბილ ოცნებას სიყვარულისას,  
მხოლოდ ამ წუთში უკვდავს ჰყოფს გრძნობა  
ძვირფას საუნჯეს მაღალ სულისას!..  
და მანამდე-კი მიმქრალმა სულმა  
დე ყოველივე გადაივიწყოს,  
არ-რა ესმოდეს ამ ქვეყნიური,  
არსება მისი არა-რა იყოს!...

ილ. გოგია.

# ის წავიდა!

**ი**ს წავიდა და აწ აღარ,  
და აწ აღარ დაბრუნდება;  
ის წავიდა და მეც გული  
და მეც გული მისთვის მწყდება!

—  
მერე რაა, რაა მერე,  
იყო, იყო და არ არის,  
განა მისთვის, მისთვის განა  
მმართებს ნთხევა ცრემლის ცხარის!?

—  
ჩემს თავს კუთხარ: „შენ გიჟი ხარ,  
შენ გიჟი ხარ და სულელი,  
ვინც წავიდა, თუ მას კიდევ,  
თუ მას კიდევ აწ მოელი!

—  
ერთხელ გითხრა, გითხრა ერთხელ:  
მე მსურს მხოლოდ შენი კოცნა,—  
ეს სიტყვები, სიტყვები ეს  
მაშინ შენ არც-კი გეოცნა!

—  
გველი იყო, რათ ვერ იცან,  
რათ ვერ იცან იყო გველი,—

სულის ნაცვლად შეგთავაზა,  
შეგთავაზა კოცნა მწველი!

—  
შენ ბრძა იყავ და ქალის ეშხს,  
და ქალის ეშხს დაემონე;  
სუსტი იყავ და ქალს ჰქონდა,  
და ქალს ჰქონდა მეტი ღონე!

—  
ხომ მოსტყუვდი, მოსტყუვდი ხომ,  
ეგრე გმართებს, ეგრე გინდა:  
სიტყვა ქალის, ქალის სიტყვა  
რომ გეგონა ცამდის წმინდა!.“

—  
ის წავიდა და აწ აღარ,  
და აწ აღარ დაბრუნდება,  
ის წავიდა და მეც გული,  
და მეც გული მისთვის მწყდება!

—  
მერე რაა, რაა მერე,  
იყო, იყო და არ არის,  
განა მისთვის, მისთვის განა  
მმართებს ნთხევა ცრემლის ცხარის!?

**ლადო გეგეჭკორი.**

## ეეგუსიპე...

ფლგონასი

„იყიდეთ რამე! ყველაფერი მაქვს, იყი-  
დეთ, ბატონებო!“ — ევიდრებოდა გამვ-  
ლელთ ჰეტრე.

დაინტერესებული აშ სიტყვებით მაღა-  
ზიაში შევუხვიდ და დამხვდურს სალაში  
მივეცი.

ჰეტრე კრძალვით მომიახლოვდა, ხელე-  
ბი დამიჭირა და მითხრა: „რას ინებებთ,  
გვიბრძანეთ!“

მე მაშინვე დავათვალიერე ავეჯეულო-  
ბა და ერთ კუთხეში თვალი მოვჰკარი  
ჭიანურს.

— ჩამოიდეთ ეგ ჭიანური! — შევთხოვე.

პეტრე სიჩქარით სკამზე შედგა, ჩამოიღო ჭიანური, მიიჭო ყელზედ და აამლერა.

მისი ხმა იყო ნალვლიანი; ის გამოხატავდა ადამიანის სულის კვეთებას და ცხოვრების სიღუპირეს... მისწვდა სევდით სავსე აკორდი და პეტრეს ცრემლები წასკდა.

— რა მოგცეთ ამ ჭიანურში, მე ძლიურ მომეწონა ეს! — შევეკითხე.

არა, ეს არ იყიდება! — მოისმა ჩუმი პასუხი.

\* \* \*

ზაფხულის გრილი სალამო იყო. ჩამავალი მხე გიუურად ჰქოცნიდა ლამაზ გორაკეს, თითქო აშიყობით დამთვრალს ცოტა ხნით მოშორებაც ენანებოდა.

ყვავილებით შემჯულ ბალნარში გრძნეულად გაჰქიოდა ჯადოსანი ბულბული და სატრფოს უხმობდა, რომ მასთან ერთად დამტკბარიყო დიდებულ სანახაობით.

ვარდის ტოტზე კი მხიარულად დახტოდა ლამაზი ხაუოლა და ტკბილად ეაშიყებოდა იასამანის ბუჩქზე მოფრთხიალე ცელქ შოშიას.

ირგვლივ სიჩუმე იყო, თითქო სიოსაც ყვავილებში ჩასძინებოდა და სიზმარს მისურმოდა.

ბალნარის ერთ კუთხიდან მოისმა ჯადოსნური ჭიანურის ხმები, რომლებიც ელვასავით მოაპობდნენ ჰაერს და გულში მიფრინდებოდნენ... ის ხმები მიამბობდნენ სულით ობოლის ამბებს... მატყუარ ცხოვრების ზღვის ოინებს. ის ხმები იყო ამონაკვნესი იმ ადამიანის გულიდან, რომელსაც ბევრი რაზ აქვს სათქმელი, მაგრამ სიტყვები არ ჰყოფნის თავის უბედურების გამოსახატავად... ის ხმები იყო გრძნობის ხმები, რომლებიც გრძნობითვე შეუძლია იგრძნოს აღაშიანშა.

ის ხმები იყო ამღვრევი ადამიანის გულისა, რომლებიც უსიტყვოდ ღალადებდნენ: „უხმოდ იტანჯე... ითმინე... აუტანელია!..“

შესწყდა ნალვლიანი ხმები და ყრუსივრცეში მიკვდა მწუხარე აკორდა.

ერთს წამს ყოველივე მიჩუმდა, მიკვდა.

მწვავე გრძნობებით მთვრალმა ბარბარით მივაშურე იმ ადგილს, საიდანაც მოჰკვნესოდა ჯადოსნური ჭიანური.

— პეტრე, ეს შენა ხარ?

— დიახ... მე ვარ... მე!.. — ქვითინით მიპასუხა და გაფითრებულმა უღონოდ ჩაიკეცა.

გრძნობით ჩავხედე მისუსტებულს, ნალვლიანს თვალებში და უნებლივთ მომაგონდა პასუხი — „არა, ეს არ იყიდება!“

ლ. ძიძიგური.



۹۰۳۶۵!

**Յ**օյշրմա համոյշրո Շզբես լամբառո,  
Կցըլամ մռմոնձրեն Ծլոյ նացո Կրյմլտա,  
Նոացս ցածրացը լլուռլա ցուլուս,  
Մլցըլոս հացաթան մըցը միշէրտա!..

მრავინვარ ქარიშხალს შვებად გადავეც  
ყვავილთა სუნთქვა, ყოფნა მღზნებარი,  
ცხოვრების ჰიმნი ზღაპრად გაესჭიდე,  
ვათროოლე ლიმათ გრძნობის ცისკარი!..

\* \* \*

ფიქრად შევჰქმენი ღალადი სულის,  
ცრემლით დავნამე ჭაობი ღამის...  
—ეჭ, ვინ რა უწყის სად აღმოხდება  
სუნთქვა მომავლის, ხმა განთიადის!..

ၬ။ ကာကွန်း၏

## କୁଳାରୀ...

მწარი ფიქრებით შებურვილი ტყეში  
ვიდოდი... ნელი ნაბიჯით მივიღოდი  
იქით, იქითკენ, სად მსურდა ჩემი შვება,  
სილხინე გაბრწყინვებული—გამშვენებული  
კვალად მეხილა!..

კვლავ ერთი ბიჯიც წინ წავსდგი მკვი-  
ღრად. შეეკრთი... შეელექი... ყურთ მეს-  
მა ჩუმი ფოთოლთ შრიალი... გვერდს  
მივიხედე: ან კარა წყალი მისრიალებდა და  
სუბუქ ტალლით ვით გამოსთქვამდა: „კვნე-  
სა“... „ქვითინი“!.. „ქვითინი“, „კვნე-  
სა“!..

— „ოჰ, ნუ თუ შენტა ჰქვენესი და ოხ-

რავ?!.. მითხარ რად სტირი?!.. მითხარი  
რათა?! “

ମାନ ଶମା ଏଣ ଗାମ୍ପା... ହାଇଲୋକିଙ୍କା ଦା  
ଗାସରିଗାଲିତା...

ମହାନ୍ତିକା...  
ପରିବହନ

მაგრამ კას მივაკარი ნალველი სახე...  
იქ ღამის მეფე დინჯად ჰსურავდა... გარს  
ჰკრთოვდა ერთსახოვანი ვარსკვლავთა კრე-  
ბა...  
.

მე მიხაროდა... მე ვსტკბებოდი მათთან  
ერთად ტკბილ ნეტარებით... უმზერდი  
ლხენით... უმზერდი, მაგრამ მოსწყდა  
ერთი ვარსკვლავი... და მისი ხილვა წამს  
გულს მეკვეთა ვით ნალვერდალი.

### დავლონდი...

რაჟგან მომაგონდა ჩემი სუკვდილი და გულ-ნატყენი ტყეს მივაჩერდი მე გაოცე-ბით...

უმზერდი დიდხანს... უმზერდი ნალვ-ლით... და... ღმერთო ჩემო!.. ის! ის უმანკო!.. აგერ ხომ ჭხედავთ, ჩემო თვა-ლებო!?

ის არის ის!.. ბროლის გულ-მკერდი!.. მნათობი თვალი... თეთრ-სუდარაში!..

ვიცან შავი თმა მხრებზედ გაშლილი!..

ვიცან, ვიცანი ყრმისა ხელები: სუსტი, უძლური და შუქიანი ვით ბამბა ჩვილი... აგერ! აგერ ჩემსკენ მოილტვის!.. აგერ წინ წარსდგა შიშველი ფეხი...

— „პოი, კეკლუცო! მო!.. მოდი ჩემ-თან!..“

წინ გავიწიე... ხელნი გავშალე, გულს მიმეზიდა... და პოი, კრულო!.. იქ აღარ იყავ!..

### ამოვიკვნესე...

დავრჩი მდუმარე...

**8. ჭრელაშვილი.**

### შემოღოვის ფიქრი...

საბრალო არის ჩვენა აქ ყოფნა, მარად თან დაგვდევს ვაება მწარე. შვება, სიყვარულს, მიჯნურის ალერს,— ყველას გააქრობს ბნელი სამარე... მოჭედილია მიწა ძვლებითა, როგორც ვარსკვლავით ლაუვარდი გრილი, უთვალავია მსხვერპლი დროისა, მაგრამ არ კმარობს მაინც სიკვდილი!.. მოვა დრო, ძნელი—ჩემთვის სასტიკი, მეც ისე წავალ, ვით წინაპარი, და ის არ ვიცი, ჩემს სამარეზე — ვარდი ამოვა თუ ეკალ-ნარი!.. მხოლოდ ის ვიცი, რაც ყველამ უწყის, ხოლო ის ვიცი, რაც მარად ხდება, რომ გადვიჭცევი ისევე მიწად — და ჩემი ხატიც ამოიშლება!.. დე ასეც იყოს... ამას არა ვწუხ... ფიქრით დამწვარი, ფიქრით უჭირობი... ოღონდ სამარეს, არ მომემატოს, სევდა ახალი, სევდა უცნობი!..

### შემოღოვის ცრემლი.

...და რაცა ჰსურდა გულს დაობლებულს, იგი ვერ პნახა, იგი ვერ პპოვა... ო!—სევდა მწველი, სევდა უგონო. ასე სასტიკად, რად ჩამექსოვა?!. მოგონების დღეო წარსულო, დღეო ლამაზო, დაუვიწყარო! სულს მოეცალა ნადიმი შენი, გულში გამიშრა სიცოცხლის წყარო. ეჲ, გულმა ჩემმა ვერვინ შეიტკბო, ვერ შეიყვარა, ვერც შეითვისა... კაეშნით დამწვარს და ამალებულს ჯერ არ უგვრძნია ალერსი სხვისა... შემოდგომისა მაფრქვევო ცრემლო, ფანჯარას უფრო დააკუნძე, რომ მოვისმინო წარსულის ბერა, რომ მოვიგონო წარსულის ჰუნე, თუ ვით დავქროდი აღტაცებული, ვით არ ვიცოდი ცხოვრების წყრომა... ისიც იმღერე: თუ ასე ადრე, ვით შთაესახა გულს შემოდგომა!..

**გ. ლეონიძე.**

# შინაური მიმოხილვა

საერთაშორისო ომი და ქართველი ხალხი; მთესავლისა და სოფლის გაჭირვება; ცეცხლი ქართულ თეატრში და ზარალი; ქალაქის ქართული სკოლები და გოგიაშვილის რესტორანი სახელმძღვანელოში.

საერთაშორისო ომში ისე სჩანთქა საზოგადოების ყურადღება, რომ დღეს არავის ავონდება სხვა რამ აუარებელი საკირბოროტო საკითხები. მართლაც ძნელია დღევანდელ დღეს, როცა თვალწინგილებას საზარელი სურათი, ზარბაზნის გრიალი, კვნესა-გოდება, და უნუგეშო სულის ყაფვა თავ-განწირულ მეომართა, როცა ყოველ დღე აურებელი ხალხი იხოცება ბრძოლის ველზე და შინ მყოფნიც ცხარე ცრემლით დასტირიან ზოგი ქმარსა და ზოგიც შვილს, სხვა რამე საგანს მიაპყრო გულის-ყური და შეჩერდე, ცოტა ხნით მაინც, ამა თუ იმ საგანზე.

საქართველოც ამ საერთაშორისო ომში ჩაბმას ვერ ასცდებოდა და ისიც სხვებთან ერთად საერთო მამულის დასაცველად არა ზოგავს თვისი საუკეთესო შვილნი მსხვერპლად შესწიროს.

არავინ იცის და ძნელი სათქმელიც არის ჯერ-ჯერობით, თუ რით ან როდის გათავდება დღევანდელი საერთაშორისო ომი. მაგრამ დღეს ყველა იმ აზრით არის გამსჭვალული, რაც კი შეიძლება, ხელი შეუწყოს მეომართა გამარჯვებას ბრძოლის ველზე, ომში დაჭრილთა მოვლას და ჯარში გაწვეულ დაზარალებულ ოჯახთა გამობრუნებას. ომში დაჭრილი მრავალი ქართველი ახალგაზდობა იმყოფება რუსეთის სხვა და სხვა ქალაქების საავადმყოებული, მრავალიც იმსხვერპლა ამ საერთაშორისო ომში და ბევრიც შეიძლება შემდე-

გაც გამოესალმოს წუთისოფელს. მაგრამ ამ საზოგადო გასაჭიროში უფრო მეტი სიფხოზლე, სამტკიცე და გულის სიმაგრე ჰმართებს ყველას, და რომ ხალხი სასოწარკვეთილებაში არ ჩავარდეს, საჭიროა ყოველ-მხრივი დახმარება, ნუგეშისცემა და პატრიონობა, რომ ცრემლი შეუშრონ მათ, ვინც დღეს ბრძოლის ველზე დაკარგულს ქმარ შვილსა გლოვობს. სრული იმედია, რომ ამში ქართველი ხალხი გულგრილად არ იქნება; სოფლის მასწავლებელი, სოფლის ინტელიგენცია, მღვდელი და შეგნებული ერი, მარილნი ამა ქვეყნისა ამ საზოგადო გაჭირვების დროს უნდა ცდილობდნენ შეერთებულის ძალლონით გაუმკლავდნენ ქვეყნის ვარამს და იხმარონ ყოველგვარი ღონისძიება, რომლითაც გაჭირვებულთა და დაზარალებულთ ჭირი შეუმსუბუქდებათ.

ამ უკანასკნელ დროს განვებამ თითქოს მარტო ჩეკნოვის მოიცალა, საერთაშორისო ომის გარდა ჩეკნს ქვეყანას ზოგან სიმშილი მოელის, წეიმამ, ნიაღვარმა, სეტყვამ თუ სხვა სტიქიურმა მოვლენებმა ისედაც გაძვალტყავებულს გლეხობას ხელი ააღებინა ჭინახულზე და სიმშილი, ეს ყოველ სენზედ უსასტიკესი და ულმობელი სტუმარი ბევრს კარს ადგას და ისე-დაც დაღონებულს, დასევდიანებულს გლეხობას სასოწარკვეთილებაში აყენებს.

ამას წინად ლეჩებუმის მაზრის მარშალი იასონ გელოვანი ცხარე ცრემლით დას-

ტიროდა, სასოწარკვეთილი პგოდებდა იმ შემზარავი სურათის შემყურე, როცა ლექ-ხუმის მაზრის იმედ-მიხდილნი მცხოვრებნი სრულიად უიმედოთ დასტოვა ნიალვარმა და მთელი წლის სარჩო ხელიდან გამოსტაცა. გულშემზარავია ის სურათი, რომელსაც ბატონი მარშალი აგვიშებს გაზეთის ფურცლებზე, ის დაწიოკება, ის სასოწარკვეთილება, საერთო ტირილი, ტანჯვა და გოდება გლეხისა, დიდისა და პატარისა, ქალისა და კაცისა, რომელნიც შეჰყურებდენ იმ საზარელ სურათს, როცა წლის სარჩო-საბადებელი ხელიდან ეცლებოდათ. და რამდენი მიყრუებული კუთხეა ჩვენს ქვეყანაში, რომლის შესახებ ცნობები არა გვაქვს და მცხოვრებნი-კი აუტანელ ტანჯვის მეტს არას განიცდიან. და თუ ამ გატირების დროს სოფელს ეხლავე არ დავეხმარეთ, დიდი დანაშაულობა იქნება და ბოლოს მისი გამოსწორება შეუძლებელი გახდება.

მართლა რომ მეტად უნუგეშო სურათი გვეშლება წინ ამ ქამად. საითაც გაიხედავ, ყველგან ატყობ ქართველი კაცის სახეს ღრმა სევდა ატყვია, ქვეყანას მწუხრის ზეწარი გადაფარებია, მაგრამ იმედი საუკეთესო მომავლისა ჯერ მთლად არ გამქრალა. ამ იმედით სცხოვრებდა ქართველი მრავალ საუკუნის განმავლობაში, ეს იმედი აცოცხლებს დღესაც და გზას უკვლევს მომავლისკენ.

სტიქიურმა მოვლენამ, ულმობელმა ცეცხლმა რამდენისამე საათის განმავლობაში ნაცრად აქცია ქართული თეატრი, მისი საუნჯე, ეროვნული ტაძარი, რომელშიაც ქართველი ერთ თავის თავი, თავის ცხოვრებას, როგორც სარკეში ხელავდა, ხელოვნებას ეწაფებოდა და ტკბილ ქართულს, დღეს ყველგან დევნილსა და აბუჩად აგლებულს, ისმენდა და სწავლობ-

და. მსწრაფლ გაჰქრა, ცეცხლმა შთანთქა ჩვენი მელობენის ტაძარი, ზარალი დიდია და აუნაზღაურებელი, მაგრამ იმედიანი ქართველი სასოწარკვეთილებას არ ეძლევა, იმედს არ ჰყარგავს, რომ ძველის ნაცვლად ახალი აღორძინდება, უფრო შნოიანი, მოხერხებული და დიდებული. ყოველი შეგნებული ქართველი ამ ქამად გულში ატარებს ქართული თეატრის შენობის ხელახლად აგების საჭიროებას, ეროვნული ფონდის დაარსებას.

როცა ხალხში ასეთი ეროვნული შეგნებაა, როცა ჰქედავ, რომ საერთო გასაკირი ყველას საკუთარ ჰირად მიაჩნია, როცა ატყობ, რომ ქართველ ხალხს ძეგლი ანდაზა „სხვისი ჰირი—ლობეს ჩხირიო“ უკუუგდია და თავისი ძმის გაჭირვება თავისად დაუსახავს, აქ უნებლიერ თავს იჩენს ერთობის მალა, რაც ქვა-კუთხედია ქვეყნის წარმატებისა. ასეთს შეგნებასთან ჩვენ გვჯერა, რომ არავინ დაიშურებს თავის წვლილს, რომ ქართული თეატრი, ეს ერთი საუკეთესო დაწესებულება ქართველი ერის გათვითცნობიერებისა, ხელახლად აღორძინდება და კვლავ განაგრძობს თავის სასარგებლო მოქმედებას ჩვენის ერის საკეთილდღოლდ.

მარტო სიტყვიერი თანაგრძნობა საკმარისი არ არის. საჭიროა არავინ, შეძლებისა და გვარად, არ დაიშუროს თავისი წვლილი, რომელიც შეჰქმნის დიდს საშვილიშვილო საქმეს.

ულმობელმა ცეცხლმა მეტად დიდი ზარალი ქ. შ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოებასაც მიაყენა. სამი საწყობი, რომელიც თეატრის მახლობლად ჰქონდა 4000 თუმნის ლირებულის წიგნებით სავსე, გამანადგურებელმა ცეცხლმა ერთიანად სჩანთქა. ცეცხლი სწორედ საწყობის მახლობლად გაჩნდა და არავინ მიუშვეს

საწყობთან, რომ ცოტა რამ გადაერჩი მაინც ნათ. რასაკვირველია ეს ზარალიც აუნაზღაურებელია საზოგადოებისათვის, რომელსაც საწყობში ჰქონდა შენახული, როგორც თავისი გამოცემანი, აგრეთვე საკომისიოდ მობარებული წიგნებიც. რასაკვირველია, ზარალი, რომელიც საზოგადოებას მოუვიდა ამ ეძად, მეტად თვალსაჩინოა და საზოგადოებისათვის საკმაოდ საგრძნობელიც, მაგრამ სასიამოვნოდ აღმოჩნდენ ისეთი გამომცემელთაგანიც, რომელთაც ღიღი თანაგრძნობა გამოუტადეს საზოგადოებას და უარი განაცხადეს საფასურის მიღებაზე იმ წიგნებში, რომელიც მათ ჰქონდათ მიტანილი საკომისიოდ და რომელიც ცეცხლმა შთანთქა. თუ სხვებმაც ასეთი სულგრძელობა გამოიჩინეს, იმედია საზოგადოების ზარალი ცოტათი მაინც შემცირდება.

ზემოთ ჩვენ შევნიშნეთ, რომ ეროვნული თვითშეგნება ჩვენში თან და თან იღვიძებს და ეს, რასაკვირველია, ჩვენი ერის წინმსვლელობის მომასწავებელია. და ეს საუკეთესო თვისება ყოველს ადამიანში უკეთ გაიფურჩქნება მაშინ, როდესაც ყრმას, მოზარდ თაობას ბავშვობიდანვე არ გამოაცლიან მშობლიურ ნიადაგს და არ დააყენებენ გადაგვარების გზაზე. ამაში კი ჩვენებურს სკოლებს ღიღი დანაშაულობა და მიუტოვებელი ცოდვებიც მიუძღვისთ—იმით, რომ სახელმძღვანელო შეაქვთ სკოლებში ისეთი წიგნები, რომლის წყალობითაც მოზარდ თაობას გადაგვარების გზაზე აყენებენ. ეს ვაჟბატონურამბატონები თავიანთ სკოლებში რუსული ენის სწავლებაში ისეთს მიმართულებას ადგანან, რომლის რეალურ—გამომხატველებად ჩვენში ზედგინიძე-ჯაფარიძეები არიან, რომელთა მითართულება ქართულმა პრესამ შესაფერისად დაპგმო.

ერთმა რუსის პედაგოგმა ამ რამდენისამე წლის წინად ქ. ყაზანში, ერთს პედაგოგიურ უურნალში დაწვრილებით გაარჩია განსვენებულის იაკობ გოგებაშვილის რუსული სახელმძღვანელოები თავისი მეთოდიკით; დიდად მოიწონა; არარუსთა სკოლებისათვის ცველა არსებულ სახელმძღვანელო წიგნებზე მაღლა დააყენა, აღიარა ერთად ერთ საუკეთესო სახელმძღვანელო წიგნად ქართული სკოლებისათვის, მაგრამ ერთი წუნიც დასდო, ხოლო ეს წუნი-კი არა, საუკეთესო ღირსებაა, რომელსაც ნამდვილი პედაგოგი ყოველთვის ანგარიშს უნდა უწევდეს, თუ იგი თავის ერს ემსახურება და ცდილობს მის კანონიერს აღზღაზე. ეს წუნი, კრიტიკოსის აზრით, იმაში გამოიხატებოდა, რომ გოგებაშვილის წიგნებზე აღზრდილი ქართველი ბავშვები ქართველადვე დარჩებიან და ეს არც ქართველებისთვის არის ხელსაყრელი, რადგანაც ქართული ლიტერატურა დაბლა სდგას, ვიღრე რუსულიო და სხ. ღიაღ, განსვენებული გოგებაშვილი მთელს თავის სიცოცხლეში ყველგან იმ აზრს ატარებდა, რომ ჩვენი მოზარდი თაობა ისე აღზრდილიყო, რომ სულით არ გადაგვარებულიყო. განსვენებულმა, როგორც ღრმა მოაზრე პედაგოგმა, კარგად იცოდა, რომ ერის სულით გადაგვარება მის გადაშენებას, მოსპობას და დედამიწიდან აღვეს მოასწავებდა; ამიტომ ანგარიშს უწევდა იმ უკულმართ მიმართულებას, რომელსაც დიდი ხნის ისტორია აქვს ქართველ ერის ცხოვრებაში და რომელმაც, სამწავაროდ და სავალილოდ, თვით ქართველ მასწავლებლებშიაც მომზრები მოიპოვა. განსვენებული გოგებაშვილი ამ უხეშ და უზნეო მიმართულებას ებრძოდა არა მარტო სიტყვით, საქმითაც. იგი კარგად პედაგოდა ქართველ ბავშვებს, რომლებიც იტანჯე-

ბოლნენ უცხო ენის შესწავლით უხეირო სახელმძღვანელოებზე, მას საჭიროდ მიაჩნდა ქართველ ბავშვებისათვის ისეთი რუსული ენის სახელმძღვანელო, რომლითაც გაუადვილებდა ბავშვებს, როგორც უცხო ენის შეგნებით შესწავლას, აგრეთვე გონიერის განვითარებასაც და ხელს შეუწყობდა ქართველადვე დარჩენას. არც ერთს არა რუსთა ყრის პედაგოგს, რუსეთის სახელმწიფოში მყოფს, არ უზრუნვია და არ უშრომნია ამ საქმეზე იმდენი თავის ხალხისათვის, რამდენიც განსვენებულმა გოგებაშვილმა გააკეთა ჩეგნთვის. მან დაანახვა ყველას, რომ ქართველი ერი კულტურული ერია, ქართველებშიაც არიან პედაგოგები, ქართველებსაც შეუძლიანთ მოზარდთა სწავლა-აღზრდის საქმე საკუთარს პედაგოგიურს ნიადაგზე დაამყარონ, ქართველ პედაგოგებსაც შეუძლიანთ თავის ხალხისათვის სახელმძღვანელო წიგნების შედგენა და მაშასადამე გადამთიელთა მიერ შედგენილი სახელმძღვანელო წიგნები ჩვენებურს დასაწყის სკოლებისათვის გამოსადეგნი არ არიან. მაგრამ ქართველი მასწავლებლები განა ანგარიშს უწევენ საღ პედაგოგიურს მოთხოვნილებას?! სამწუხაროდ ჩვენში ჯერ კიდევ ბლომად არიან ისეთები მასწავლებელთა შორის, რომელნიც კარგს ავისაგან ვერ არჩევენ. ამას სჩადიან ან უმეცრებით, ან იმ ქართველური გულუბრყვილობით, რომ ყოველივე უცხო კარგია, საუცხოვოა და კარგი შინაური, რაც უნდა იყოს, არ ვარგაო, ან შინაურს მღვდელს შენდობა არ აქვსო, როგორც უთქვამთ.

აბა ახლა ვეწვიოთ ტფილისის ქალაქის ქართულ სკოლებს თუ გოგებაშვილის რუსული სახელმძღვანელოების ქაჭანებას ნახავთ იქ. მიზეზი ამისა თეითონ სკოლის გამგეები და მასწავლებლები არიან. მათ

არ შეუძლიანთ თავი იმართლონ იმით, თითქოს სასწავლო მთავრობა უკრძალავდეს გოგებაშვილის წიგნების ხმარებას. პირიქით ერთს უკანასკნელ მასწავლებლების კრებაზე სახალხო სკოლების დირექტორმა პირდაპირ დასახელა ქართულ სკოლებს სპეციალად შედგენილი რუსული ენის სახელმძღვანელო აქვთ და იმით შეუძლიანთ ასწავლონ რუსული ენაო. მაშასადამე პირდაპირი ბრალი სკოლის გამგეებს და მასწავლებლებს ედებათ, თუ ისინი უხეირო სახელმძღვანელოებით ტვინს ულაყებენ ქართველ ბავშვებს, სდევნიან ისეთს სახელმძღვანელოს, რომელიც ქართულ სკოლებისათვის არის დანიშნული და საუკეთესო პედაგოგების მიერ ბევრჯელ მოწონებული. რომელიც პედაგოგიური მოსაზრებით გაიმართლებს თავს ის გზა-კვალ დაბნეული მასწავლებელი, რომელსაც სკოლაში მუნჯურ მეთოდზე შედგენილი სახელმძღვანელო შეაქვს! და განა ყველა სახელმძღვანელო, რომელიც მარტო უცხო ერის ცხოვრებასა და უცხო სურათებს უხატავს ქართველ ბავშვს და რომელშიაც ქართულად ახსნას ვერ ჰპოულობთ, იგივე მუნჯური სახელმძღვანელო არ არის?! დიალ, ტფილისის ქალაქის ქართულმა სკოლებმა, მათი გამგებასწავლებლების წყალობით უკუგდეს სწორი გზა და ისეთს მიმართულებას ადა განან, რომელიც სულით გადაგვარებას უქადის ქართველ ბავშვებს და ამ გადაგვარების ხელის შემწყობნი არიან ის მასწავლებლები, რომლებიც ასე უდიერად ეპყრობიან სწავლა-აღზრდის საქმეს. ასე წარმოიდგინეთ ქალაქის ქართულ სკოლის მასწავლებლებს არავითარი ერთობა არ ეტყობა, თუ გინდ რუსულ სახელმძღვანელოს არჩევაშიაც-კი, ზოგან ხმარობენ „Первые шаги“, „ოთვან „Охота пуще ве-

воля“, ზოგანაც „Народная школа“, ზოგან დოშალივით ურევენ ერთსაც და მეორესაც. ეს იმის ნიშანია, თუ ვის რაგვარი გემოვნება აქვს, იმათ კი არ დაგიდევენ, თუ მათი დამახინჯებული გემოვნება თვითონ ბავშვებზე როგორ მოქმედებს და რაგვარ სულს უნერგავს მოზარდთაობას.

ჩვენ საზოგადოებაში რომ წმინდა პედაგოგიური აზრების დამცველნი ბლომადიყვნენ, სასკოლო კომისიაშიც, რომელიც ასე თუ ისე პირდაპირ განაგებს ქალაქის სკოლის საქმეებს, იყვნენ ისეთები, რომელთაც ქართული სკოლების ბედ-ილბალი აინტერესებდეს და ამა თუ იმ სახელმძღვანელოების დანიშნულება ცხადად წარმოდგენილი ჰქონდეს, მაშინ ქალაქის სკოლის მასწავლებლებს არა თუ ურჩევდნენ, ძალასაც დაატანდნენ ეხმარათ ისეთი წიგნები, რომლებიც ქართველ ბავშვებს რუსული ენის შესწავლას გაუძვილებდა და გონიერი ისე არ დამახინჯებდა, როგორც ამ უამაღ ხდება ხოლმე. მაგრამ უფიქრნია-კი ვისმე ამ საგანზე? ჩვენი ერის გადაგვარება მარტო ზოგოჯახში კი არა, უფრო სკოლებში ხდება და ეს ისეთი საჭიროობოტო და საერთო საქმეა, რომ ამის შესახებ დუმილი ყველა შეგნებულისა და ეროვნულ თავმოყვარებით განმსჭვალულ ადამიანისათვის დანაშაულობას შეადგენს. აბა ჰკიოთხეთ ქალაქის სკოლის გამგებს და მათ ხელშეკრიცით მყოფს მასწავლებლებს, რომელი პედაგოგიური მოსაზრება აიძულებთ მათ დაპგმონ გოგებაშვილის რუსული სახელმძღვანელოები და ამჯობინობ მას რაღაც „Охота пуще неволи“! დარწმუნებული ვართ ამაზე რიგიან პასუხს ვერ მიიღებთ ვერც ვერის ქართული სკოლის გამგის, ვერც იმავე სკოლის მასწავლებლებისა-

გან, ომელთაც ისე შეცყვარებიათ ეს „Первые шаги“, რომ მიუხედავად მწარე გამოცდილებისა, მაინც არ ეშვებიან, არც შეუძლიათ მეორე ნაბიჯი გადადგან, ვერც ცენტრალური სკოლის გამგე და ვერც სხვები მოგცემენ რიგიანს პასუხს. და თუ ვინმე მხმა ამოილო, დარწმუნებული უნდა ბრძანდებოდეთ, რომ მათი პედაგოგიური მოსაზრება ჩიტის ნისკარტზე უგრძესი არ გამოდგება. მე ვთხოვ უურნალ „განათლების“ პატივცემულ რედაქციის მათი პასუხი, თუ რაც და რა მოსაზრებით განდევნეს თავიანთ სკოლებიდან ქართველ პედაგოგის რუსული სახელმძღვანელოები, სრულიად დაბეჭდოს, რომ თავი იმართლონ იმ 80 ქართველი მასწავლებლის წინაშე, რომლებიც მოითხოვდნენ ყველა ქართველ მასწავლებლისაგან, შემოელოთ ქართულს სკოლებში ყველგან გოგებაშვილის წიგნები, ან პრესის საშუალებითვე გამოეთქვათ თავიანთი მოსაზრებანი, თუ რა უპირატესობა ჰპოვეს მათ სხვა სახელმძღვანელოებში.

იმედია ასეთს პასუხს ქალაქის ქართულ სკოლების გამგე-მასწავლებელთაგან ჩვენი საზოგადოებაც, სასკოლო კომისიაც და შეგნებული მშობლებიც მოითხოვენ და მაშინ ვნახოთ, რას იტყვიან და რას ირჩევენ. ეხლა კი კმარა მათ შესახებ ლაპარაკი. უკანასკნელი სიტყვა მათ ეკუთვნის. და თუ ვინიკომაა ეხლაც დუმილით ჩაატარებს, მაშინ ყველა ის მასწავლებლები, რომლებიც ასე გაურბიან საღ პედაგოგიურს საქმეს და მოსაზრებას და თვისი ანტიპედაგოგიური მოქმედებით გადაგვარების გზაზე აყენებენ ქართველ ბავშვებს, არათუ გაკიცხვის ღირსნი შეიქნებიან, არამედ სამართლიანი იქნება, რომ ისინი ერისა და წმინდა პედაგოგიური აზრების

მოღალატეთ აღიაროს ყველამ და როგორც მოღალატეებს საკადრისი სასჯელიც მიენიჭოს.

უცხო ენის სწავლება ადვილი საქმე არ არის და ყოველგვარის სახელმძღვანელოთი მისი რიგიანად შესწავლა არ ხერხდება; აბა რომელი სახელმძღვანელოა უცხო ენისა საღმე სკოლაში ისეთი, რომელიც დედა-ენას, სხვათა შორის, ერთ საუკეთესო საშუალებად არ ჰსახავდეს უცხო ენის შესწავლის დროს. თავდაპირველად-კი ასეთი სახელმძღვანელოები ბავშვებს წინ უშლიან, თანდათანობის მიხედვით, ცნობილს საგნებსა და სურათებს, ჯერ მარტივსა და მერე რთულს, ჯერ ცნობილსა და მერე უცნობს და ამით უადვილებს უცხო ენის შესწავლას და ლექსიკონის თანდათანობით გამდიდრებას და სხ.

როცა რუსის პედაგოგები დედა-ენის სახელმძღვანელოს ადგენენ რუსების სკოლებისათვის, სულ სხვანაირი თვალსაზრისით ხელმძღვანელობენ; ეს თვალსაზრისი არ გამოდგება არარუსთათვის და ყოველი რიგიანი რუსი ან სხვა ერის პედაგოგი, თავისი სკოლებისათვის სახელმძღვანელო წიგნების ავტორი უნდა სამართლიანად აღშფოთდეს, როცა მის წიგნებს ისეთს დანიშნულებას აძლევენ, რაც ავტორს სრულიად მხედველობაში არ ჰქონებია. დარწმუნებული ვარ ასე მოიკეთოდა განსვენებული უშინსკი მისი „როდნო სლოვო“ რომ არა რუსთა სკოლებში დაენახა. ამ ერს იგი ან მეტის-მეტად გონებრივად დატაკად აღიარებდა, ან ურჩევდა შესაფერისი სახელმძღვანელოს შედგენას, რომ შეუფერებელის მასალით სხვა ერის ბავშვები არ გამოეთაყვანებინათ.

იყო დრო, როცა ქართველი ბავშვები მოკლებული იყვნენ რუსული ენის შესას-

წავლ სახელმძღვანელოს და იძულებული იყვნენ რუსული „როდნო სლოვო“-ში ესწავლათ, მაგრამ ამ წმინდა რუსული წიგნის, რუსის ბავშვებისათვის დაწერილ სახელმძღვანელოს ნაკლი ჩვენს სკოლებში სასწავლო მთავრობამც აღიარა და თით ქმის ორი მესამედი მასალისა გამოტოვებული იქმნა ამ წიგნიდან. აუცილებელს საჭიროებას შეადგინდა ქართველებისათვის საკუთარი შესაფერი სახელმძღვანელო შეედგინა ვისმე. ეს შრომაც განსვენებულმა გოგებაშვილმა იკისრა და ლირსელლადაც დამთავრა, მისი „რუსკოე სლოვო“ ორივე ნაწილი უაღრესად მოწონებული იქმნა ყველასაგან, განსვენებული სიკოაცელებივე თან და თან აუმჯობესებდა თავისს წიგნებს და გარდაცვალების შემდეგაც, თანახმად განსვენებულის ანდერძისა, წერა-კითხვის საზოგადოებას მკირე შრომა არ მიუძღვის ამ წიგნების გაუმჯობესობაში; დღეს ყველა შეგნებული მასწავლებელი ამას გაიძახის: ჩვენი ზნეობრივი მოვალეობაა ქართულს სკოლებში ყველგან გოგებაშვილის წიგნები შემოვილოთ, თუ დღემდის ასეთს შეცდომას ჩავდიოდით, დღეს მაინც გავასწოროთ ჩვენი შეცდომებიო. ყველანი ვალდებული ვართ მხარი დავუჭიროთ ამ სახელმძღვანელოებს და გავაურცელოთ ჩვენს სკოლებშით.

მართლაც მასწავლებლების გამოთხილებამ სახელმძღვანელოებსაც მეტი ბაზარი გაუხსნა და ბავშვებიც შეგნებითა და ხალისინად სწავლობენ რუსულ ენას. ამას ვერ მიმხვდარან ჯერ-ჯერობით ტფილისის ქალაქის სკოლის მასწავლებლები. ისინი საღათას ძილს შეუპყრია და ელიჩებათ გამოლენდება თუ არა ღმერთმა უწყის.

კახაბერი.

## ერთი დიდი პედაგოგიური შეცდომა

იმდენი სიფრთხილე, გამოცდილება და გამჭრიახობა არავის მოქთხვება, რამდენიც მასწავლებელს. მასწავლებელი ყოველს ნაბიჯს, ყოველს თვის მოქმედებას, აზრისა და სიტყვის ჯერ საკუთარ კრიტიკის ქარცეცხლში უნდა ატარებდეს და შემდეგ სრულიად მომზადებული შედიოდეს კლასში. ვინც ასე იქცევა, იმას წარმატებაც სასურველი აქვს, სწავლა-აღზრდის საქმეც ჩინებულად მიჰყავს და მოწაფებიც გონიერის სასურველ სიფრთხლეს იჩენ და ხალისიანადაც სწავლობენ ყველაფერს. საკოდავია ის სკოლა, სადაც მასწავლებელს გარკვეული შეხედულობა არ აქვს სწავლა-აღზრდის საქმეზე. იქ ყველაფერი ვინიც არა აქვთ, გამოურკვევლობაზე და მრავალს შეცდომაზეა დამყარებული. რა გასაკვირველია რომ ასეთს ნიადაგზე ვერ აღმოცენდეს სასურველი ნაყოფი. და ეს არის ერთი მიავარი მიზეზი, რომ ჩვენს სკოლებს წარმატება სრულიად არ ეტყობა და უვიცი მასწავლებლებისაგან ბევრს რასმე არც უნდა მოველოდეთ. ვინ არის აქ დამნაშავე: მასწავლებელი, საზოგადოება თუ სასწავლებლის მეთაურნი, ამის გამოკვლევაში ამ უამად არ შევდივართ, დავასახელებთ მხოლოდ ერთს ფაქტს:

ამას წინად ერთი მშობელი შემხვდა და შემომჩივლა: „საკვირველია ჩვენი სკოლებისა მასწავლებლების საქმე, ქალი მივაბარე სკოლაში, პირველ წელიწადს რუსული ანბანი შეასწავლებს გოგებაშვილის „რუსკოე სლოვოს“ პირველ ნაწილში, ახლა შემოულიათ რაღაც წიგნი „Охота пуще неволи“, რომლის ავანჩვანს ბავ-

შვი ვერ გებულობს, და იტანჯება; ნუ თუ გოგებაშვილის „რუსკოე სლოვოს“ პირველი ნაწილის შემდეგ, იმავე ავტორის მეორე ნაწილს არა ხმარობდენ“.

— როგორ არ ხმარობენ-მეთქი, მეც უუპასუხე, მაგრამ არიან ზოგიერთი მას-წავლებლები, რომლებიც ჩვენი პედაგოგის სახელმძღვანელოებს აბუჩად იგდებენ, ეს საზოგადო სენია ტფილისის ქალაქის ქართულ სკოლებისა და შეიძლება ეს სენი იმ მასწავლებელსაც შეეყარა, ვისთვინაც შვილი მიგიბარებია მეთქი.

მაგრამ მაინც დამაფიქრა ამ გარემოებამ და მინდოდა გამეგო, რა პედაგოგიური აღლო უნდა ჰქონდეს იმ მასწავლებელს, რომელიც „რუსკოე სლოვოს“ ანბანის შემდეგ „Охота пуще неволи“-ზე გადადის მეთქი. დავბრუნდი სახლში, გადმოვიდე თაროდან „Охота пуще неволи“, გადავშინჯე და ვაი შენს მტერს, რაც იქ აღმოჩნდა. რაც რუსის ბავშვისთვის კარგია და დროს შესაფერისი, იგი ქართველ ბავშვებისათვის საწამლავი გამოდგა: აი საქმე როგორ გახლავთ: რუსების პედაგოგებს პანოვსა და სოკოლოვს, რომელთაც შედგენილი აქვთ რუსის ბავშვებისათვის პირველ დაწყებითი სახელმძღვანელო წიგნები, სათაურით „Охота пуще неволи“ პირველი ორი წიგნი ანბანი და ანბანის შემდეგ საკითხავი დანიშნული აქვს პირველი წლისათვის ე. ი. ანბანს ათავებენ დაახლოებით სამთვეში და შემდეგ გადადიან ანბანის შემდეგ საკითხავ წიგნზე, რომელიც იწყება ზამთრით და თავდება გაზაფხულით. მთელი მასალა ამ წიგნისა დალაგებულია წელიწადის ამ ორი დროს მიხედვით. როცა რუსის ბავშვები სწორედ თავის დროზე, დეკემბერში პკითხულობენ რუსულს ზამთარზე, პხედვენ ბუნებაში

უკველ-გვარ სურათებს — „Сиჩгъ на по-  
ляхъ, лѣдъ на рѣкахъ, въюга гуляетъ“ —  
და სხვა, ამას ქართველ ბავშვებს თურმე  
ენკენისთვეში აზეპირებენ და მარხილისა  
და „ვალენკების“ შესახებ ესაუბრებიან,  
რომლის შესახებ ქართველს ბავშვს არა-  
ვითარი წარმოდგენა აქვს. ასეთი საქციე-  
ლი არა თუ წყლის ნაყვაა, არამედ დიდი  
ჰელაგოგიური შეცდომა და მიუტოვებელი  
დანაშაულობაა. აბა წარმოიდგინეთ უც-  
ხო ზამთარი, უცხო სურათები, უცხო  
ენა და უდროო დროს სწავლება!! რა  
დარჩება ბავშვს ამგვარი სწავლებით, ან  
რას შეიძენს იგი? არაფერს, გამოთაყვა-  
ნებისა და სულიერად გადაგვარების მეტს.  
განა ამ წიგნის არჩევაში და ბავშვებისა-  
თვის მიჩეჩებაში რამე საღი ჰელაგოგიური  
მოსაზრება სჩანს? . სრულიადაც არა — და  
საქმე ის არის, რომ ასეთს მომაკვდინე-  
ბელ ცოდვებს სჩადიან ბევრგან სკოლებ-  
ში, საღაც ჰელაგოგიური თვალსაზრისი  
უკუგდებულია, საღაც სწავლა-აღზრდის  
საღი პრიციპები გათელილია და საქმე  
უვიცთა და უმეცართა ხელშია. ბავშვი  
არც მშობლების საკუთრებაა, არც მასწა-  
ვლებლისა, იგი პირველად თავის თავს  
ეკუთვნის და მერე საზოგადოებას. რო-  
გორც პიროვნება ბავშვი მოითხოვს საღს  
აღზრდას, მშობლებიდან დაწყებული ყვე-  
ლასაგან, როგორც მომავალი საზოგადოე-

ბის წევრი, უკველი ბავშვი მოითხოვს  
საზოგადოების უურადლებას, რომ მას მო-  
მავალში საღი და არა სულით გადაგვა-  
რებულ-დამახინჯებული წევრი შეეძინოს,  
რომელსაც არავითარის ცოცხალი აზრის  
შეტანა საზოგადოებაში არ შეეძლება;  
არამედ დარჩება მაჩანჩალად ცხოვრებაში  
და საზოგადოებისავე საზრუნველად.

სწავლა-აღზრდაზე რთული საკითხი  
ჩვენში მეორე არ არის. ჩვენში რომ ამ  
საკითხის შესახებ საზოგადოებრივი აზრი  
არსებობდეს, ვერც ასე თავისუფლად იპარ-  
პაშებდენ ეხლანდელი გადაგვარებული  
მასწავლებლები და იძულებულნი გახდე-  
ბოდნენ საზოგადოებისათვის ანგარიში  
გაეწიათ.

ამ საკითხში ავტორიტეტი, თაოსნობა  
და ანგარიშის გაწევა წერა-კითხვის საზო-  
გადოების დანიშნულებაა. მას ჰყავს სკო-  
ლების საკუთარი მეთვალყურე, რომელ-  
საც უნდა მოსთხოვოს თუ რა გვარ ჰე-  
ლაგოგიურს მოსაზრებას ატარებენ ქარ-  
თულს სკოლებში ქართველი მასწავლებ-  
ლები. როცა ეს უკანასკნელები დარწმუნ-  
დებიან, რომ მათს მოქმედებას, დირექ-  
ტურის გარდა, საზოგადოებაც თვალყურს  
ადევნებს, მაშინ შეიძლება ჰანგიც შეს-  
ცალონ და სკოლის საქმეებიც წაღმა  
მოატრიალონ, მანამდის-კი კარგს ნაყოფს  
ვერ ვეღიორსებით.

რატო.



## ორიოდე სიტუაცია „დედა-ენის“ I და II ნაწ. სწავლების შესახებ

ტოგიერთა მასწავლებლის წყალობით ჩვენი სახალხო სკოლები თავის უპირველეს: ქართული წერა-კითხვის შესწავლის და ნამდვილ ცოდნის მიღების მიზანს ვერ აღწევს იმის გამო, რომ „დედა-ენებიდან“ უდიერად სტოვებენ მასალებს.

ეს კი მეტად სასაკილოდ აგდებაა და ფეხქვეშ გათელვაა ჩვენის წმიდათა წმიდისა, ქართული ენის კოპტია სახელმძღვანელოებისა, შეურაცხყოფაა ჩვენის სკოლების მამათ მთავრის ი. გოგებაშვილის მიზნის და მოლვაწეობისა. ასეთი მასწავლებლები თავიანთის უვიკობით ნამდვილს ბრძოლას უცხადებენ ჩვენს ენას, სახელს უტეხენ სკოლებს და სამარცხვინოდ პედიან ხალხის წინაშე.

განა ასე უნდა მოვეპყრათ განსვენებულ გოგებაშვილის ქართული ენის სახელმძღვანელოებს? რამდენი ურომა და მოლვაწეობა დასჭირდა მას, რომ უკანასკნელად თავისი სახელმძღვანელოები I და II ნაწ. „დედა-ენის“ სულ გარდაქმნა, ახალს, ნამდვილს რეალურს ნიადაგზე აღმოცენებინა. განსვენებულმა მიზანს მიაღწია კიდევ. ორივე სახელმძღვანელოს გენეტიურად ჩართული მარტივი მასალა ისე შესკედა ერთი ერთმანეთზე, რომ მასში ჩართული მასალის ოდნავი გამოტოვებაც, გადახტომ-გადმოხტომა, ეს მთლიად მნიშვნელობას, აზრს, ლირსებას და ტონს უკარგავს მთელს სახელმძღვანელოს ისე, როგორც უძლეველ კიხის კედელს ტლანქის ხელით გამოღებული ქვა.

მაშ რა მიზეზია, რომ ხენებული სახელმძღვანელოები, მიუხედავად იმისა, რომ ისინი წინდახედულად, კარგად, მშვენივ-

რად, მარტივად და სამაგალითოდაა შედგენილი და მაინც მიზანს ვერ აღწევს? მიზეზი ამისა სულ მარტივი და უბრალოა. მიზეზი გახლავთ ის, რომ ზოგიერთი ჩვენი მასწავლებლები ვერ იცნობენ ხენებულ სახელმძღვანელოს ლირსებას, არა აქვთ შესწავლილი და შეთვისებული ისე, როგორც მას საქმე თხოულობს.

პირ. ნაწ. აბუჩად აგდების წესი ემართება „დედა-ენის“ მეორე ნაწილსაც. მეორე ნაწილსაც ისე გადინან ზოგიერთი ბატონები და ქალ-ბატონები, რომ მოთავსებულ სასაუბროებს და საპასუხოებს ხელალებით სტოვებენ; იმ მოსაზრებით, რომ ეს ბავშვებმა იციანო, ან ამას ბავშვები ვერ გაიგებენო. მოთხრობებისა და ლექსების შესწავლასაც ესევე ემართება.

სტოვებენ ზოგიერთ მოთხრობებს და ლექსებს თითქმის ყოველ ორ გვერდის და ან სამი გვერდის შემდეგ. ბევრჯელ რამდენიმე ფურცლის შემდეგაც გადახტიან და მიღიან ასე უგზო-უკვლოდ.

რატომ არ იციან, რომ ყოველ შეტანილს მასალას ხენებულს სახელმძღვანელოებში, ლექსებს თუ მოთხრობებს, ერთი ერთმანეთზე დიდი კავშირი აქვთ, შეხორცებულები არიან ერთმანეთზე და ერთს მთლიანს ორგანიზმს წარმოადგენნენ. მასთან „სასაუბროები“, ეს ხომ სახელმძღვანელოების მარგალიტი და ძვირფასი ადგილებია, სადაც ბავშვი გავლილ მასალას იმეორებს და ცოცხალს წარმოდგენას იძენს. სასაუბროები ეს ხომ მოკლე საუბარია ბუნების მეტყველებიდან. ამების გამოტოვებაც ბუნებრივი და პედაგოგიური კანონების დარღვევაა.

ყოველსაც ამის შემდეგ ასეთის აბდა-  
უბდა სწავლებით, ბავშვებიც აბდაუბდა  
კოდნას იძენენ და სწორედ ამის გამო  
მოუმზადებელ და განუვითარებელ ბავშვს  
უძნელდება სწავლა „ბუნების კარშიაც“.

ამასთან ვიტყვი იმასაც, რომ ჩვენ თუ  
ვაფასებთ და ძვირფასადა ვთვლით გოგე-  
ბაშვილის ზემო ხსენებულს სახელმძღვა-  
ნელოებს არა შემოკლებულის და გამო-  
ტოვებულის მასალებით, არამედ მთელს,

ხელშეუხებელს. ვიტყვი იმასაც, რომ თუ  
ზოგიერთებს არ შეუძლიათ ხსენებულ სა-  
ხელმძღვანელოებით სწავლება, სხვას გულს  
მაინც ნუ ურევენ. იცოდნენ, რომ მათს  
ასეთ უდიერად და დაუდევნელად მოპ-  
ყრობას ჩვენის ძვირფას გოგებაშვილის  
სახელმძღვანელოებისას, არც ერთი იდეი-  
ურად მოლვაშე ჩვენი სახალხო სკოლის  
მასწავლებელი არ მოიწონებს, დაჰგმობს  
და ჯეროვან პასუხს მოსთხოვს ამაზე.  
**კოტე.**

### ნუ ჩამოვრჩებით სხვებს! (შიმართვა სახალხო მასწავლებლებისადში)

**J**მა წლის 25 ენკენისთვეს ქართვე-  
ლებს დიდი უბედურება და ზარალი და-  
ატყდა თავს: დაუნდობელმა ცეკვლმა  
ათიოდე საათის განმავლობაში ტფილისში  
ფერფლად აქცია 50 წლის ნაშრომი ეროვ-  
ნული ტაძარი, ქართული თეატრი და  
მასთან წერა-კითხვის გამავრცელებელ სა-  
ზოგადოების წიგნის მაღაზიაც თავისი ქო-  
ნებით, რის გამო ქართველ ერს მიეცა  
ზარალი არა ნაკლებ 600—800 ათასი მა-  
ნეთისა. ყოველ შეგნებულ ქართველს  
თავზარი დასცა ამ ამბავმა, საქართველოს  
ყოველ კუთხეში გაისმა საერთო გლოვი-  
სა და ზარის ხმა; ყველას აღეძრა გულში  
თანაგრძნობა და დაებადა სურვილი სა-  
ზოგადო ზარალის აღდგენისა. არსდება  
კომიტეტი, ორგანიზაციები ქართული  
კულტურულ-განმანათლებელი საზოგა-

დოებათა თაოსნობით, რათა შემოწირუ-  
ლებით მალე შეკრიბონ ფული და კვლავ  
აღადგინონ თეატრის განადგურებული  
კედლები.

ჩვენც, როგორც ერთ-ერთ კულტურულ  
განმანათლებელ დაწესებულების სათავეში  
მდგომნი, ნუ შევრცხვებით, ნუ ჩამოვრ-  
ჩებით სხვებს, ნუ დაგვჭირდება სხვისი  
ინიციატივა და თითოეულმა ჩვენთაგანმა  
ერთ-დროულად ამა ოქტომბრის-ნოემბრის  
ჯამაგირიდან გავაგზავნოთ „სახალხო ფურ-  
ცლის“, გინდ „განათლების“ რედაქცია-  
ში თითო მანეთი თეატრის ახალი შენო-  
ბის ასაგებ ფონდისათვის. ამასთანავე ვაგ-  
ზანი „სახ. ფურცლის“ რედაქციაში ჩე-  
მი მხრით ორ მანეთს.

**ლადო ბზვანელი.**



## ალექსი ბესარიონის ძეს ჭიშინაძეს გამოთხვებისას

ლიდათ პატივცემულო, ჩვენო დაულალაო მოჭირნახულევ, ბარონო ალექსი ბესარიონის ძევ!

ოცდა-თხუთმეტი წელია მას შემდეგ, რაც თქვენ შეუდეგით ახალგაზდობის სწავლი-აღზრდის საქმეს და დაულალავად ასწავლით მას ჰქონდას,—ძმურ სიყვარულს, მშვიდობიანობას და სათნოებას.

რასაკვირველია, კარგია ის მასწავლებელი, რომელიც კეთილის სიტყვით განამტკიცებს მისდამი რწმუნებულ მოწაფეთ; ქების ლირსია ის ოსტატიც, რომელიც თავის შეგირდებს კეთილ მაგალითით აჩვევს მაღალ ზნეობას; მაგრამ დაუფასებელია პედაგოგი, რომლის კეთილი სიტყვა განუყრელია კეთილ საქმიანობასთან. იმ ამ ბედნიერთა უკანასკნელ ჯგუფს ეკუთვნით თქვენც, დიდად პატივცემულო ალექსი ბესარიონის ძევ.

მე აქ არას ვიტყვი თქვენი ხასიათის მრავალ კეთილ თვისებათა შესახებ, ვინაიდან თქვენი ხასიათის სათნო თვისებანი ჩვენც კარგად ვიცით და თქვენც. თქვენს შესახებ ვიტყვი საერთოდ. ვიტყვი რომ თქვენი ფრიად პუმანიური პიროვნება მავგონებს იმ კეთილ-გონიერ მებაღეს, რომელსაც უბრალო, ნორჩი ხის ტოტიც კი მისდამი რწმუნებულ ბალისა საგანგებოდ უვარს, უვლის და თავს არ იზოგავს მის საკეთილდღეოდ და რომელი მებაღეც ერთხელ მოიწვია ბალის უფალმა და უთხრა: ჩემთვის კეთილო თანამშრომელო, მე დავიარე ბალი და ვნახე, რომ ქარიშხალს ბევრი ნაზი ტოტი დაუზიანებია, ისინი საცოდავად ჰქიდიან და ადრე თუ გვიან

ძირს დასცვივიან, წადი, ნახე და უშვეულე რამე.

კეთილმა მებაღემ ამ სიტყვებზე მოახსენა ბალის უფალს: ეხლავ გეახლებით და რაც შემიძლია მოუვლი ნორჩი დაზიანებულ ტოტებსა, და მართლაც, მებაღე მყისვე ადგა, ბალისკენ გაეშურა და, რა ნახა მრავალი დაზიანებული ტოტი, სიფრთხილით მიუახლოვდა მათ, თვითეული მათვანი ნაზად აიღო ხელში, მოსცხო მალამო, შეუხებია ჭრილობანი, მიაკრახის ტანს და შემდეგ, ყოველ დღე მზრუნველობით ათვალიერებდა მათ, სანამ დაზიანებული ტოტები არ მორჩნენ, შეეზარდნენ დედას და გამოიდეს კეთილი ნაყოფი.

აი ასეთ გულშემატკიფარ და კეთილგონიერ ოსტატს მაგონებს საერთოთ თქვენი სათნო პიროვნება.

მე ტყუილად შევეცდებოდი გამომეანგარიშნა, და, ვფიქრობ, თქვენც უბრალოდ შეიწუხებდით თავს გაგებსენებიათ, თუ რამდენი, ჯერ ნორჩი, საზოგადოებრივ ქარიშხლისგან დაზიანებული ახალგაზდა ყმაწვილი დაგიხსნიათ დაცუმისაგან, მამაშვილურის სიყვარულით მიახლოვებინართ, სათნო მოპყრობით გაგიღვიძებიათ მათ გულში მიმქრალი ადამიანური გრძნობები, სურნელოვანი მალამო მოგიცხიათ მათ ზნეობრივ ჭრილობათათვის, ფრთხილად შეგიხვევიათ მათი იარები, ისევ მიგიკრავთ საზოგადოებრივ ტანს და მანემ არ მოგიკლიათ კეთილი მზრუნველობა, სანამ არ დარწმუნებულხართ, რომ სუსტი ტოტი გამაგრებულა და მომწიფებულა კეთილი ნაყოფის გამოსაღებად.

აი ამიტომ სულით და გულით გისურ-  
ვებთ, რომ დღენი თქვენი ცხოვრებისა  
ყოფილიყოს კიდევ მრავალ უამიერ, რომ  
მადლიერ ჩვენს ერს მის ახალ თაობის

კეთილად აღზრდისათვის კიდევ მრავალ  
გზის ეძღვნას თქვენთვის წრფელი, გული-  
ყოფილიყოს კიდევ მრავალ უამიერ, რომ  
თადი მადლობა.

**მღვ. გ. ხაჟომია.**

### ასაჭრი კანონი კერძო სასწავლებლებისა.

**ქ**მა წლის ივლისის პირველს გამოა-  
ქვეყნეს ახალი კანონი, რომელიც ეხება  
კერძო სასწავლებლებს, კლასებს და კურ-  
სებს, რომელთაც არ ექნება უფლება  
მთავრობის სასწავლებლებისა. ეს წესდება  
ეხება ყველა კერძო სასწავლებლებს, კლა-  
სებსა და კურსებს, გარდა იმ სასწავლებ-  
ლებისა, რომლის მართვა-გამგეობა და  
ფუნქციებულია უმაღლესად მოწონებულის  
უმთავრეს საფუძველზე (სტ. 2679, შე-  
ნიშვნა 1. კრებული კანონთა ტ. XI ნაწ.  
I). სახელწოდება „პირველი ხარისხის  
კერძო სასწავლებელი“ შეცვლილია „სა-  
შუალო კერძო სასწავლებლად“, და სა-  
ხელწოდებანი-კი „კერძო სასწავლებლები“  
„მეორე“ და „მესამე“ ხარისხისა ახალის  
კანონით იწოდება „დაბალ კერძო სას-  
წავლებლად“. კერძო სასწავლებლებს,  
კლასებსა და კურსებს განაგებს მაღალსა  
და საშუალოს—ოლქის მზრუნველი — და  
ბალს სახალხო სკოლების დირექტორ-  
ინსპექტორები. კერძო სასწავლებლების,  
კლასებისა და კურსების გახსნის უფლება  
ეძლევათ ერობებს, ქალაქებს, წოდებებს,  
მრევლს, აგრეთვე კერძო საზოგადოებას,  
ამხანაგობას, ყოველგვარ კერძო დაწესე-  
ბულებათ და აგრეთვე ორივე სქესის კერ-  
ძო პირებს, 25 წელზე არა ნაკლებს,  
რომელიც რუსის ქვეშევრდომებათ არიან.  
კერძო სასწავლებლები, კლასები და კურ-  
სები შეიძლება საზოგადო განათლებისა  
იყვნეს, ან სპეციალური, პროფესიონალუ-

რი. კერძო სასწავლებელი იყოფება სამ  
ხარისხად: დაბალი, რომლის სასწავლო  
პროგრამის მოცულობა არ აღემატება მა-  
ღალ დასაწყისის ან სახელოსნო სკოლე-  
ბისას; საშუალო, რომლის პროგრამა  
მთავრობის საშუალო სასწავლებლებზე  
მეტი არ იქნება და მაღალი. კერძო სას-  
წავლებლები, კლასები და კურსები, რომ-  
ლებიც მოწყობილი იქნებიან დაბალ სას-  
წავლებლის მასწავლებელთა მოსამაზადებ-  
ლად, ეკუთვნიან საშუალო ხარისხის სას-  
წავლებლებს. სასწავლებლები, კლასები  
და კურსები შეიძლება გაიხსნას როგორც  
ცალკე ვაჟთათვის, აგრეთვე ერთადაც  
კაცებისა და ქალებისათვის; ქალ-ვაჟთა  
ერთად სწავლების ნებას საშუალო სასწავ-  
ლებლებში იძლევა მზრუნველი, უმაღლესა-  
ში-კი—მინისტრი. ენის არჩევა, რომელ-  
ზედაც სწავლება უნდა სწარმოებდეს სკო-  
ლის დამარსებელის საქმეა იმ პირობით  
კი, რომ რუსული ენა და სიტყვიერება,  
რუსული ისტორია და გეოგრაფია სახელმ-  
წიფო ენაზედ უნდა ისწავლებოდეს; იმ  
სასწავლებლებში-კი, რომელიც ერობები-  
სა და ქალაქების მიერ არის დაარსებული  
და ისინიც ხარჯსა სწევენ, ყველა ზოგად-  
განათლების საგნები, გარდა საღვთო სჯუ-  
ლისა სხვა სარწმუნოების ერთათვის, დე-  
დაენისა, და ახალი ენებისა, უნდა სახელმ-  
წიფო ენაზე ისწავლებოდეს. სასწავლო  
საგნების არჩევა და პროგრამების შედეგე-  
ნა სკოლების დამარსებელის უფლებას

შეადგენენ, მხოლოდ დაცული უნდა იქნას შემდეგი წესი: საშუალო და დაბალ ზოგად-განათლების სკოლებში უნდა ისწავლებოდეს საღვთო სჯული მართლმადიდებელი იქნება თუ სხვა სარწმუნოებისა; საშუალო და დაბალ ზოგად-განათლების სკოლებში, აგრეთვე სპეციალს და პროფესიონალურ სკოლებშიაც, საღაც ზოგად-განათლების საგნებსაც სწავლობენ, რუსული ენაც ისწავლება; ზოგად-განათლების სკოლებში, საშუალოსა და დაბალში, რომლის პროგრამაც დასაწყისის სკოლის პროგრამის ნაკლები არ არის, ისწავლება რუსული ისტორია, გეოგრაფია და რუსული სიტყვიერება. ზოგად-განათლების საგნების სწავლების დროს იხმარება მხოლოდ მოწონებული სახელმძღვანელოები და ხელსაწყობები. იმ პირთა შორის, ვისაც არ ეძღვევა სკოლის გახსნის უფლება, მოხსენებულია ის პირნი, ვინც სამართალში ყოფილან და პირადი და ქონებრივი უფლება აყრილია, თუ ისინი სასამართლოს მიერ გამართლებულნი არ არიან. მაღალი სასწავლებლები, კლასები და კურსები მინისტრის ნებართვით იხსნება, საშუალო-მზრუნველის მიერ და დაბალი—მაზრის ან ქალაქის სასწავლებელთა სათათბიროს მიერ დამაარსებელს, რომელსაც თხოვნა შეუტანია კერძო სასწავლებლის, კლასების და კურსების გახსნის თაობაზე თხოვნის მიცემის დღიდან, ორი თვის შემდეგ დაბალისა და სამი თვის შემდეგ საშუალოისა და მაღალისა, თუ ამ დროს განმავლობაში უარი არ მიიღო, ნება აქვს გახსნას სასწავლებელი, კლასები და კურსები და იმავე დღეს აცნობოს ეს სასწავლო მთავრობასა და აღილობრივს პო-

ლიციას. დამაარსებელი ირჩევს გამგეს, მასწავლებლებს და სხვა მოსამსახურე პირებს და მიუშვებს მათ მოვალეობათა აღსასრულებლად და ამას, არა უგვიანეს შვილი დღისა, აცნობებს მზრუნველს ან სამაზრო და ქალაქის სასწავლო სათათბიროს, მასთანვე წარუდგენს დამამტკიცებელ საბუთებს, რომ არჩეული და თანამდებობისადმი აღმასრულებთად მიშვებულთ პირი კანონიერი უფლება აქვთ. გამგენი და მასწავლებელი ისეთივე უფლებით უნდა იყვნენ აღჭურებილნი, როგორც დამაარსებელნი. თუ ვინიცობაა რაიმე საყურადღებო უწესოება აღმოჩნდა სწავლა-აღზრდისა თუ ზნეობის შერით, ან თუ სკოლის დამაარსებელნი არ ასრულებენ კანონის წესებს, კერძო სასწავლებლები, კლასები და კურსები დაიკეტება: მაღალი-მინისტრების მიერ, საშუალო-მზრუნველის მიერ და დაბალი-სასწავლო სათათბიროსაგან. მასწავლებლები, თუ მოისურვებენ იმ უფლებათა და წარჩინებათა მოპოვებას, რაც მთავრობის სასწავლებლის მასწავლებელთა აქვთ, უნდა მივიღნენ გამოსაცდელად ან მთავრობის სასწავლებელში, ან გამომცდელ კომიტეტში სასწავლო ოლქში, ან ცალკე კომისიაში. კერძო საშუალო სასწავლებლებს, რომელნიც სწავლის დაყენებით უახლოვდება მთავრობის სასწავლებლებს, მინისტრის ნებართვით შეუძლიათ შეიძინონ შესაფერი წოდება მთავრობის სასწავლებლისა. ერობებს, ქალაქებს, სოფლის საზოგადოებას და სხვა საზოგადო დაწესებულებებს, აგრეთვე წოდებათა და მრევლს ნება აქვთ კერძო სასწავლებლებს, კლასებს და კურსებს შემწეობა აღმოუჩინონ.—

# უცხლები

როგორ ზომებს ხმარობენ შვეიცარიაში მცირე-წლოვან ბავშვთა  
დანაშაულის შესამცირებლად  
(თარგმანი)

**ქ**ევერციარის რამდენიმე ქალაქში მიიღეს აქტიური ზომები, რომ შეცირებული უოფი-ლიურ მცირე-წლოვანთა დანაშაულითა. ამისა-თვის მათ გახსნეს განსაკუთრებული კლასები, სადაც იკრიბებიან ისეთი ბავშვები, რომელთა მშენებლებსაც შეძლება არა აქვთ თვალი ადეჭ-ნონ თავითნთ ბავშვებს.

უკეთაზე ენერგიულად ამ მხრით მუშაობას ქ. ბაზელი, რომლის ბავშვებსაც უოფაქცევაში დიდი წარჩინება ემჩნევათ და დამნაშავე ბავშვთა რიცხვი ძლიერ მცირე 130,000 მცხოვ-რებიან ქალაქში.

ეს კლასები არის მოწყობილი ქალაქის მიერ, რომელიც ნიშნავს სელმდგანელებს (ეხ-ლა ასზედ მეტია), აძლევენ საჭირო მასალას სამაცადინოდ, სათამაშოდ და იქვე ასუზიშებუნ ქალაქის სარჯზედ. შეცადინება გრძელდება დილის 8 საათიდან სადამის 6 საათამდე. მიზანი ამ კლასებისა—შეკრიბონ ბავშვები და მისცენ მათ საშუალება გაერთონ სხვა და სხვა შეშაბითა და თამაშობით. მაგ., მათ ასწავ-ლიან კერვას, ქსოვას, გალიბას და სხვ. აძ-ლევენ აგრეთვე გარეთ თამაშობის ნებას; ზაფხულში ცურვას ასწავლიან, მიჰუავთ ექს-კურსიაზე ფეხით, ზამთარშიკ. მართვენ დროს შესატერ სათამაშების, როგორც მაგალითად ცურვას ციგით და სხვ.

თვითეულს კლასში არის არა უმეტეს 35 ბავშვისა.

1910 წელს 2000-ზე მეტი ბავშვი და დიოდა.

საბავშვო სათამაშო მოედნების საზოგადოებაც ჭმართავდა 1910 წელს თამაშების, რო-მელშიდაც ჭდებულობდნენ მონაწილეობას

8586 ბავშვი, მათ ჭუავდათ 110 სელმდგა-ნელი. ამ საქმისათვის ქალაქში გადასძვა 1200 მან. არის კიდევ საზოგადოება, რომე-ლიც სადამობით კრებაზე ათასამდე ბავშვის, სადაც ისინი მხარულად ატარებენ დროს, მღერიან, აჩვენებენ მათ ჯადოს ფარინით სხვა და სხვა სურათებს და სხვ. თუმცა ეს საზო-გადოება აქნამდისაც მოქმედებდა, მაგრამ მას მიზნად ან ჭქონია დაუფარა უმაწველები ქუჩის მაგნებელი გავლენისაგან; ეხლა-ქი ამ საზო-გადოებას ზემოდ მოხსენებული მიზანი აქვს დასახული და ამ ნიადაგზედ მუშაობს.

ქალაქში მრავალი საბავშვო ბაზარი, სადაც დაიარება 4000 ბავშვებზე შეტი.

არის კიდევ სადამოს სელ-საქმის კურსები, სადაც დაარება 1600 მოწაფე, რომლებიც იჩენენ დიდს ბეჭითობას, უურადებებას და წარჩინებული უოფაქცევას.

რამდენიმე ამ საზოგადოებათაგანი არ ახა-ლია-ძელია. ერთმა მათგანმა დიდისანი არ არის იდლესასწავლა თავის არსებობის 25 წლის იუბილე. ამ საზოგადოებას აქვს მიზნათ დასახული დაიცროს ბავშვები ქუჩის გამათასი-რეალელი გავლენისაგან და ჭკრების მათ საღამოს 5 საათიდგან 7 საათამდის 5—7-ჯერ კვირა-ში. ბავშვები თამაშებენ, მღერიან და სხვ., მაგრამ მათ უმფრო იტაცების ზღაპრები, რო-მელსაც მმართველი კერძებისა სადამობით უამბობს ხოლმე. წარსული წლის ზამთარში 24000 მეტი ბავშვი ისმენდა ზღაპრების.

აი როგორ ზომებს ღებულობს ბაზელის საზოგადოება, რომ შეამციროს მცირე-წლო-ვანთა დანაშაული.

# პასუხად ბ-ნ „ერთ მშობელთაგანს“

**მოწყალეო ხელმწიფევ, ქართულ პე-  
დაგოგიურ უურნალ „განათლების“ მე-  
ექვსე ნომერში, თქვენ, თავის ლია წე-  
რილში აკეთის საზოგადოების მასწავლებ-  
ლების მიმართ, უპირველესად მისენიერთ  
მე და სრულიად უმიზეზოდ და დაუმსა-  
ხურებლად არა საკადრისი სიტყვებით  
მამკობთ და ცილს მწამებთ, რომ ვითომეც,  
მეც სხვა აკეთის საზოგადოების მასწავ-  
ლებლებთან ერთად მეღალატნოს შეზო-  
ბელ სოფლის მასწავლებლებისადმი მიცე-  
მულ სიტყვისათვის, არ მევლოს სამოს-  
წავლო მთავრობის მიერ ნაჩვენები გზით,  
მეთავხელოს და ისედაც კუდ შეკვეცილ  
სასწავლო გეგმისათვის კიდევ კუდი შემე-  
კვეცოს და პირველი წლის მეორე ნახე-  
ვარში, ნაცვლად ლექსიკური განყოფი-  
ლებისა, რუსული წერა-კითხვა დამეწყე-  
ბინებინოს და „ლაპა“, „Пила“ მეძახე-  
ბინოს და სხვა. ყველა ამას, ვითომეც და  
ჩემს მოქმედებას, მოწყალეო ხელმწიფევ,  
თქვენი აზრით, აწერთ პედაგოგიურ სი-  
ბეცეს, სრულ მოუმზადებლობას, უკულ-  
მართ გზაზე მდგარ „პედაგოგობას“ და  
დაბოლოს ბრალს მდებთ და მიხსით,  
რომ ვითომეც მეც სხვებთან ერთად ვსჯი-  
ჯნილე შეუბრალებლად თავისი ტლანქი  
ფეხებით ჩემდამი მობარებულ ნორჩ თაო-  
ბას, უფსკრულში ვყრიდე ამ, მშობლის,  
უკანასკნელ იმედებს და ამავე დროს, მათ  
მშობლებს, პირში ვუცინოდე და მათი  
შეუგნებლობით ვსარგებლობდე. ამრიგად,  
ერთი კალმის მოსპით, ბ-ნო „ერთო მშო-  
ბელთაგანო“, მიწასთან ასწორებთ ჩემს  
პიროვნებას და ჩემს საზოგადო საქმისად-**

მი ერთგულებას ჩირქს სკხებთ, მიუხედა-  
ვად იმისა, რომ მე ჩემი 6—7 წლის მას-  
წავლებლობაში არავითარი მაგის მსგავსი  
არ დამიმსახურებია და რამდენადაც შეძ-  
ლება შემწევდა და ცოდნა-განვითარება  
ხელს მიწყობდა, მეც, სხვებთან ერთად,  
ვსცდილობდი არ გადამეტვია შეგნებულ  
მასწავლებლთა მიერ ნაჩვენები გზისაკენ,  
არ გავმხდარიყვავი, მართლაც, ნორჩი  
თაობის მტრჯველ-დამძაბუნებელი და  
ხელს ვუწყობდი, როგორც ჩემდამო რწმუ-  
ნებულ სკოლაში სწავლის საქმის კარგ  
ნიდაგზე დაყენებას, ისე სხვა და სხვა  
სასოფლო კულტურულ დაწესებულებათა  
აღორძინება-განახლებას. ჯერ კიდევ სა-  
ნამ ასეთს რთულს და პასუხსაგებ მოვა-  
ლეობას მოვკიდებდი ხელს, როგორიც  
არის მასწავლებლობა, მე ღოთმად მწამდა  
ერთი პედაგოგის აზრი, რომ „უვარების  
მასწავლებელს ათას წილად უჯობს თავი  
ჩამოიღრჩოს, ვინემ თვითონ გახდეს ნორ-  
ჩი თაობის ჯალათიო“ და მეც მთელი  
ჩემი ძალლონით ვსცდილობდი გონების  
განვითარებით იქნებოდა თუ ერთგული  
და მუყაითი ბეცადინებით შეგნებულ  
მასწავლებლთა შორის უკანასკნელი არ  
დავრჩენილიყვავი.

დღიდან ჩემი მასწავლებლად გახდომი-  
სა, მე მხოლოდ სამს სხვა და სხვა წლებ-  
ში მქონდა შემთხვევა მესწავლებინა პირ-  
ველ განყოფილებისათვის და საქმე მქო-  
ნებოდა ისეთ სუსტ და ნორჩ არსებებთან,  
როგორიც არიან 7—8 წლის სოფლის  
ბავშვები, დანარჩენ დროს ვასწავლიდი  
უმთავრესად უფროს განყოფილებებში,

და ამ ხნის განმავლობაში ერთხელაც არ მომსვლია აზრად, როდესმე მეღალატნოს ან მეზობელ სოფლის მასწავლებლებისათვის მიცემულ სიტყვისათვის ან შეგნებულ მასწავლებელთა მიერ აჩჩეულ სასუწავლო გეგმისათვის, პირიქით შეძლებისა და განვითარების დაგვარად ვიცავდი და ცხოვრებაში ვატარებდი არამც თუ ებლა, არამედ, როგორც თქვენ ბ-ნო „ერთა მშობელთაგანო“ ბრძანებთ არც თვით გასპარიანცის დროს არ ყოფილა შემთხვევა, რომ მე ან ჩემს თანა მოსამსახურე მასწავლებელთაგანს გადაეხვიოს ხსენებულ სასწავლო გეგმისაგან და პირველი განყოფილების მოსწავლეთათვის პირველი წლის მეორე ნახევარში დაწყებინებინოს რუსულ წერა-კითხვას, რასაც ვასწავლიდით მეორე წლის პირველ ნახევარიდან, ხოლო პირველი წლის მეორე ნახევარში ვასწავლიდით „ლექსიკურ“ განყოფილებას, რაც, როგორც სამოსწავლო მთავრობის მიერ, ისე ყველა მასწავლებელთა უმრავლესობისაგან მოწონებულია და მიღებული. ამის დასამტკიცებელი საბუთები ჩენი სკოლის ისტორიაში ბევრი მოიპოვება და თუ თქვენ ბ-ნო „მშობელთაგანო“ ისურვებთ მე მზათ ვარ წარმოგიდგინოთ.

რაც შეეხება გასულ წელს, რომ ბ-ნო „მშობელთაგანო“ ერთი გენებებიათ და თავისთან თავის შობილის ინტერესების დაცვის გულისათვის, თუნდაც ერთხელ ჩვენს სკოლაში მობრძანებულიყავით, არ აჰყოლოდით ან, შეიძლება, პირადი ინტერესების გამო გამოწვეულ ონებს, ან საზოგადო ცილის წამებას, დარწმუნდებოდით, რომ თქვენი უმორჩილესი მონამაწ. მიხ. სიხარულიდე ასწავლიდა მეოთხე განყოფილებაში და არა პირველში, მაშასადამე, არც თქვენ, „ქადა“, „ქადა“

ექნებოდა იქ ალაგი და თუმც ეს ასეც არ იყოს მე, როგორც სკოლის გამგეს, შემიძლია ეს ბრალდებაც თავზე ვიდო და პასუხი ვაგო ჩემი თანამოსამსახურე მასწავლებლის მიხ. სიმონიშვილის მაგიერ, რომელიც გასულ წელს ამეცადინებდა პირველ წლიანებს და შემიძლია დაგიმტკიცით, რომ სახალხო სკოლების დირექტორის მიერ შედგენილი გაკვეთილების ნუსხის მიხედვით სასწავლო გეგმა სავსებით დაცული იყო და პირველ წლიან ბავშვებს შეგნებით და საფუძვლიანად ესმოდათ მხოლოდ „ლექსიკური“ განყოფილება და არავითარი „ლაპა“, „ლიბა“ არ უკითხებიათ. ამის დასამტკიცებელი საბუთებიც ბევრი მოგვეპოვება თუ, რომ თქვენი სურვილი იქნება, მოწყალეო ხელმწიფევი!..

მე არაფერი შემიძლია ვსთქვა სხვა მასწავლებლებზედ, რომელნიც მოხსენებულია თქვენ ლია წერილში, მაგრამ დიდათ მიკვირს, თუ რამ გაიძულათ ასეთ შეცდომაში შეყვანა პატიცუმული „განათლების“ რედაქტია, ან მკითხველი საზოგადოება ჩემს შესახებ, ნუ თუ, მიუხედავად იმისა რომ უურნალ-გაზეთებში არა ერთხელ აღნიშნული და დაგმობილი იყო, თქვენ მაინც ვერ შეიგენით, რომ ვისიმე უბრალოდ და უდანაშაულოდ ცილის წამება და პიროვნების გათელვა დაგმობილი და გაკიცხულია.

დასასრულ თქვენ აღნიშნავთ, რომ ვითომც კარგად გვიცნობდეთ და რომელიმე ქართულ გაზეთის საშუალებით პასუხს გვთხოვთ. სხვა მასწავლებლებს აკეთის საზოგადოებისას შეიძლება კარგად იცნობდეთ, მაგრამ არა მგონი რომ თქვენ უმორჩილეს მონას მ. სიხარულიდეს იცნობდეთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, კრილოვის ძვალ-რბილის მყლაპავ მგელსავით

არ მოიქცეოდით და მტკუან-მართალს ერთმანეთში არ აგვსორიდით. რაც შეეხება პასუხს მე დიდი ხანია მზათა ვარ მოგაწოდოთ ყოველგვარი განმარტება თქვენ საზიტლვრ ცილის წამებაზე და დაგიმტკიც ცო ჩემი და ჩემდამო რწმუნებული სკოლის მასწავლებლების უდანაშაულობა

თქვენ მიერ წამოყენებულ ბრალდებაში, მაგრამ, რომ მკითხველ საზოგადოებას თავი არ მოვაძეზროთ უმჯობესი იქნება სამედიატორო სასამართლო, რასაც არც თქვენ გაეჭირეთ.

განს თო-კლასიანი სკოლის გამგე-მასწ.

მის. სიხარულიძე.



## ბიბლიოგრაფია

არითმეტიყული ამოცანებისა და რიცხვითი სავარჯიშოების კრებული ბირველ დაწყებითი სკოლებისათვის. შეღვენილი ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლის მასწავლებლთა ერთი ჯგუფის მიერ. ფასი შეიღი შაური. ქუთაისი. 1914 წელი.

ქუთაისის ქართული გიმნაზიის მასწავლებელთა ერთს ჯგუფს დიდი მხნეობა ეტუჟია, ეს ჯგუფი, სხვათა შორის, სკოლებში სახმარ სახელმძღვანელო წიგნების შედგენასა და ბეჭდების განაგრძობის, და უნდა მოგახსენოთ, ამ შერით ქების მეტი არა გვეთვმის რა.

ეს სახელმძღვანელო წიგნიც, რომლის სათავრიც ზემოთ ამოვწერეთ, ამ ჯგუფის საერთო შორის ნაეფთვია. იგი სხვა ამისთანა წიგნებში იშით განირჩევა, რომ დასურათებულია. ჰირველ-დაწეუბითი არითმეტიკის სახელმძღვანელო წიგნის დასურათება, უფრო ჯვანებში სახმარებლად პარა ბავშვებისათვის, ბევრგან შემოდებულია, ამ სახელმძღვანელოთი პატარა ბავშვები ერთობიან და სურათებზე თვლასაც სწავლობენ. სთავა სკოლის ასაკის ბავშვები იმდენი გამოცდილება, აქვს შეძენილი ცხოვრებიდან, რომ მან უკვე იცის, როგორც

საგნების თვეზა, აგრეთვე მათი შეერებაც ათის ფარგალში მაინც, ასე რომ  $2+2=4$ , ამას სკოლაში ახლად მიბარებული ბავშვი უფეხურვის გეტუგისთ უსურათოდაც. მართალია სერათი და თვალსაჩინო საგნები ძლიერ შეეღიან დასტამებას და ამიტომ თვალსაჩინობაც ერთი საუკეთესო მეთოდია სწავლებისა, მაგრამ იგი მაინც სრული არ არის, რადგანაც სურათი თუ საგნი მხსოლოდ გარებან გრძნობებს აღმრავს და მშენებელი საგნისა პასიურის როლის ასრულებს მხსოლოდ. აწინდელი ექსპერიმენტარული იქისხლობისაც საგნისა და მოგონის იგი მოითხოვს. იგი მოითხოვს აქტიურს თვალსაჩინობას, რომლისთვისაც გარებან გრძნობის აღმრავასთან საჭიროა „კუნთების გრძნობაც“, მოწაფის მოქმედება. მოწაფე გაეგეთილს კარგად იხსომება, როდა ეს გაეგეთილი დასურათებულია, მაგრამ ის, რაც-კი მოწაფეს თავისთავად გაუკეთებია, მისი საკუთრება, უგელა ეს მოელის სიღრადით აღიბეჭდება და სამუდამოდ რჩება ბავშვის გონებაში. ამიტომ თვალსაჩინობა და ბავშვის თვითმოქმედება ერთმანეთისაგან განუშორებული უნდა იყოს. სწავლედ ასეთის თვალსაჩინობით სწავლობს ბავშვი ცხოვრებში ანგარიშსაც და

სკოლაში შესვლის დროს მან უკვე იცის თვალაც და ცოტაადენი ანგარიშიც იმ ფარგლებში, რაც მის გონიერას შეეფერება. ამის ტომ დასაწყისს არითმეტიყვაში სურათებით, თუმცა ზედმეტი არ არის, მაგრამ აუცილებელს საჭიროებას არ შეადგენს, რადგანაც ეველა ცოდნა და რიცხვებზე თხით მოქმედება, თავდაპირველად სკოლაში, გიდრე ბავშვები წერა-კითხვას შეისწავლიდნენ, სხვა და სხვა თვალსაჩინა საგნების საშუალებითა და ბავშვების აქტიური მოქმედებით უნდა სწაომოებდეს. მაშასადმე იმ დროს, როცა შეიძლება ბავშვს არითმეტიყვას წიგნი მისცე ხელში, მას უკვე სისტემატიურად მტკაცედ აქვს შესწავლილი თხით მოქმედება ათის ფარგალში, რაც ცხოვრებში უსისტემოდ ჰქონდა შექნილი. ამ შემთხვევაში კრებულში მოქცეული სურათები იმ დროს გასართობ რასმე თუ წარმოადგენს, თორებ სხვა ბევრს არაფერს. ამ სურათებით სელმძღვანელობა სკოლაში თავის დროზე ბავშვს არ შეეძლია.

ამ სახელმძღვანელო წიგნში დაწეუბითი არითმეტიყვას შესასწავლად ასამდის სავარჯიშოები ასეა დაუთვილი: პირველ სავეხურს შეადგენს თხით მოქმედების შესწავლა 1—10-მდის, მერქანს — 10—20-მდის, შესმენს — 20—100-მდის ჯერ ოცეულ-ათეულებით და შემდეგ უდეველგვარ რიცხვებით.

ასეთი სისტემა აქვს თითქმის ეგველა ავტორებს, ვისაც დასაწყისი არითმეტიყვას სასელმძღვანელო შეუდგენია, მაგრამ რადგანაც ქართული მრიცხველობა უფრო ოცეულია, გიდრე ათეული, როგორც სხვა ერებს აქვს და ეს კარემობა ქართველ ბავშვს ანგარიშის დროს ავერტებს, საჭირო იყო ცალკე სავარჯიშო ათეულებზედაც. ასეთი სავარჯიშოების მიცემა თავისეფლად შეიძლება პირველი ათეულის შესწავლის შემდეგ.

უდეველი საფეხური სავარჯიშოებისა შეიცავს ამოცანებს, რიცხვითი მაგალითებს და სწრაფი

ანგარიშის სარჯიშებს. ბევრ ამოცანას სათაურად აქვს მაგ. 3-ზე, 4-ზე, 5-ზე, 6-ზე და სხ. ეს იმას ნიშნავს, რომ ბავშვმა ამოცანაში ნაჩვენები რიცხვი ამ რიცხვებზე უნდა გაამრავლოს. ასეთი წესი ბავშვს თავისუფალ აზროვნობას უჩინობს, მან უკვე იცის, ნაკარნას უევი აქვს — რომელი რიცხვი რაზე უნდა გაამრავლოს და ეს კი შედაგორიური შეცდომაა.

ეს წიგნი აუტორების მიერ დანიშნულია სახალხო სკოლებისათვის. ამ მხრით-კი ჩვენის აზრით წიგნი ვერ აქმაუთვილებს იმ დანიშნულებას, რასაც სახალხო სკოლების პრაგრამა მოითხოვს. საქმე ის არის, რომ ამ ჟამად სახალხო სკოლებში მოითხოვენ, რომ ბავშვს თრი წლის განმავლობაში წარმოდგენა ჰქონდეს სახელწილებულ რიცხვებზედაც, მარტივ ნაწევრებზედაც და ადგილობრივი ზომები და საწყალები ხომ უსათუოდ უნდა იცადნენ. ამათ შესახებ ამ სახელმძღვანელოში თითქმის არაურია, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ზოგიერთს მცირელდენ ცნობებს, ამოცანებში მოქცეულს.

ავტორები ცდილობენ ზოგიერთ ამოცანების ტიპებად დალაგებას და წიგნის ბოლოში სუთითდე ტიპის ამოცანა მოუთავსებიათ, თან დათანხობა ერთი ტიპიდან შეორებულ გადასვლისა დაცულია, შეხლოდ ამოცანების რიცხვი მცირეს.

ბევრგან ამოცანების ტექსტშიაც შეუწინარებელი შეცდომებია, — მაგ. № 614. „ძალას წინა ფეხებზე თხი-თხი (?) თითო აქვს, უკანაზე სამ-სამი (?) ამძლენი თითო აქვს ძალას თხითვე (თუ თხისავე) ფეხზე?“ დღემდის ზოთლობიაში ცნობილი იყო, რომ საზოგადოთ ძალას წინა ფეხებზე სუთ-ხუთი თითო აქვს და უკანაზე თხი-თხი, მაგრამ ამ იმერულ ძალაებს რადა დაუმართათ, რამ გადაშენა ისე, რომ ამ მხრითაც გამონაკლის შეადგენენ!!

რაც შეეხება სახელმძღვანელოს ენას, სტილ-

სა და ქართულს მართლწერას, ამაზე დაპარაკები შეის წაგვიყვანს, ვიტევით მხოლოდ, რომ არც ერთი სახელმძღვანელო წიგნი სახლში ასაღები არ არის, თუ იგი ენის მხრით შეცდომებითაა აღსავსე, თუ იგი წმინდა ქართული დამტერატერის ენით დაწერილი არ არის. სახელმძღვანელო წიგნი ურნალ-გაზეთი არ არის, სადაც უგელას შეუძლია ისე სწერის, როგორცა სურს, თუმცა შესაწყისარებელი არც ეს არის. ასთ შე, რასაკვირველია, უგელებან განდევნილია ამ წიგნში. არ შევხებით არც აღილაბრივ პროცენტიალზექმნს, რაც წიგნში აურებელია, ვიტევით მხოლოდ, რომ „ხუთი სხალი (თუ მსხალი) ასხა“, „ხუთზე გაურთა“ და „რეგისისაგან გააკეთა“ ქართული არ არის.

წიგნში მრავალი წერილმანი შეცდომაც არის, მაგრამ იმის ჩამოთვლას აქ არ შევუდგებით. იმდენა წიგნის შემდგენლები შემდეგ გამოცემაში უფრო გულდასმით შეასწორებენ უგელა ნაკლს და ისე დაბეჭდებენ.

წიგნი სუთთა ქადალდზეა დაბეჭდილი, გამოცემაც გარეგნულის მხრით კარგი და ფასიც უედოდ შეიძიო შეური ძვირი არ არის, თუმცა უედოდ სახელმწილვანელო წიგნი ხელსაყრელი არ არის შეიღვისათვის.

— —

სამხატვრო და სამეცნიერო კრებული. ცხოვრება და მეცნიერება. ქართველ სტუდენტთა კრებული. პროფ. მელიქიშვილის სურათით და 45 ნახატით.

№ 1.

წევნის წინ დევს საკმაოდ მთზრდილი და სერიოზულად შედგენილი სამეცნიერო კრებული, რომელშიაც თავმოყრილია სამეცნიერო საშრომი ქართველ სტუდენტებისა. ბეჭერს სასიამოვნო იმედს აღუძრავს შეითხველს ეს კრებული. ერთი რომ ქართველი სტუდენტი, ნაწილი მაინც, ჰქონდრობენ მეცნიერების დამ-

გვიდრებაზე შშობლიურის ენით, რაც საუკესო მომავალს უქადის ერს და შეორე ეს ნაშრომი ნამდგილი სამაგალითოა იმ სტუდენტთა თვის, რომელიც ღრთს ფუქსისაგარად ატარებენ და არ ეჩვევიან სტუდენტთა მიევ მეცნიერულს შრომას. სამშობლო ქვეუნის სასარგებლოდ. ადესის სტუდენტების მუშაობა სწორედ სამაგალითოა სხვა ქადაგების სტუდენტებისათვის. ამ კრებულის გამოცემა ეკუთვნის მარტო ადესის ქართველ სტუდენტთა და უნდა ვსთვავთ ამ პატარა წრეს დიდი შრომა გაუწევია ამ სერიოზული კრებულის შედგენა-გამოცემაში. როგორც სჩანს წინასიტევათილიან, რომელიც სარედაქციო კომისიას ეკუთვნის, ეს გამოცემა პირველი და უკანასკნელი არ იქნება. რისთვისაც გუსტურებთ ადესელ სტუდენტების მხერების და საზოგადოების თანაკრძნობას.

კრებული იწყება ადესის უნივერსიტეტის პრივატო-დოცენტის ს. აკადემიანის წერილით: „დროებით ვალდებულ გლეხთა განთავისუფლება საქართველოში“. როგორც ვიცით — პრივაცემულს ავტორს ამ საკითხის შესახებ რესულადაც უწერა და სერიოზული ნაშრომიც აქვს. შემდეგ მიჰყევება სტუდენტების განხორციელების შეიარაღების მთხოვრება: გრ. ვეშაპელის — „არჩილ ჯორჯაძის ფილისოფიური შეხედულებაზი“, ტ. ტაბაძის — „პანშეიდი“, ქრისტ. რაჭელის — „პატარა საუბარი“ (ხელოვნება), სტ. ე. ეგნატაშვილის „განებარძენი“, სტ. სისი ასლანიშვილის — „ძევლი საქართველო: სამცხე-სათაბაგო“. სტ. გ. უფაიანი — „გახეთის ბუნება“, კანდ. — „მხრივარი და მკათხველი ქართულ პოზიციიში“, მის. ცეცხლაძე — „ადამიანის სქესთანივი ცხავრება“, ს. ნ. უიზშიძე — „საუბარი ტექნიკის შენობისა და ფუნქციების შესახებ“. ნ. ს. კახაძის და სტ. შ. ქათარაძე — „უჯრედი და ქსოვილი“, ადამიანის ახატშიძის. შესავალი და ბიბლიოგრაფიები. ეს უკანასკნელი წერი-

და მშენებელი იქნება, ოცნებული ნაწილი ქართული ასტომის სახელმძღვანელოდ.

საზოგადოთ უნდა გათქვათ, ომში მეტის-მეტად საჭიროა ჩვენს დროში ქართულად უფლებარ მეცნიერების გადმოწერგვას ხელი შეუწის უკეთა. ოცნებული მკითხველი ამ კრებულისა დაინახავს ჩვენს სტუდენტებს ერთ-ერთ უნარი შრომისა და ცოდნის შექნისა. თუ საზოგადოება ამ ნაშრომს და ჩვენი სტუდენტების ამ გვარ მუშაობას თანაგრძნობით არ მოეკიდა, არ გაამზნევა და არ წააქეშა, დიდი დანაშაულობა იქნება საზოგადოების მსართ.

სიამოგნებით უნდა ადგნიშნოთ ისიც, ომში ამ კრებულში მონაწილე სტუდენტების უმრავლესობა დაიძინა შვილია ქართულის გიმნაზიისა, ომშემდგრად უფლებარ გადაგვარებულ ქართველს უნსუროვოდ მიჩნია.

კრებულს წინ უძლების სურათი დამსახურებული პროფესორის ჰერი მელიქიშვილისა. რასაც გირგელია თავისი მასწავლებლის პატივისცემა ქართველს არ ეძრახვის, მაგრამ პატივცემულ პროფესორს, ოცნებულ ქართველ მეცნიერს ქართველ მეცნიერებისათვის არა გაუკეთება რა, ეს უკეთა ქარგად იცის. ჩვენ არა გმირობის ისეთი ქართველი მეცნიერი, ომშემდგრად თავისი სამშობლო ქვეყნისათვის ის მეცნიერებიდან, რასაც ის ემსახურება არა შეუწინდნა რა. ამისთანა მეცნიერი რამდენადაც ფრიად სახელმძღვანი იუსტიციი, გვაგრა-

ნებს ისეთს პირუტყვს, რომელიც გულამი-შვილის თქმისა არ იყოს, სხვების ჯორებს უპეტებს და თავისთვის მუტრუპსაც-არ გერა.

**ანაბიოზი**—სტ. პ. ქავთარაძისა. ბიბლიოთეკა „ცხოვრება და მეცნიერებისა“, აღსრის ქართველ სტუდენტთა გამოცემა № 1 ფასი ორი შაური.

ამ პატარა წიგნაკეში ასწილია საკითხი ანაბიოზის შესახებ, რომელიც ამ უამად იქცის მეცნიერთა უკრადღებას. ქართველი მკითხველი ამ წიგნაკიდან გაიგებს ანაბიოზის შესახებ არა მარტო აწინდელ მეცნიერთა შეხედულობას, არამედ იმ ზღაპრულ თქმულებებსაც, თითქოს ადამიანს შეეძლოს თავის ნებით საკუთარი სიცოცხლე შეაჩეროს. სჩანს ბან ქავთარაძეს საკითხი ანაბიოზის შესახებ სერიოზულად შეუსწავლია და ამ თავის ცოდნას აწვდის ქართველ მკითხველებს, რომელთაც ამ პატარა წიგნაკით შეუძლიათ გაიცნონ სასწაულებრივი გამოგებელების აწინდელის მეცნიერისა და განსაკითრებით ცდანი პროცესის, ასე მეტი და განსაკითრების არა გაუკეთება რა, ეს უკეთა გარგად იცის. ჩვენ არა გმირობის ისეთი ქართველი მეცნიერი, ომშემდგრად თავისი სამშობლო ქვეყნისათვის ის მეცნიერებიდან, რასაც ის ემსახურება არა შეუწინდნა რა. ამისთანა მეცნიერი რამდენადაც ფრიად სახელმძღვანი იუსტიციი, გვაგრა-

რედაქტორ-გამომცემელი  
ლ. გ. ბოცვაძე.

# ცნობები

ქ. მ. წერა-კითხვის გამავრცელება.  
საზოგადოებრივი მოქმედებისას.

ქ. მ. წ. კ. გამაფრცელებელი საზოგადოების სკოლებისა და  
ბიბლიოთების მეთვალყურის, გრ. ბურჯულაძის

## მოხსენებანი

წ. კ. საზ. სკოლების შესახებ:

### 5. გერგეთის სკოლა.

ამ წლის 31 იანვარს კავკავის განყოფილების თავმჯდომარის ამხა-  
ნაგმა ი. გ. შვილიაშვილმა და მე დავათვალიერეთ გერგეთის სკოლა. სკოლას აქვს  
საკუთარი სახლი, რომელიც სამი ოთახისაგან შესდგება. ერთში მოთავსებულია  
კლასი, მეორე უფრო მოდიდო მოწყობილია წარმოდგენებისათვის, მესამეში ბინა  
აქვს მასწავლებელს. საკლასო ოთახი დასამთავრებელია: კედლები ნახევრად შესა-  
ლესია, თავანი იატაკი შესაკეთებელია, კარები და სარკმელების ჩარჩოები შესალე-  
ბი, გერგეთის სკოლა მოუწყობელია: პარტები არ უვარევა, ხელსაწყო ნივთები  
თვალსაჩინო სწავლებისათვის სრულებით არა აქვს, აგრეთვე შპაფი, რიგიანი მაგი-  
და და სკამები.

გერგეთის სკოლაში სამი განყოფილებაა 36 ბავშით; ამათში 10 ქალია, 26  
ვაჟი პირველ განყოფილებაში—15 მოწაფეა, მეორეში—14, მესამეში—7. ენკენის-  
თვიდან იქნება მეოთხე განყოფილებაც. იქ მასწავლებლობს ისიდორე ტატიშვილი;  
ის მახლობელ სოფლიდან არის და თავის დედამითა და დებით სკოლის შენობა-  
ში სცხოვრობს. ბ-ნ ტატიშვილს სიმღერა-გალობა კარგად სკოდნია, დანარჩენ  
საგნებში კი მოისუსტებს. იგი მშრომელი და ბეჯითი ყმაწვილია და, როგორც  
მცირე ხნის დაკვირვებიდან სჩანდა, სიყვარული და პატივისცემა უნდა ჰქონდეს  
ხალხში დამსახურნბული.

### 31 იანვარს გავლილი პქონდათ:

#### პირველ განუთვილებაში:

ისტორიიდან: ქვეყნის შექმნა, სამოთხე, შეცოდება და მაცხოვრის მოლოდინი, ღვთის მშობლის დაბადება, ტაძრად მიყვანა, ხარება, მაცხოვრის დაბადება და ნათლის ღება. გარდა ამისა ლოცვები: სახელითა მამისათა, ლოცვა იესო ქრისტესადმი და სამების ლოცვა.

ქართულში გათავებული პქონდათ დედა-ენის პირველი ნაწილი, მეორეზე ჯერ არ გადასულიყვნენ.

ანგარიშში—ოთხი მოქმედება ოცის ფარგალში.

#### შეორე განუთვილებაში:

ქართულში: დედა-ენის მეორე ნაწილი 150 გვერდამდი თავის სასაუბროებით.

ანგარიშში: მიმატება, გამოკლება და გამრავლება ასის ფარგალში. ზომები გაუვლია, მაგრამ ბავშვებს ნამდვილი წარმოდგენა არა აქვთ იმათ შესახებ.

რუსულში: რუსკოე სლოვოს პირველი ნაწილი ცალკე საგნების აღწერამდი—გვერდი 61.

სალეთო სჯულში: მეორე და მესამე განყოფილებაში ერთნაირი მასალაა გავლილი: მოკლე საუბარი ქვეყნის შექმნაზე და აღამ და ევას ცხოვრებაზე სამოთხეში, მცნება უფლისა, პირველ აღამიანების შეცოდება და იმათი დასჯა, აღამის შვილები ნოე და წარლვნა ქვეყნისა, აბრაამი და იაკობი, იოსები და იმისი ძმები, მოსე წინასწარმეტყველი, მეფე დავითი, ილია წინასწარმეტყველი, მაცხოვრის მოლოდინი და ღვთის მშობლის დაბადება.

#### შესამე განუთვილებაში:

ქართულში—„ბუნების კარიდან“ რამდენიმე მოთხრობა და ლექსები.

ანგარიშში—შეერთება და გამოკლება ათასის ფარგალში.

რუსულში—გაუმეორებიათ „რუსკოე სლოვოს“ პირველი ნაწილი და მეორე ნაწილიდან გაუვლიათ 18 გვერდამდი.

წერითი სავარჯიშოები ასე თუ ისე შეეფერება სანიმუშო პროგრამის მოთხოვნილებას, მაგრამ უსუფთაოდ და ულაზათოდ არიან შესრულებულნი.

ბავშვები კლასში წყნარად სხედან, თავი ზრდილობიანად უჭირავთ, ყველა ჩემს კითხვაზე დალაგებულ პასუხს იძლეოდენ, მაგრამ საზოგადოდ განვითარება აკლიათ და კითხვის პროცესი შეთვისებაში ძლიერ კოჭლობენ, გამოთქმაც მოხეური აქვთ. გალობა-სიმღერით კი თავი ისახელეს.

რომ სწავლა-აღზრდის საქმე რიგიანად სწარმოებდეს და სკოლა თავის მიზანს

ემსახურებოდეს, აუცილებლად საჭიროა ამ წლის პირველ ენკენისთვიდან გერგე-თის სკოლაში დაინიშნოს მეორე მასწავლებელი; მას უნდა მიენდოს სკოლის გამგებლობა და ყოველივე სასკოლო საქმის ხელმძღვანელობა. ახლანდელ საკლა-სო საქმის ხელმძღვანელობა. ახლანდელ საკლასო ოთახში დარჩება ორი განყო-ფილება, ორიც მოთავსდება წარმოდგენების გასამართავად დამზადებულ ოთახში. მეორე მასწავლებლისთვის ბინას სოფელი ააშენებს წ.-კ. საზოგადოების დახმარე-ბით; საჭიროა ახლანდელი საკლასო ოთახის დასამთავრებლად გადაიდოს 150 მა-ნეთი. მეორე მასწავლებლებისთვის ბინას ასაგებად 200 მანეთი, როგორც დახმა-რება 15 ახალი პარტის გასაკეთებლად 150 მანეთი. ხელსაწყო ნივთების შკაფის, მაგიდის და მასწავლებლისთვის სკამების ჟესაძენად არა ნაკლებ ათი თუმნისა; სულ საჭირო იქნება სკოლის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად 600 მანეთი ერთ დრო-ულად; ენკენისთვიდან მეორე მასწავლებლის ჯამაგირი კიდევ სხვაა; უფროს მას-წავლებელს უნდა დაენიშნოს ჯამაგირი არა ნაკლებ ოთხის თუმნისა თვეში.

ეს საკითხი ეხლავე უნდა გადასწყდეს, რომ ამ თავითვე შეუდგეთ საქმეს.

18 თებერვალს. 1914 წ.



## 6. საგურამოს სკოლა.

როგორც წინეთაც მომიხსენებია გამგეობისათვის, საგურამოს სკოლა ძლიერ უხერხულს მდგომარეობაშია. სკოლა მოთავსებულია ილიასეულ სახლში, რომე-ლიც ორი ვერსით დაშორებულია სოფელ გურამიანთკარს და გზაც სულ ორლო-ბით მიღის სკოლაში უმეტესად ქალები დადიან, რომლებსაც ძლიერ ეძნელებათ სოფლიდან სკოლაში მოსვლა. ბავშვებს ეშინიათ ორლობები მარტოკა გავლა: ერთად მოიყრიან თავს და ისე წიმოვლენ ხოლმე კლასში. კლასიდან დაბრუნე-ბის დროსაც ასე იქცევიან. ყოფილა ისეთი შემთხვევა, რომ ბავშვი კლასში ავად გამხდარა, მასწავლებელს სახლში დაუთხოვია; ბავშვი არ მიღიოდა. მხოლოდ მას-წავლებლის სიტყვიერის ძალდატანების შემდეგ მოწაფე გასულა კარში, მაგრამ სახლში კი არ წასულა თურმე, არამედ ჩამჯდარა ხის ძირას და იქ უტირია გაკვეთილის გათა-ვებამდის. რა მიზეზია რომ ბავშვები ასე იქცევიან? თურმე ეშინიათ ბიჭების, დაუხვ-დებიან გოგოებს და შეურაცყოფას იყენებენ. ეს გარემოება აფრთხობს ბავშვებს და სკოლის საქმესაც აფერხებს. გარდა ამისა რაღვან ილიასეული მამული მთლად იჯა-რით არის გაცემული, სკოლას არ რჩება პატარა ნაჭერი მიწაცაკი თავის საჭიროე-ბისათვის. ამისათვის სკოლა განიცდის დიდს შევიწროებას. ამიტომ თუ გვინდა სწავლა-აღზრდის საქმე ქარგად მიღიოდეს და სკოლამ შეგნება შეიტანოს იმ ბნელ ხალხში აუცილებლად საჭიროა იგი გადატანილ იქმნას სოფელში. კარგი იქნებო-

და შიგ სოფელში ყოფილიყო სკოლა, მაგრამ იქ არც სოფელს აქვს თავისუფალი მიწა, არც წ.-კ. საზოგადოებას. მხოლოდ სოფლის თავში, ახალ სოფლის მხარეს არის ერთი ნაჭერი მიწა სივრცით ერთი დესეტინა, შემოლობილი, ძველის შენობით. ეს საუკეთესო ადგილია სკოლისათვის და მახლობელ სოფლისთვისაც დასამხარი. ადგილი ესე ეკუთვნის ვს. დ. სტაროსელსკის.

უმორჩილესად ვთხოვ გამგეობას. სთხოვოს, უს. დ. სტაროსელსკის, რომ მოხსენებული აჩუქოს მან წ.-კ. საზოგადოებას სკოლის საჭიროებისათვის, და როცა საჩუქრად მივიღებთ, იქ აშენდეს საგურამოს სკოლისათვის სახლი.

ამ საქმის გარემოება კარგად იცის გამგეობის წევრმა ა. თ. ყიფშიძემ. ვითხოვ საქმის დაჩქარებას.

11 მარტი. 1914 წ.



## 7. ნალჩიკის სკოლა.

თანახმად სასკოლო სექციის დადგენილებისა, 1 ოებერვალს ვიყავი ნალჩიკში და ვინახულე იქაური ქართველობა. საქმის გარემოება ასეთია: ნალჩიკი არის სტანიცა, რომელიც ჩვენებურ სამაზრო ქალაქებს სჭარბობს, როგორც, ცხოვრება-თა რიცხვით, ისე დაწესებულებებით. აქ არის ნალჩიკის მაზრის ყველა სამაზრო დაწესებულება. სასამართლო, ხაზინა, ფოსტის კანტორა, რეალური სასწავლებელი, ორი ორკლასიანი სასწავლებელი და სამრევლო სკოლა.

ნალჩიკში სახლობენ რუსები, ყაბარდოელები და ოსები, რომელთაც ამ რამდენიმე წლის წინად შეხიზნებია რაჭიდან მამულის სივიწროვის გამო გადმოსახლებული 10 კომლი. ახლა ნალჩიკში და მისს მიღამოებში ბინადრობს 47 კომლამდე ქართველი, ამათში 32 კომლი თვით ნალჩიკშია საკუთარის სახლ-კარის მქონე. საბენიიროდ ჯერ-ჯერობით ესენი არ გადაგვარებულან, მტკიცედ ინახავენ თავის ენას და ზნე-ჩვეულებას; რძლათაც ქართველი ქალები მოჰყავთ: ნალჩიკის ქართველები ურთიერთ შორის, რასაკვირველია, ქართულად ლაპარაკობენ, ბავშვებმა რუსული სრულებით არ იციან, რადგან ჯერ-ჯერობით რუსის ბავშვებს ვერ ეგუებიან. დღეს სასკოლო ასაკის (8—11 წლამდი) 50 ბავშვია.

თითოეული კომლი ვალდებულია ადგილობრივი სკოლების სასარგებლოდ გადაიხადოს ხუთ მანეთამდი წელიწადში, ამ ფულს ხმის ამოულებლად ახდევინებენ ყველას, ეროვნების გაურჩევლად. სამაგიეროდ სკოლაც ვალდებულია ბავშვი მიიღოს და ასწავლოს. ამით სარგებლობენ რუსები და იმათი ბავშვებით გაჭედილია კლასები; ქართველი ბავშვები კი რჩებიან სკოლის გარეშე, რადგან ზოგი იმათგანი უკან გამოუბრუნებიათ სკოლიდან — „უნიჭოა ვერ სწავლობსო“, ან „ჩვენი არაფერი გაეგება და კლასში გვიშლისო“ ზოგიც თვით მშობელს, ამ გარე-

მოების გაშო დაშინებულს, არ შიყავს სკოლაში. საქმის გარემოება ისეთია, რომ ნალჩიკის ქართველობა დროთა განმავლობაში გადაგვარდებიან და ისე დაიკარგებიან ქართველობისთვის, როგორც ეს მოუვადათ მოზღოვაში და ყიზლიარში ძველად გადასახლებულ ქართველებს, თუ ახლავე არ ჩაიდგა იქ ეროვნების შემნახველი საძირკველი და არ გაიბა დაშორებულ ძმებთან შემაკავშირებული ძაფი. ამნაირ ეროვნულ ფუძეთ ადგილობრივ ქართველობას მიაჩნია ქართული სკოლა, და არცა სტყუიან. სწორედ ეროვნულ ნიადაგზე დამყარებული ქართული სკოლა შეუნახავს ეროვნულ სულს და ელფერს; სწორედ ქართული სკოლა შეადუდებს შეაკავშირებს გადახვეწილ ქართველებს დანარჩენ ქართველებთან. ამ სკოლისათვის ისინი კიდევ ემზადებიან: გაუწერიათ კომლზე ფული, შეუგროვებიათ უკვე 220 მანეთი, შეუძნიათ წემთხვევით ორი საკლასო დაფა და 6 კარტა და დიდათ მოწალინებულნი არიან, რომ ეს საშვილიშვილო საქმე სისრულეში მოიყვანონ. ისინი აძლევენ სკოლას ბინას კლასებისა და მასწავლებლისთვის, შეშას, ნავთს და მოსამსახურეს და კისრულობენ სკოლის ყოველივე მოწყობილობის შესაძენად ხარჯს. პირველ მოწყობისათვის, როგორც გამოვიანგარიშეთ, საჭიროა არა ნაკლებ 600 მანეთისა, ხოლო ყოველ წლიურად 700 მანეთამდის.

შემდეგში, როცა მოლონიერდებიან, სურთ საკუთარი შენობის აგება სკოლისათვის, სკოლის კარის ეკლესიის და მასთან საკუთარის ქართულის სამრევლოს დაარსება.

ნალჩიკის ქართველობა სთხოვს ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობას დაუარსოს ნალჩიკში ქართული სკოლა და სკოლის შესანახად გადასდოს მხოლოდ მასწავლებლის ჯამაგირი, დანარჩენ ხარჯს, როგორც მოვიხსენიე, თითონ კისრულობენ.

თხოულობენ აგრეთვე, რომ სკოლა გაიხსნას რომელიმე ქართველი დიდებული მწერლის და საზოგადო მოღვაწის სახელზე. იმათ იმედი აქვთ, რომ წ.-კ. საზოგადოების გამგეობა მათ თხოვნა მუდარის ლუურადღებოდ არ დასტოვებს.

სულით და გულით უერთდები რა ნალჩიკელ ქართველთა თხოვნას და მისწრაფებას, მოვახსენებ გამგეობას, რომ აუცილებელ საჭიროებად მიმაჩნია ნალჩიკში ქართული სკოლის დაარსება. სკოლა დაარსდეს ილია ჭავჭავაძის სახელზე. ამისთვის აღდგენილ იქნას ილიას სახელობის განმანათლებელი ფონდი, რომლიდან 9000 მანეთია ნახესხები სამუზეუმო ადგილის შესაძენად. ამ თანხის სარგებელი საკმარისი იქნება ნალჩიკის სკოლის შესანახად. რადგან ნალჩიკში საგრძნობელი სიძვირეა ყველა საგნებისა, ამიტომ ნალჩიკის ქართული სკოლის მასწავლებელს უნდა დაეწიშნოს ჯამაგირი-არა ნაკლებ 50 მანეთისა თვეში.

18 თებერვალს. 1914 წ.



## 8. ურომის სკოლა.

ურომის სკოლა სიღნაღის მაზრაშია, ლაგოდეხთან ახლო დავათვალიერე ამ წლის აპრილის 25 და 26-ს. ამ სკოლამ დაიწყო მოქმედება 1913 წლის 18 ოქტომბერის სოფლებ ურომისა და კავშირისთვის, რომლებიც ერთმანეთზე არიან გადაბმულები.

ურომის 120 კომლი მცხოვრებია, კავშირში 40. მახლობელი სოფლები სულ რუსებით არის დასახლებული.

ორივე სოფელში 150 ბავშვებ მეტი იქნება სასკოლო ასაკისა. სკოლაში ახლა არის 63 მოწაფე—30 ქალი და 33 ვაჟი. ენკენისთვეში მეტი ყოფილა. გაზაფხულიდან თურმე, თითქმის ყოველ დღე აკლდება გაკეთილებს—5—8 მოწაფე რადგან სოფლის მეველე არ ყავს და საქონელს ბავშვები მწყემსამენ.

კლასში 25 ორ ადგილიანი პატრაა 63 ბავშვისთვის. საკლასო ოთახი სიგრძით 12 ალაბია, სიგანით 7. მასწავლებლისთვის არის კიდევ ორი ოთახი სამზარეულოთი. შენობა არ შეეფერება საკლასო მოთხოვნილებას; იგი აგებულია სოფლის კანცელარიისათვის, ხოლო სკოლა დროებით არის მოთავსებული. სოფელი დაპირებულია ააშენოს სკოლისათვის საკუთარი სახლი, სკოლის მოთხოვნილების დამაკმაყოფილებელი. იმისთვის ადგილი მზად არის უკვე, შეუა სოფელში. სკოლაში არის 3 ჯგუფი მოსწავლეთა. პირველ ჯგუფში, რომელმაც ენკენისთვიდან დაიწყო სწავლა არის 15 მოწაფე. მეორე და მესამე ჯგუფმა სწავლა დაიწყო 18 ოქტომბერვალს, მეორე ჯგუფში სწავლობს 42 მოწაფე; მესამე ჯგუფი შესდგა ლაგოდებში ნასწავლი ბავშვებისაგან, აქ 7 მოწაფეა.

სკოლაში ყველა საგნებს ასწავლის მასწავლებელი იოსებ ჩხატარაშვილი, კაცი მეტად მხნე, პატიოსანი და ერთგული ამსრულებელი თავის მოვალეობისა. რადგან დილით ვერ ასწრებს სამივე ჯგუფთან მეცადინეობას, იგი, როგორც სოფლებმა გადმომცეს, ხშირად საღამოობითაც ასწავლის.

ის ბალშიაც მუშაობს თითონ და ბავშვებსაც ამუშავებს, ასწავლის, თუ როგორ უნდა ხეხილს მოვლა, ასწავლის მყნობას. მან კარგად იცის აბრეშუმის მოყვანა, ამიტომ ბ-ნ ჩხატარაშვილს გამოუთხოვია მთავრობის სანერგეში ფურცლის ნერგები და სკოლის ბალის გარშემო ჩაუმწკრივებია. ასე რომ მომავალ წელს შესაძლებელი იქნება სკოლისთან აბრეშუმის ჭიის მოყვანა და ამ დარგის ცოდნის გავრცელება სოფელ ურომისში. მასწავლებელს ჩხატარაშვილს სიყვარული და პატივისცემა აქვს დამსახურებული სოფელში.

გარდა ამისა მასწავლებლის ცოლი ხელსაქმეს ასწავლის მოწაფე ქალებს უფასოდ. 26 აპრილს გაელილი ჰქონდა:

### ჰირველ ჯგუფში:

ქართულში „დედა-ენა“ პირ. ნაწილი, ხოლო მეორე ნაწილიდან უ გვერდამდი თავის სასაუბროებით.

სამღვთო სჯულში—ათ-თორმეტი დღესასწაულები, ძლიერ მოკლედ.

### მეორე ჯგუფში:

ქართულში—„დედა-ენა“ მეორე ნაწილი, 86 გვერდამდი, სასაუბროებით.

ანგარიშში—ოთხი მოქმედება ყველანაირ რიცხვზე ოცის ფარგალში და ათეულებზე ასის ფარგალში.

საღვთო სჯულში—ქვეყნის შექმნა, ადამისა და ევის ცხოვრება სამოთხეში და მათი შეცოდება, ტაძრად მიყვანა, ხარება, შობა, ქრისტეს მირქმნა, ნათლის ღება.

### მესამე ჯგუფში:

ქართულში—„დედა-ენა“, მეორე ნაწილი 158 გვერდამდე, თავის სასაუბროებით.

ანგარიშში—ზეპირი და წერითი ნუმერაცია ათასამდის; ოთხი მოქმედება ყოველნაირ რიცხვზე ასის ფარგალში და ათეულობით და ასეულობით ათასის ფარგალში, ზომები წონისა, სიგრძისა, ქაღალდისა და ღროსი.

რუსულში—გაუთავებიათ „რუსკოე სლოვოს“ პირველი ნაწილი.—

საღვთო სჯულში—ათ-თორმეტი დღესასწაულები ვრცლათ.

გადავშინჯე რვეულები ყველა ჯგუფისა; შედარებით ყველა კარგად სწერს ქართულად.

საწერი სავარჯიშოებიც სხვა და სხვა ნაირია: წიგნიდან გადმოწერა, ზეპირად დაწერა, კარნახი და საპასუხოები. პირველი ორი ჯგუფი სწერს პირველ ნომერზე. ვურჩიე მასწავლებელს, რომ დაუყოვნებლივ გადავიდეს მეორე ნომერზე.

საანგარიშო სავარჯიშოებს არ ეტყობა თან და თანობა, განსაკუთრებით პირველ განყოფილებაში. აქ ზედიზედ და რიგზე ციფრები და ცალ-ცალკე რიცხვებია ნაწერი, რაც დიდ აქტიური მოთხოვნილების წინააღმდეგია. ცალკე აღებულს რიცხვს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს და არც არსებობს იგი ცხოვრებაში. ამიტომ რიცხვის ხმარება და შესწავლა უსათუოდ მოქმედებაზე უნდა იყოს დამყარებული, რადგან მოქმედებას სიცოცხლე შეაქვს ვარჯიშობაში და აზრს აძლევს ნამუშევარს.

გამოვკითხე ბავშვებს გავლილი სასწავლო მასალა, კარგად და შეგნებულიდ მიპასუხეს. წავაკითხე უცნობი სტატიები. კითხვის პროცესი საკმაოდ აქვთ შე-

თვისებული. მხოლოდ საზოგადოთ განვითარება მაინც და მაინც არ ეტყობათ ბავშვებს.

პირველსა და მეორე ჯგუფ შეუა ძალიან დიდი განსხვავება არ არის. აშიტომ მე ვურჩიე მასწავლებელს, რაც შეიძლება მეტი იმეცადინოს. სადილის შემდეგ პირველ ჯგუფთან, რომ პირველი ჯგუფი, უფრო დაუახლოვდეს მეორეს და შემდეგ შესაძლებელი გახდეს იმათი შეერთება.

შრომის სკოლა ჯერ კიდევ მოუწყობელია. აკლია სურათები და სხვა ხელ-საწყო ნივთები თვალსაჩინო სწავლებისათვის.

შრომის სკოლასთან არის ხეხილის ბალი. ზომით ორ დესეტინამდე. აქ დარგულია ერთ მხარეზე 300-მდე ნამყენი, მსხალი და ვაშლი. პირველი ნაყოფი შარშან მოუკია.

### შრომის სკოლის საჭიროებანი:

1) ამ წლის ენკენისთვიდან მიემატება მესამე განყოფილება. მსურველი პირველ განყოფილებაში შესვლისა იქნება არა ნაკლებ, ორმოცდა ათისა. მაში აუცილებლად საჭიროა მეორე მასწავლებელი, ბინას შეშას და მსახურს სოფლელები გაიღებენ; ხოლო მასწავლებლის ჯამაგირი წ.-კ. საზოგადოებამ უნდა იკისროს.

2) შრომის სკოლასთან გაიხსნას სამეურნეო განყოფილება, სადაც უნდა ისწავლებოდეს ხეხილის მოვლა მოშენება, თამბაქოს მოყვანა, მევენახეობა, მეფუტკრეობა და მეაბრეშუმეობა.

როგორც ზევით მოვიხსენიე, სკოლასთან ეხლაც არის ორი დესეტინა მიწა, რომელიც სკოლის საჭიროებისათვის აქვს სოფელს გადადებული. გარდა ამისა ზოგიერთა ძლიერ მოწადინებულნი არიან რომ იქ, სამეურნეო განყოფილება გაიხსნას და მზად არიან შემოწირულება გაიღონ. ოლონდ სამეურნეო განყოფილება გაიხსნას და „მამულს მე შემოგწირავთო“, უთქვემს მასწავლებლისათვის ერთ შეძლებულს უშეილო გლეხს, დიანოსა მჭედლიშვილს, რომელსაც 40 დესეტინამდე საკუთარი მამული აქვს. სამეურნეო განყოფილებისათვის საკმარისი იქნება მოწვეულ იქნას სამეურნეო სკოლაში კურს დამთავრებული და პრაქტიკულად მომზადებული ყმაწვილი კაცი, რომელიც პრაქტიკულად შეასწავლის ბავშვებს და მოზრდილებს მოხსენებულს დარგებს მეურნეობისას.

მე დარწმუნებული ვარ ქართული სამეურნეო საზოგადოებაც დაგვეხმარება ამ საქმეში.

3) შემოლებულ იქმნას ხელსაქმის სწავლება მოსწავლე ქალთათვის. მასწავლებელს ჯამაგირი მიეცეს თვეში თუმანი, ხოლო მასალის სასყიდლად გადაიღოს წელიწადში 30 მანეთი.

დაბოლოს უნდა მოვახსენო გამგეობას, რომ შრომის სკოლის მასწავლებელი ბანი ჩხატარაიშვილი ღირსია მადლობისა მეტად მუჟაითი და ნაყოფიერი შრომი-

სათვის. ამასთანავე ვითხოვ მიეცეს მას ერთ დროულ დახმარებად ერთი თვის ჯა-  
მაგირი. ეს საზოგადოებას ბევრად არ დააკლდება, ხოლო მასწავლებელს კი გაა-  
ხნევებს.

21 მაის 1914 წ.

### 9. გომარეთის სკოლა.

ამ წლის 23 და 24 თებერვალს თავათვალიერე გომარეთის სკოლა. სკოლაში  
ორი განყოფილებაა და სწავლობს 48 ბავშვი: 20 ქალი და 28 ვაჟი.

პირველ განყოფილებაში 27 მოწაფეა; მეორეში—16, 5 ბავშვი შეადგენს  
მოანბანეთა ჯგუფს. ეს უკანასკნელები იანვარში არიან მიღებულნი.

ყველა საგნებს (საღვთო სჯულსაც) ასწავლის მასწავლებელი ლავრენტი ძი-  
ძიგური.

23 თებერვალს გავლილი პერნდათ.

#### პირველ განუთვილებაში:

ქართულში: — „დედა-ენა“ პირველი ნაწილი ბოლომდის.

ანგარიშში: — ოთხი მოქმედება ოცის ფარგალში.

საღვთო სჯულში: — პატარა ლოცვები და ძლიერ მოკლედ შემდგენ მოთხრო-  
ბები: დაბადება ლვთის-შობლისა, ტაძრად მიყვანება, ხარება და შობა ქრისტესი.

#### მეორე განუთვილებაში:

ქართულში: — „დედა-ენა“, მეორე ნაწილი, 150 გვერდამდი სასაუბროების  
გამოკლებით.

ანგარიშში: — ოთხი მოქმედება ასის ფარგალში შესაფერის და ტიპიურის ამო-  
ცანებით.

რუსულში: — „რუსკონ სლოვო“-ს, სურათების შესახებ მოთხრობებამდი.

საღვთო სჯულში: — ძველი ოლტემა, იოსელიანის სახელმძღვანელოდან.

წერითი სავარჯიშოები საქმარისია და სხვა და სხვანაირი, თანახმად სანიმუშო  
პროგრამის მოთხოვნილებისა.

გომარეთის სკოლა სწავლა დაიწყო ლვინობისთვის გასულს. ამიტომ გავლი-  
ლი მასალა საკმარისად უნდა ჩაითვალოს. ლარვენტი ძიძიგური გამოუცდელი მას-  
წავლებელია და ამით აისწერა ის გარემოება, რომ მას სასაუბროები არ გაუვლია  
და მხოლოდ ლექსებისა და მოთხრობების ახსნით დაკმაყოფილებულა. ეტყობა-კი  
რომ ბ-ნი ძიძიგური შრომობს, ცდილობს, რაიცა სწანს იქიდან, რომ გავლილი

მასალა ბავშვებს კარგად შეუთვისებიათ. გარკვეულად და სრულიად შეგნებულად მიპასუხეს მიცემულ კითხვაზე; კითხვის პროცესიც საქმარისად აქვთ შეთვისებული. მხოლოდ ბავშვების საზოგადო განვითარებისათვის ჯეროვანი ყურადღება არ მიუქ ცევია მასწავლებელს.

ამ წლის ენკენისთვიდან გომარეთის სკოლაში გაიხსნება მესამე განყოფილება და საჭირო იქნება მეორე მასწავლებელი, უფრო გამოცდილი ახლანდელზე და სიმღერა-გალობის მცირება. მაგრამ ახლანდელ პირობებში მესამე განყოფილების გახსნა და მეორე მასწავლებლის მოწვევა ყოვლად შეუძლებელია, რადგან, როგორც შარშან წინაც მოგახსენე გამგეობას, სკოლის შენობა შეუფერებელია: მას არ უვარგა ფანჯრები, იატაკი, კედლები და თავანი; ყოველ წლიურად მისი შეკეთება მიზანს ვერ აღწევს, ის მაინც უვარგისია და ამიტომ, ვამბობდი წინაც და ვიმეორებ. ახლაც, საჭიროა ახალი სახლი; სკოლის საჭიროებისთვის სპეციალურად აშენებული ახლანდელი საკლასო ოთახი მხოლოდ ორ განყოფილებას იტევს, მესამესთვის ადგილი აღარ არის.

ერთი სიტყვით, დღეს არა ხვალ სახლი უთუოდ უნდა აშენდეს გომარეთის სკოლისათვის, სოფლელები მოიტანენ ქვას, მოგვცემენ კირს და იკისრებენ დღიურ სამუშაოს; ხელოსნების ხელფასი და მასალის სყიდვა უნდა იკისროს წერას კითხვის საზოგადოებამ, რისთვისაც საჭირო იქნება არა უმეტეს ასის თუმნისა. რადგან სახლის დასრულება წელს ვერ მოესწრება, ამიტომ აღნიშნულ მიზნისათვის წელს უნდა გადაიდოს 500 ან 600 მანეთი.

ამ ემად კი სკოლისთვის აუცილებლად საჭიროა შეკუთხებისა და წიგნების შესანახად, მაგიდა და სამიოდე სკამი მასწავლებლისთვის, საკლასო დაფა (ახლანდელი უვარგისია), ქართული ქარტა, საანგარიშო, პარტებიც არ ვარგანან.

6 შარტს. 1914 წ.

—••••—

## 10. თელავის სკოლა.

თელავის სკოლა დავათვალიერე ამ წლის 2-სა და 3-ს მაისს. სკოლაში სწავლობს 87 მოწაფე, ამათში 38 ქალია. აქ სამი განყოფილებაა; პირველ განყოფილებაში 28 მოწაფეა, მეორეში—41, მესამეში—18. პირველ განყოფილებაში ყველა საგნებს ასწავლის ნინო მონადირაშვილი, მეორე და მესამე განყოფილებებში ნინო გოგნიაშვილი.

კლასებში დიდი სივიწროვეა, საკლასო ოთახები არ აკმაყოფილებენ გიგიენურ მოთხოვნილებას. ქ-ნ გოგნიაშვილს ბევრი მოწაფე ჰყავს (59 ბავშვი), და ორივე განყოფილებაში მაცადინობა ხელს უშლის სწავლის წესის ერთი გზით წაყვანას.

გავშინჯე რვეულები. საწერი საგარჯიშოები მრავალგვარია: პირველ განყოფილებაში—გადაწერა, ზეპირად დაწერა, სურათის აწერა და კითხვებზე პასუხი.

სამუშაო სუფდად არის შესრულებული, მხოლოდ შასწავლებლის ხელი ზოგ ადგილას არ ეტყობა, რვეულები ყოველ დღე არ გაუსწორებია.

მეორე და მესამე განყოფილებებში იმგვარივე სამუშაოები და კიდევ კარნახი და თავისუფალი წერა—თხზულება. მასწავლებელს შემოუღია ერთი საერთო რვეული, რომელშიც მოწაფეებს, მასწავლებლის ჩვენებით, შეაქვთ საუკეთესო თხზულებანი. სანიმუშოდ წამოვიდე, რამდენიმე ამნაირი თხზულება და ამასთანავე ვაღენ. ყველა სამუშაო თავის დროზეა გასწორებული.

სამუშაოები შინაარსის მხრით მშვენიერია და ფრიად საჭირო ბავშვის გონების განვითარებისთვის. მხოლოდ ხელი არ უვარეათ.

2 მაისს გავლილი ჰკონდათ:

### პირველ განუთვილებაში:

ქართულში—„დედა-ენა“ პირველი ნაწილი, და მეორე ნაწილიდან 64 გვერდამდი.

ანგარიშში—ოთხი მოქმედება ყოველნაირ რიცხვებზე ოცის ფარგალში და ათეულებზე და ოცეულებზე ასის ფარგალში.

ვათქმევინ ზეპირად გავლილი ლექსები, წავაკითხე: „ცრუ“, „მამალი და ქურდი“ და „კატო და კატა“, საშუალოდ კითხულობენ. სასაუბროებიდან კარგად მიპასუხეს.

ანგარიშში—ვკითხე მიმატება, გამოკლება და გაყოფა ოცის ფარგალში და ათეულებზე ასის ფარგალში. მასწავლებელმა მისცა გამოსაყვანად ერთი ამოცანა, რომელიც მშვენიერად იქმნა დამუშავებული. ეტყობა, ქ-ნ მონაღირაშვილს ანგარიშის სწავლება ძლიერ ეხერხება, განსაკუთრებით ამოცანის ახსნა და დამუშავება.

საღვთო სჯულში გაუვლიათ ათ-თორმეტი დღესასწაული მოკლედ. ვკითხე შობა ქრისტესი, ხუთი პურით ხუთი ათასი კაცის გაძლომა და წყლის ლვინოთ გარდაქმნა ქალაქ კანაში.

საზოგადოთ კარგს დაკვირვებულს პასუხს იძლეოდნენ. მაგრამ ერთმანეთს ძალიან უშლიან, არ არის კლასში დისკიპლინა, რაც აიხსნება იმით, რომ მასწავლებელი დიდ ყურადღებას აქცევს თავისუფალ აღზრდას და ნებას აძლევენ მოწაფეებს ისე მოიქცენ კლასში, როგორც სურთ.

### მეორე განუთვილებაში:

ქართულში—ათავებენ „დედა-ენას“ მეორე ნაწალს.

ანგარიშში—ასის ფარგალში მიმატება და გამოკლება, ხოლო გამრავლება და გავოფა იმავე ფარგალში ყველა რიცხვებზე, გარდა 6, 7 და 8.

სჩანს გამრავლებას და გაყოფას ერთსა და იმავე დროს გადის მასწავლებელი, რაც შეცდომად უნდა ჩაითვალოს, რაღაც ამ შემთხვევაში ირლვევა პედაგოგიურ-

დიდაქტიური პრინციპი: ადვილიდან ძნელზე გადასვლა, ნაცნობ შესწავლილზე უცნობის დამყარება. ცნობილია, რომ გაყოფა უველა მოქმედებაზე ძნელია; გამრავლება თუმცა ძნელია, მაგრამ იგი შეკრება-შეერთებაზეა დამყარებული და ამიტომ გაცილებით ადვილია გაყოფაზე.

რუსულში—ათავებენ „რუსკოე სლოვო“-ს, პირველ ნაწილს, წავაკითხე „დედა-ენაში“ ნაცნობი და უცნობი წერილები. კარგად კითხულობენ.

საღვრო სჯულიდან—გამოვკითხე ქვეყნის გაჩენა, ადამიანის შექმნა, ადამი და ევა სამოთხეში, ღვთის-მშობლის დაბადება, ხარება; ვათქმევინე ლოცვები, მამაო ჩვენო და თავის ანგელოზის ლოცვა. კარგად მიპასუხეს.

### შესამე განუდოიდებაში:

ქართულში—წაიკითხეს და გვიამბეს უცნობი მოთხრობა ლომოურისა „მოგონება“, სთქვეს ზეპირად აკაკის ლექსი „სიზმარი“, ახსნეს სიტყვები, გვითხრეს, ვინ იყო თამარი, ნინო, ქეთევან. მაგრამ ისტორიული ცნობანი ამ პირთა შესახებ არა აქვთ, რაც ნაკლად უნდა ჩაითვალოს. სთქვეს ზეპირად „დედის დარიგება“ ჭალადიდელისა და ახსნეს მისი დედა-აზრი; მთაცოლეს თავის სიტყვით ორიზიკაშვილის მოთხრობა „ფიტრი“ და გაარჩიეს მარტივი წინადადება.

ანგარიშში—გამოიყვანეს ტიპიური ამოცანა ნარევზე. ამოცანაში ოთხი მოქმედება იყო; ახსნეს მოქმედების შემადგენელი რიცხვები.

რუსულში—სთქვეს ზეპირად ლექსები: „Въ школѣ“ და „Голубная птичка“; წაიკითხეს უცნობი „Малышка съ пальчикъ“.

უველა კითხვებზე ბავშვებმა შეგნებული და სწორი პასუხი მოგვცეს, გავლილი მასალა ჩინებულად შეუთვისებიათ. ეტყობა, საზოგადო განვითარებისათვის მასწავლებელს ჯეროვანი უურადლება მიუქცევია. კითხვითაც კარგად კითხულობენ მოწაფენი, როგორც ქართულად, ისე რუსულად.

მშვენიერი აღმზრდელი უნდა იყოს მასწავლებელი ნინო გოგნიაშვილი. როგორც კარგად ნასწავლი და განვითარებული დედა თავის შვილებს, ისეთის სიყვარულით ექცევა მოწაფებს. ამ უკანასკნელებსაც, როგორც ეტყობათ, ძალიან უყვართ თავის აღმზრდელი დედა—მასწავლებელი. მაგრამ დისკიპლინა მაინც სუსტია კლასში. თუმცა მასწავლებელი უდისკიპლინობას ხსნის იმით, რომ მას ორი განცოფილება აბარია და ორივეში 59 ბავშვია, მაგრამ, ჩემის ღრმა რწმენით, ესეც თავისუფალი აღზრდის ბრალია. ვფიქრობ, თავისუფალი აღზრდა თელავის ქართულ სკოლაში გადაჭარბებულად ესმით, და ამიტომ არის, რომ ბავშვები ერთმანეთს უშლიან და კლასში წესიერებას არღვევენ.

## 11. წინარეხის სკოლა.

ამ წლის 11 მარტს ვიყავი წინარეხის სკოლაში. აქ მასწავლებლობს გამოც-  
დილი და ფრიად მხნე მასწავლებელი ი. გიუნაშვილი. ბ-ნი გიუნაშვილი ნოემბრის  
გასულს ავად გახდა და პირველ მარტამდი გორგი იწვა საექიმოდ. ცოტათი გა-  
მოკეთებული 2 მარტს დაბრუნდა წინარეხში. გზაში წვიმამ მოასწრო, ხელ-ახლა  
გამხდარიყო ავად და ჩემი მისელის დროს ძლივს იდგა ფეხზე ბავშვებთან მაცადი-  
ნეობა არ შეეძლო.

როგორც საკლასო ურნალიდან სჩანს, 1913 წლის 20 ნოემბერს წინარეხის  
სკოლაში ყოფილა 62 მოწაფე: 21 ვაჟი, 41 ქალი; პირველ განყოფილებაში 30  
მოწაფე, მეორეში—12, მესამეში—14, მეოთხეში—6.

სკოლაში აკლია საანგარიშო, შკაფი, სკამები, საათი, სურათები, არ უვარგა  
პარტები. საჭიროა 20 ახალი პარტის შეძენა მაინც.

საჭიროა წინარეხის სკოლაში ენკენისთვიდან მოწვეულ იქნას მეორე მასწავ-  
ლებელიც, რომ ორი განყოფილება ერთს ებაროს, ორიც მეორეს; თითოეულ  
მასწავლებელს ეყოლება არა ნაკლებ 40 მოწაფისა.

წინარეხის სკოლას საკუთარი შენობა აქვს, განსაკუთრებით სკოლისთვის აშე-  
ნებული წ.-კ. საზოგადოების ხარჯით. ამ შენობაში მხოლოდ ერთი საკლასო  
ოთახია. თუ გამგეობა გადასწყვეტს ენკენისთვიდან მეორე მასწავლებლის მოწვევას,  
მაშინ საჭირო იქნება ამ ზაფხულში არსებულ შენობას მივაშენოთ იმოდენივე სა-  
ხლი, რამოდენიც ეხლა არის.

მასწავლებელს გიუნაშვილს ისეთი პატივისცემა და სიყვარული აქვს დამსახუ-  
რებული სოფლელებისა, რომ დარწმუნებული ვარ, წინარეხის საზოგადოება დიდ  
დახმარებას აღმოუჩენს წ.-კ. საზოგადოებას სკოლის აშენებაში, თუ მასწავლებელ-  
მა მოინდომა. საჭირო იქნება წ.-კ. საზოგადოებამ გადასტოს ამ საქმისთვის არა  
ნაკლებ 600 მანეთისა.

სკოლას აქვს მოზრდილი ეზო. მასწავლებლის თხოვნით სოფლელებს სკოლის  
ეზო შემოულობნიათ. ეზო დაუბარინებია მასწავლებელს და დაურგავს თავის ფუ-  
ლით ნასყიდი ნამყენები. ჩემის აზრით ეს ხარჯი აუცილებლად უნდა აუნაზღაურ-  
დეს ბ-ნს გიუნაშვილს.

გარდა ამისა კარგი იქნება, თუ წ.-კ. საზოგადოება ფულით დაეხმარება თავის  
ავადმყოფ მასწავლებელს, რომელიც ცამეტი წელიწადია სინდისიერად და თავის  
დაუზოგველად მსახურებს წ.-კ. საზოგადოების სკოლაში.

13. მაისს. 1914 წ.



ხონის განუოფილების 1913 წლის ახგარიძი.

განყოფილება გაიხსნა ხონში 1909 წლის დასაწყისში; მაშასადამე იგი ხუთი წელიწადია, რაც არსებობს.

### გამგეობის შედგენილება:

საანგარიშო წლის 1 იანვრიდან 21 ივლისამდის მოქმედებდა ძველი გამგეობა, რომელიც შესდგებოდა შემდეგი პირებისაგან:

1. თავმჯდომარის ამხანაგი—ეკ. ვ. ბახთაძისა. 2. წევრნი: (ხაზინადარი) მ. ვ. ბახთაძე. 3. (მდივანი—ვ. მ. ნებულე). 4. ეფ. იაკ. ჭიჭინაძისა. 5. პ. ივ. ჩხიკვის შეილი. 6. ნაცვალნი: მ. დ. ჭელიძე. 7. ივ. ივ. ჭუთათელაძე. 8. ს. ს. ჩიქოვანი.

21 ივლისიდან საანგარიშო წლის ბოლომდის განაგებდა ახალი გამგეობა, რომელსაც შეადგენდეს შემდეგი პირები:

1. თავმჯდომარე—ალ. ბ. ჭიჭინაძე. 2. მისი ამხანაგი—ეკ. ვ. ბახთაძისა. 3. წევრნი: (ხაზინადარი)—მ. ვ. ბახთაძე. 4. (მდივანი)—მლ. ზ. ნადარეიშვილი. 5. ეფ. იაკ. ჭიჭინაძისა. 6. პ. ივ. ჩხიკვიშვილი. 7. ნაცვალი მ. დ. ჭელიძე.

საანგარიშო წლის 1 იანვრიდან 21 ივლისამდის გამგეობას პქონდა 11 სხდომა და გაარჩია 30 საქმე.

21 ივლისიდან წლის ბოლომდის კი—11 სხდომა და გაარჩია 39 საქმე.

### წლის განმავლობაში გამგეობის სხდომას დაესწრენ:

1. ეკ. ვ. ბახთაძისა . . .	11.	1. ალ. ბ. ჭიჭინაძე. . .	9
2. ეფ. იაკ. ჭიჭინაძისა . . .	7.	2. ეფ. ვ. ბახთაძისა . . .	11
3. პ. ი. ჩხიკვიშვილი . . .	8.	3. ეფ. იაკ. ჭიჭინაძისა . . .	—
4. მ. ვ. ბახთაძე . . .	11.	4. პ. ივ. ჩხიკვიშვილი . . .	5
5. ვ. მ. ნებულე . . .	10.	5. ვ. მ. ბახთაძე . . .	11
6. მ. დ. ჭელიძე (ნაცვალი) . . .	10.	6. ვ. ზ. ნადარეიშვილი . . .	11
7. ივ. ივ. ჭუთათელაძე (ნაცვალი) . . .	9.	7. მ. დ. ჭელიძე (ნაცვალი) . . .	11
8. ს. ს. ჩიქოვანი (ნაცვალი) . . .	10.	8. ივ. ივ. ჭუთათელაძე (ნაცვალი) . . .	2
		9. ს. ს. ჩიქოვანი (ნაცვალი) . . .	3
		10. ვ. მ. ნებულე . . .	1

სარევიზო კომისიის წევრებად 1913 წლის 21 ივლისამდის იყვნენ შემდეგი პირნი:

1. ალ. ს. ნიუარაძე, 2. ალ. თ. მაჭარაძე და 3. მ. ი. ქუთათელაძე.

1913 წლის 21 ივლისიდგან არიან: 1) ალ. თ. მაჭარაძე, 2) ემ. ი. ცაგარეიშვილი და 3) ან. დ. ბახთაძე.

## ხონის განყოფილების საზოგადო წლიური კრების ოქმი.

საანგარიშო წელს წლიური საზოგადო კრება მოხდა 21 ივნისს და განხილა შემდეგი საგნები:

1. განხილვა და დამტკიცება 1912 წლის ანგარიშისა,
2. განხილვა და დამტკიცება 1913 წლის ხარჯთ-აღრიცხვისა,
3. წიგნის მაღაზიის ლიკვიდაცია.
4. თეატრის საქმეების ჩამოცილება განყოფილებისანან,
5. გამგეობის თავმჯდომარის არჩევა,
6. გამგეობის ერთი წევრის არჩევა,
7. სარევიზიო კომისიის ორი წევრის არჩევა და
8. მიღება ახალ წევრთა.

(დასასრული იქნება)



## განცხადება

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამაცრცვლებელი საზოგადოება აცხადებს, რომ წელს, ნ. ღოლობერიძის სახელობის თანხის სარგებელდან დანიშნულია პრემიათ 300 განეთი.

1. პრემია მიეცემა იმას, ვინც დასწერს და წარმოადგენს საკონკურსოდ საუკეთესო თხზულებას შესახებ ქართული ენისა, ისტორიისა, გეოგრაფიის ეთნოგრაფიისა, ლიტერატურისა და საზოგადოდ თხზულებას საქართველოს შესახებ. ღოლობერიძის სახელობის პრემიის მისაღებად უპირატესობა ეძლევა ქართულ ენაზე დაწერილს თხზულებას. ხოლო საკონკურსოდ შეიძლება წარმოდგენილ იქმნას რუსულსა, ან რომელიმე ევროპიულ ენაზედაც.

2. თხზულებას ქართული ენის შესახებ შეიძლება საგნად ჰქონდეს: ა) ისტორიული გრამატიკა ქართული ენისა—ეთიმოლოგია ან სინტაქსი, ბ) შედარებითი გამოკვლევა ქართული ენის შტოებისა, გ) გამოკვლევა ქართულის ენის უცხო ენებთან შედარებით, დ) ქართული ენის შტოების შედარებითი ლექსიკონი, ე) ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი; ვ) უცხო ენებთან მონათესავე ქართული სიტყვების ლექსიკონი; ზ) უცხო ენათაგან შემოსული სიტყვების ლექსიკონი.

3. თხზულებას ქართული ისტორიის შესახებ შეიძლება საგნად ჰქონდეს: ა) პოლიტიკური ისტორია საქართველოს მთელი წირსული ცხოვრებისა ან რომლი-

სამე მის ეპოქისა; ბ) სოციალურკონომიური ისტორია, სრული ანუ რომელისამე ეპოქისა; გ) საეკლესიო და საზოგადოდ სარწმუნოების ისტორია, როგორც სრული, ისე რომელისამე ეპოქისა; დ) სამხედრო ისტორია; ე) იურისპრუდენცია, ვ) მითოლოგია.

4. თხზულებას ქართული მწერლობის შესახებ შეიძლება საგნად ჰქონდეს:

ა) ქართული მწერლობის სრული ან რომელისამე ეპოქის ისტორია, ბ) მწერლობის ერთ-ერთი დარგის სრული ან რომელისამე ეპოქის ისტორია, გ) რომლისამე ერთის ან რავდენისამე მწერლის ნაწარმოებთა სრული და ყოველ მხრივი შესწავლა და გამოკვლევა; დ) ქართული მწერლობის დამოკიდებულობა უცხო მწერლობაზე და უკანასკნელის გავლენა პირველზე, როგორც მთლად მთელის ქართულის მწერლობისა, ისე რომელისამე კერძო ეპოქისა; ე) სახალხო სიტყვიერების გამოკვლევა.

5. თხზულებას ქართული ეთნოგრაფიის შესახებ შეიძლება საგნად ჰქონდეს:

ა) ეთნოგრაფიული აღწერა ქართველი ერის რომელიმე ნაწილისა; ბ) შეგროვება და შესწავლა ან გამოყენება უკვე შეგროვილ მასალისა ქართული ენას სხვა და სხვა კილოკავებიდგან, ხალხურ სიტყვიერებიდგან, ცრუმორწმუნოებიდგან, ზნეჩვეულებიდგან, ფიზიკურ აგებულებიდგან და სხვა და სხვა დარგებიდგან ქართველი ერის რომელიმე ნაწილისა—გამოსარკვევად: ან ქართველი ერის რომელიმე შტოს ნათესაობრივი დამოკიდებულობისა დანარჩენ მის ნაწილებთან, 2) ან მთელი ქართველი ერის ნათესაობრივი ჩამომავლობისა სხვა ერთა შორის.

**შენიშვნა:** საქმარისია, თუ მკვლევარმა დაამუშავა მასალა მარტო ერთუერთ ზემოხსენებულ დარგიდგან და ეს მასალა გამოიკვლია ქართველი ერის მარტო ერთი რომელიმე ნაწილის შესახებ.

6. თხზულებას ქართული მუსიკის შესახებ შეიძლება საგნად ჰქონდეს: ა) გამოკვლევა წარმართდროინდელი ქართული მუსიკისა; ბ) გამოკვლევა ქრისტიანობის მიღების შემდეგ ქართული მუსიკისა; გ) გამოკვლევა იმისა, თუ რა გავლენა იქნია სხვა ერთა მუსიკაშ ქართულ ენაზე.

7. საკონკურსო თხზულება უნდა იქმნას წარმოდგენილი წერა-კითხვის საზოგადოების კანკურსარიაში 1-ლ იანვრამდე 1915 ჯლისა.

8. საკონკურსო თხზულება შეიძლება იყვეს ხელთნაწერიც და დაბეჭდილიც, მხოლოდ იმ პირობით, რომ დაბეჭდილი არ იყვეს 1911 წელზე იღრე გამოცემული.



უფლებულის საპოლიტიკო და სალიტერატურო განცემი

# „საქართველო“

(წელიწადი მეორე)

გაზეთი წლიურად ლირს 7 მან. ნახევარი წლით—4 მან. სამი თვეთ—2 მ. 50 კ.  
თვიურად თბილისში—4 აბაზი. თბილისს გარედ—90 კაპ. საზღვარ გარედ 14 მან.

## თათო ნოვერი მითი შაშრი

განცხადების ფასი ჩვეულებრივია

სოფლის მასწავლებლებს გაზეთი დაეთმობა 60 კ., მოსწავლე ახალგაზ-  
დობას კი 50 კაპეკიათ.

რედაქცია იმყოფება: ორბელიანის ქუჩა № 36.

ფულის გამოსაგზავნი მისამართი: თუფისი, იმედიანის ულ. № 36.

Georgio Grujorovici Beshkiašvili.

უფლებულის საპოლიტიკო და სალიტერატურო

# „საქართველო“

(წელიწადი პირველი)

უფლებულის გამოცემის გარდა გაზეთს ექნება კვირეულ

სურათებიანი და მატერიალი

დამატება გამოვა კვირაობით

გაზეთის ფასი დამატებითათ: წლით, ორგორც ქალაქში, ისე ქალაქ გარეთ ლირს  
8 მან. 50 კაპ., ნახევარი წლით—4 მან. 50 კაპ., ერთი თვეთ—75 კ.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური, დამატებითი ნომერი (კვირის) 7 კაპეკი.  
აღრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

განაწილება ფასისა: გამოწერის დროს 3., 1 მარტისთვის 2 მან., 1 მაისისთვის  
2 მან. და 1 ივნისისთვის 1 მან. 50 კაპ.

1914 წლის წლიური ხელის მომწერნი მიიღებუნ სამ წიგნს: 1) „ქართველი მწერლები“, 2) „უცხოეთის მწერლები“. 3) „სამეცნიერო კრებული“.

სამი აბაზი უნდა გადაიხადოს კიდევ იმ ხელის მომწერმა, რომელსაც ჭიშნის მიიღოს  
ფუნქციით სამი საპრემიაც წიგნი.

თიფლისი, რედაქცია „Сахалхი გაზეთი“.

გამოვა 1914 წ. საზოგადო უფლები

# ნაპარალი

(წელიწადი მეორე)

ხელის მოწერა მიიღება უფლებალ „ნაპარალის“ რედაქციაში.

გოლოვინის პრისტეპტიზე ზუბალაშვილის სახლში № 8. და წერავითხვის გამაფრც. საზო-  
გოგადოების მადაზიანი, თავ. აზ. ქარგასლა)

1914 წლის 1-ლ იანვრიდან 1915 წლის 1-ლ იანვრამდე წლიური ხელის-მომ-  
წერლებს მიეცემა: მოზრდილთათვის 12 წიგნი 3 მან. მცირე წლოვანთათვის 24 წიგ-  
ნი 3 მან. ნახევარი წლით ვინც გამოიწერს ორივეს ერთად—3 მან.

საჩუქრად თრივე გამოცემის წლიურ ხელის მომწერლებს მაეცემა წიგნი: „მიწის ძვრა და  
ცეცხლის მფრქვეველი მთები“, (მრავალი სერათით) გიორგი ანთელიძისა.

რედაქტორი ნინო ნაკაშიძისა. გამოცემებით თ. პ. ი. თუმანიშვილი.

სამეცნიერო-პედაგოგიური და სალიტერატურული

# „განათლება“

მიიღება ხელის მოწერა 1914 წლის თვის.

(წელიწადი შეშვიდე)

1914 წელში ურნალი „განათლება“ ჩვეულებრივად გამოვა ყოველ-  
თვის შუა რიცხვებში გარდა ზაფხულის ორის თვისა. ურნალში იბეჭ-  
დება წერილები, როგორც სწავლა-აღზრდის შესახებ, აგრძთვე მეც-  
ნიერების სხვა და სხვა დარგიდან და სიტყვა კაზმულ მწერლობიდან;  
აქვს თვიური ურნალის ყველა განყოფილება, გამოვა ჩვეულებრივზე  
უკეთ დასურათებული. ურნალში მთაწილეობას იდებენ უცხადა ჩვნი საუკუთესო მე-  
ცნიერები, მწერლები, ჰედაგოგები და პოეტები.

წლიური ფასი ურნალისა არის **ოთხი მანეთი (4 მ.)** მხოლოდ  
სოფლის მასწავლებლებს და სასოფლო სამკითხველოებს ურნალი  
და ეთმობათ წლიურად **სამ მანეთად**, საზღვარ გარეთ 6 მან. 1914 წ.  
ხელის მომწერლები მიიღებენ საჩუქრად: ილია ჭავჭავაძის, პესტალოცის,  
უშინსკის, რუსსოს და კომენსკის სურათებს. აღბომს ი. გედვეანიშვილის პიესის  
„სინათლისას“ და „პატარა მურია“ სიტყვები აკაკისა, ნოტებზე დალაგებული 6.  
ა. ყარაშვილის მიერ.

ურნალში არის ცალქე განუოფილება, სადაც იბეჭდება უოველ-  
გვარი ცნობები ქ. მ. წერა-კითხვის გამაფრცელებელი საზოგადოებისა  
და მისი განუოფილებათა მოქმედების შესახებ.

ხელის მოწერა მიიღება **ცუილისში**: ქართულ გიმნაზიაში, „ნაკადულის“ რე-  
დაქტირაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ივანე ავალიშვილთან.  
ქუთაისში ისიდორე კვიცარიძესთან, ბათომში ტრ. ინასარიძესთან და წიგნის მაღაზია  
„განთიადში“, ამ ორ ადგილას და სამტრედიაში იყიდება ცალქე ნომრებიც, თითო 40 კ.  
სხვა ადგილებში უნდა მიმართონ პირდაპირ აგენტებს.

რედაქტია სთხოვს ხელის მოწერლებს დროზე დაგვეთხო ურნალი.

რედაქტია უოველგვარ ღონისძიებას ხმარობს ურნალის  
თანამდებობა გასაუმჯობესებლად.

**მისამართი:** თიფლის. დვორის გრანიტის ქუთაისის გიმნაზია  
გიმნაზია. **ლ. გ. ბოცვაძე.**

რედაქტორ-გამომცემელი ლ. გ. ბოცვაძე.